При БИК клиническая картина заболевания развивалась медленно, в отличие от СИК, когда симптомы заболевания нарастали быстро; клиническая картина эктопического АКТГ-синдрома была сходна с клинической картиной БИК и СИК, однако, ведущими симптомами являлись симптомы злокачественного новообразования (низкий гемоглобин, высокая СОЭ). Отмечались нарушения со стороны почти всех органов и систем, что объясняется характером действия глюкокортикоидов.

Наблюдая за этими больными, можно сказать, что наиболее ранний и частый признак гиперкортицизма – ожирение диспластического типа (99%), нарушения половой функции (78,2%) и трофики кожного покрова (75%). Достаточно рано появились повышенная утомляемость и мышечная слабость (97,1%), головная боль (85,4%), снижение работоспособности (78%). В клинической картине, в последующем, выявился остеопороз (98%), артериальная гипертензия (АГ) (87,3%), гиперсутизм у женщин (77,4%), нарушение углеводного обмена (94,2%), психоневрологические расстройства (39,4%).

В норме у здоровых лиц самый высокий уровень кортикостероидов в плазме крови отмечается около 6-8 ч. К полудню их содержание быстро уменьшается, затем снижение идет более медленно, достигая к 20-24 ч минимального уровня. В 18-20 ч кортикостероидов примерно в 2-2,5 раза меньше, чем утром.

Мы изучили суточный ритм секреции кортизола и кортикотропина у 34 больных с подозрением на гиперкортицизм. Данные суточной секреции кортизола и кортикотропина представлено в Таблице 3.

Как видно из таблицы, при БИК содержание кортизола было повышено как в утренние так и в вечерние часы, так же как и концентрация кортикотропина. В случае СИК, концентрация кортизола, также было повышено, а концентрация кортикотропина была на нижней границе или ниже нижней границы нормы.

**Показатели суточной секреции кортизола и кортикотропина
у больных с гиперкортицизмом и у здоровых лиц**

Группы обследуемых	кортизол		кортикотропин	
	8-9 ч (N 255-414 нмоль/л)	21-23 ч (N 55-221 нмоль/л)	8-9 ч (N 10-80 нг/л)	21-23 ч (N 10-80 нг/л)
Здоровые лица	293,1 ± 10,7	107,4 ± 1,7	55,5 ± 4,7	20,5 ± 3,4
БИК (n = 8)	466,0 ± 87,1	249,2 ± 4,8	118,8 ± 13,1	123,3 ± 17,0
СИК (n = 10)	343,0 ± 73,0	313,2 ± 3,7	11,9 ± 4,7	13,5 ± 2,3
эктопический АКТГ-синдром (n = 2)	638,2 ± 64,0	543,7 ± 5,7	250,0 ± 2,3	258,7 ± 3,8

У остальных 14 больных отклонений от нормы не отмечено.

Таким образом, диагностика гиперкортицизма складывается из анализа клинической картины заболевания и выполнения ряда лабораторных исследований. Ценным методом диагностики является исследование суточного ритма секреции кортизола и кортикотропина.

ЛИТЕРАТУРА

1. Балаболник М.И., Клебанова Е.М., Креминская В.М. Дифференциальная диагностика и лечение эндокринных заболеваний. Москва, Медицина, 2002.
2. Комиссаренко И.В. Нарушения функции надпочечников при эндокринных заболеваниях, Киев, Здоровье, 1984.
3. Майстренко Н.А., Довганюк В.С. и др. Гормонально-неактивные опухоли надпочечников. Санкт-Петербург, 2002.
4. Montgomery D., Wellborn R. Medical and surgical endocrinology. London, 1995.

ჰიპერკორტიციზმის კლინიკური სურათი და პორეონული დიაგნოსტიკა

მ. კორინთელი, ვ. ჩაჩიბაია

ქ. თბილისის მე-4 კლინიკური საავადმყოფო, ენდოკრინულ დარღვევათა კორექციის განყოფილება

რეზიუმე

ენდოგენური ჰიპერკორტიციზმის სიმპტომოკომპლექსი, რომელიც ცნობილია, როგორც იცენკო-კუშინგის დაავადება და სინდრომი, წარმოადგენს ნეიროენდოკრინულ დაავადებას, რომლის განვითარებაში მონაწილეობს ნერვული სისტემა და ენდოკრინული ჯირკვლები.

ტერმინი “ენდოგენური ჰიპერკორტიციზმი” აერთიანებს სხვადასხვა ეტიოლოგიის და პათოგენეზის დაავადებას, რომელთა კლინიკური სურათი განპირობებულია კორტიზოლის ჰიპერპროდუქციით – იცენკო-კუშინგის დაავადება, სინდრომი და აპტჰექტოპიურად მპროდუცირებელი სინდრომი.

ჩვენს მიერ გამოკვლეულია 34 ავადმყოფი, საეარაულოდ ჰიპერკორტიციზმით; მათი ასაკი იყო 19-დან 68 წლამდე. დაავადების ხანგრძლივობა – 1,5 წლიდან 14 წლამდე. ქალი – 23, მამაკაცი – 11.

ჰიპერკორტიციზმის დიაგნოსტიკაში შეიძლება გამოვეყნოთ შემდეგი ეტაპები: 1. ჰიპერკორტიციზმისთვის დამახასიათებელი სიმპტომების გამოვლინება; 2. დიაგნოზის დადგენა; 3. ჰიპერკორტიციზმის ნოზოლოგიური ფორმების იდენტიფიკაცია.

დღევანდელ დღეს ჰორმონული დიაგნოსტიკის ყველაზე უტყუარ მეთოდს წარმოადგენს კორტიზოლის და კორტიკოტროპინის ბაზალური დონის და სეკრეციის დღე-ღამური რიტმის განსაზღვრა.

გამოკვლევების თანახმად ჰიპერკორტიციზმის დიაგნოზი დაისვა 20 შემთხვევაში. მათ შორის, იცენკო-კუშინგის დაავადება 8 შემთხვევაში, სინდრომი – 10 შემთხვევაში, აპტჰექტოპიურად მპროდუცირებელი სინდრომი – 2 შემთხვევაში.

CLINICAL PATTERN OF HYPERCORTICISM AND METHODS OF HORMONAL DIAGNOSTICS

M. Korinteli, V. Chachibaia

Endocrine Disorders Department, Tbilisi Clinical Hospital No. 4

SUMMARY

Endogenous hypercorticism symptom complex, known as Itsenko-Kushing disease and syndrome, is a neuroendocrinological disease, in development of which nervous system and endocrine glands are involved.

Term of “Endogenous hypercorticism” combines different etiology and pathogenesis diseases, clinical pattern of which is caused by cortisol hyperproduction – Itsenko-Kushing disease / syndrome and paraneoplastic syndrome.

Hypercorticism diagnostics consists of: 1. detection of suspicious or characteristic hypercorticism symptoms and selection of the patients for examination; 2. diagnosis confirmation; 3. ascertainment of hypercorticism’s nosologic form.

At the present time, detection of basal level and daily rhythm of cortisol / corticotrophin secretion is a valuable method of hypercorticism diagnostics.

Total of 34 patients with suspicion for hypercorticism were examined. Itsenko-Kushing syndrome was determined in ten cases, ectopical AKTG-syndrome – in two cases. Remaining 14 patients had no abnormalities.

თავის ტვინის დიდი ნახევარსფეროების ქერქის ნეირონების პოსტინაფსური რეაქციის მოდულაცია ნუშისებრი კომპლექსის ცენტრალური ბირთვის სტიმულაციის საპასუხოდ

*თ. ლაბაძე, თ. ლალიძე, ე. აბზიანიძე, ვ. ბექაია, თ. ჯანაშია,
რ. ქაშაკაშვილი, ვ. გედევანიშვილი, ვ. ლურჯაია*

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ი. ბერიტაშვილის სახელობის
ფიზიოლოგიის ინსტიტუტი, თბილისი

მიღებულია 1.02.2005

კბილის პულპისა და თალამუსის ვენტრო-პოსტერო-მედიალური ბირთვის (მპმ) გაღიზიანების საპასუხოდ აღძრული სომატოსენსორული ქერქის ნეირონების აქტივობის უჯრედშიდა რეგისტრაციით აღრიცხულია კომპლექსური პასუხები, რომლებიც ამაგზნებელი პოსტინაფსური პოტენციალის (აპსპ), პიკისა და შემაკავებელი პოსტინაფსური პოტენციალისაგან (შპსპ) შედგება. ნუშისებრი კომპლექსის ცენტრალური ბირთვის (ნმცბ) მაკონდიცირებელი გაღიზიანება, რომელიც წინ უსწრებდა კბილის პულპის ან მპმ-ის მატესტირებელ სტიმულაციას 100-დან 700 მსმდე, ამცირებდა მხოლოდ შპსპ-ს ამპლიტუდას, ნოციცეპტურ ნეირონებში 55%-ით, ხოლო კონვერგენტულებში – 50%-ით. ორივე შემთხვევაში მაკონდიცირებელი გაღიზიანების მაქსიმალური გავლენა შეინიშნებოდა მაკონდიცირებელ და მატესტირებელ სტიმულებს შორის 400–700 მს ინტერვალებში. ნმცბ-ს სტიმულაციის ეფექტი შესაძლოა გამოიწვეოდეს შავი სუბსტანციის გააქტივების გზით, რომელთანაც ორმხრივად დაკავშირებული ნუშისებრი კომპლექსი (ნკ) და რომელსაც ქერქში პირდაპირი პროექციები გააჩნია.

საკვანძო სიტყვები: ნეირონი, ნოციცეფცია, შპსპ, მოდულაცია, ნუშისებრი კომპლექსის ცენტრალური ბირთვი, კატა

ლიტერატურის მონაცემების თანახმად, ნუშისებრი კომპლექსი (ნკ) მონაწილეობს ტკივილის აღქმასა [3, 15] და ტკივილის ემოციური მახასიათებლის რეალიზაციაში [8, 10]. ნანახია აგრეთვე, რომ ნკ-ის ბირთვები, ცენტრალური ბირთვის გავლით, პროექციებს იძლევა ცენტრალურ რუხ ნივთიერებაში, რითაც ჩართულია მტკივნეული აფერენტაციის მოდულაციაში პირველ სეგმენტურ დონეზე [6, 11]. რა გავლენას ახდენს ნკ თავის

ტვინის ქერქის ნეირონების მტკივნეულ აფერენტაციაზე, მონაცემები ლიტერატურაში არ არსებობს. სწორედ ამან განაპირობა ჩვენი განზრახვა, შეგვესწავლა ნპ-ის ცენტრალური ბირთვის (ნპცბ) გაღიზიანების გავლენა სომატოსენსორული ქერქის კორონარული ხვეულის ნეირონების პოსტსინაფსურ პასუხებზე.

მასალა და მეთოდები

ცდები ტარდებოდა მწვავე ექსპერიმენტის პირობებში, α -ქლორალოხით დანარკოვებულ კატებზე (40 მგ/კგ, პერიტონეუმში). ექსპერიმენტები ტარდებოდა კურარიზებულ ცხოველებზე, მართვადი ხელოვნური სუნთქვის პირობებში.

ჭრილობის ზედაპირს და ზეწოლის უბნებს ვამუშავებდით 2%-იანი ნოკაინის ხსნარით.


ტკივილი გამოიწვეოდა ზედა ეშვების პულპის ან თვალბუდის ქვედა ნერვის ზეზღურბლოვანი გაღიზიანებით. თვალბუდის ქვედა ნერვის ზღურბლოვანი ძალით გაღიზიანება ითვლებოდა უმტკივნეულოდ. ბორმანქანის საშუალებით კბილში ვზურღავდით მცირე ზომის ღრმულებს, რომელშიც ვათავსებდით ვერცხლის ამალგამასთან დაკავშირებულ კონსტანტანის ელექტროდს (დიამეტრით 0,2–0,5 მმ) და ვაფიქსირებდით აკრილატით. კბილის პულპა ღიზიანდებოდა მატესტირებელი სტიმულით (30–40 ვ, 0,5 მს). ცხოველის იმობილიზაციამდე, გაღიზიანების ზღურბლის განსაზღვრის მიზნით, ვამოწმებდით კბილის პულპის გაღიზიანების ეფექტურობას: ერთხელობრივი ან ხანმოკლე ტეტანური გაღიზიანების საპასუხოდ (5–10 ვ, 0,5 მს) გამოიწვეოდა პირის გაღების რეფლექსი – ტკივილის მაჩვენებელი.

თავის ტვინის ღრმად მდებარე სტრუქტურები ღიზიანდებოდა კონსტანტანის ბიპოლარული ელექტროდებით, რომელთა პოლუსებს შორის მანძილი 0,5 მმ-ს შეადგენდა. ელექტროდების ჩანერგვა ხდებოდა სტერეოტაქსური ატლასის მიხედვით [12]. ელექტროდები თავის ქალას ძვალზე ფიქსირდებოდა ნორაკრილით. გაღიზიანება ხდებოდა 20–40 ვ, 0,1 მს, მოკლე (5 იმპ), 200/სეკ სიხშირის სერით. თავის ტვინის ქერქის ნეირონების უჯრედშიდა აქტიურობა რეგისტრირდებოდა კალიუმის ციტრატით (2 მოლ/ლ) შევსებული მინის მიკროელექტროდებით, აღრიცხვა ხდებოდა თავის ტვინის დიდი ნახევარსფეროების ქერქის კორონარული ხვეულიდან.

ნერვული უჯრედების ელექტრული ეფექტების რეგისტრაცია ხორციელდებოდა მუდმივი დენის გამაძლიერებლით (MEZ-8101). პარალელურად ხდებოდა პოტენციალების ჩაწერა მაგნიტოგრაფზე TEAC-R-80, რათა შესაძლებელი ყოფილიყო ოსცილოგრაფის ეკრანიდან მათი ხელახალი აღრიცხვა, ფოტოგრაფირება და ანალიზი. ცხოველის სხეულის ტემპერატურის შენარჩუნება ხდებოდა 36–37°C-ზე და სისტემატურად იზომებოდა რექტალურად. ტვინის ღრმა სტრუქტურებში ელექტროდების ლოკალიზაციის იდენტიფიკაცია ხდებოდა ცდის დამთავრების შემდეგ ჰისტოლოგიურიურად, ელექტროკოაგულაციის შედეგად მონიშნული ადგილების მიხედვით.


შედეგები და მათი განხილვა

შესწავლილია თავის ტვინის დიდი ნახევარსფეროების სომატოსენსორული ქერქის კორონარული ხვეულის ნეირონების აქტიურობა ნმცბ-ს სტიმულაციის საპასუხოდ. აღრიცხულია ქერქის ნოციცვატური (8 ნეირონი) და კონვერგენტული (12 ნეირონი) ნეირონები. ნოციცვატურად მიხნეული იყო ის ნეირონები, რომლებიც პასუხობდნენ კბილის პულპის გაღიზიანებას, ხოლო კონვერგენტულად – ნეირონები, რომლებიც პასუხობდნენ როგორც კბილის პულპის, ისე თვალბუდის ქვედა ნერვის ზღურბლოვანი და ზეზღურბლოვანი ძალით, ასევე თალამუსის ვენტრო-პოსტერო-მედიალური ბირთვის (ვპმ) გაღიზიანებას. ვპმ ბირთვის სტიმულაციისას აიგზნება როგორც “მტკივნეული”, ისე “არამტკივნეული” შესავალი ქერქისაკენ.



სურ. 1. ნმცბ-ის მაკონდიცირებელი ელექტრული სტიმულაციის გავლენა კბილის პულპის გაღიზიანებით გამოწვეულ სომატოსენსორული ქერქის ნოციცვატური ნეირონის პოსტსინაფსურ პასუხზე. A – ნეირონის პასუხი კბილის პულპის ერთხელობრივ გაღიზიანებაზე; B-H – ნმცბ-ის მაკონდიცირებელი გაღიზიანების შეწყვეტილება კბილის პულპის მატესტირებელ გაღიზიანებასთან. ინტერვალი იმპულსებს შორის – მილისეკუნდებში. ნეირონის აღრიცხვის სიღრმე 1700 მკმ. კალიბრება: 20 მვ, 100 მს.


ქერქული ნეირონების მემბრანული პოტენციალი საშუალოდ შეადგენს $60,54 \pm 12,32$ მვ-ს. კბილის პულპის სტიმულაციის საპასუხოდ აღირიცხება პასუხი აპსპ-პიკის სახით, რასაც მოსდევს 8-10 მკ ამპლიტუდის და 150-200 მს ხანგრძლივობის ჰიპერპოლარიზაცია. ჰიპერპოლარიზაციის შემდეგ აღვილი აქვს ნეირონის ფონური განმუხტვების საკმაოდ ხანგრძლივ გახშირებას (სურ. 1, A).



სურ. 2. ნკვბ-ის მაკონდიცირებელი ელექტრული სტიმულაციის გავლენა თალამუსის ვამ ბირთვის გაღიზიანებით გამოწვეულ სომატოსენსორული ქერქული კონვერგენტული ნეირონის პოსტინაფ-სურ პასუხზე. A – ნეირონის პასუხი თალამუსის ვამ ბირთვის ერთხელობრივ გაღიზიანებაზე; B-H – ნკვბ-ის მაკონდიცირებელი გაღიზიანების შეწყველება თალამუსის ვამ ბირთვის მატებტირებელ გაღიზიანებასთან. ნეირონის აღრიცხვის სიღრმე 2000 მკმ. კალიბრება: 20 მვ, 100 მს.

ნკვბ-ის სტიმულაციის საპასუხოდ ადგილი აქვს ნოციციკტური ნეირონის ფონური აქტიურობის საკმაო გახშირებას, სპონტანურთან შედარებით (სურ. 1, B-H).

თავის ტვინის ქერქის ნოციციკტური ნეირონების უჯრედშიდა რეაქცია ნკვბ-ის (მაკონდიცირებელი) და კბილის პულპის (მატესტირებელი) შეწყვილებული გაღიზიანებისას, როდესაც მათ შორის ინტერვალი 100-700 მს-ის ტოლია, არაერთგვაროვანია. გამღიზიანებლებს შორის 400 მს ინტერვალის დროს ვლინდება შემაკავებელი პოსტსინაფსური პოტენციალის ამპლიტუდის შემცირება, რომელიც მაქსიმუმს 700 მს ინტერვალისას აღწევს. ეს კი საწყისი ამპლიტუდის თითქმის 45%-ს შეადგენს (სურ. 3).



სურ. 3. ნკვბ-ის სტიმულაციის გავლენის დინამიკა კბილის პულპისა და თალამუსის ვკმ ბირთვის გაღიზიანებით გამოწვეული ქერქული ნეირონის პასუხის შსპ-ზე. ორდინატაზე გამოსახულია შსპ-ს ამპლიტუდა პროცენტებში, საწყის ამპლიტუდასთან შედარებით, რომელიც მიღებულია 100%-ად; აბსცისაზე — დრო მს-ში.

თალამუსის ვკმ ბირთვის სტიმულაციაზე კონვერგენტული ნეირონის უჯრედშიდა პასუხი ასევე რთული სახისაა: აპსპ-ს მოხდევს სპაიკი და 8-10 მე ამპლიტუდის და 150-200 მს ხანგრძლივობის შსპ (სურ. 2, A). ნკვბ-ის ელექტრული სტიმულაცია იწვევს კონვერგენტული ნეირონის ფონური აქტიურობის გახშირებას. მაკონდიცირებელ (ნკვბ) და მატესტირებელ (თალამუსის ვკმ ბირთვი) სტიმულებს შორის 100-დან 700 მს-მდე ინტერვალში, ისევე როგორც ნოციციკტურ ნეირონში, თალამუსის ვკმ ბირთვის გაღიზიანების საპასუხოდ აღმოცენებული პასუხის შსპ-ს ამპლიტუდა შემცირებას იწვევს სტიმულთა შორის 400 მს-ის ინტერვალში და 700 მს ინტერვალისას საწყის სიდიდესთან შედარებით 50 %-ით მცირდება (სურ. 2, B-H; სურ. 3).

ლიტერატურის მონაცემებიდან ცნობილია, რომ ნკ ცენტრალური ბირთვის გზით დაკავშირებულია ტვინის ღეროს სხვადასხვა სტრუქტურასთან [6, 11]. ასევე ნანახია ნკცბ-ს პირდაპირი პროექციები შავ სუბსტანციასა და მკრთალ ბირთვში [7, 13, 14]. იდენტიფიცირებულია პირდაპირი ნოციცეპტური ამიგდალონიგრალური [2] და ნიგროამიგდალური [9] გზები.

ცნობილია, რომ შავი სუბსტანცია მონოსინაფსურ პროექციებს იძლევა ქერქში [4, 5]. ამასთან, შავი სუბსტანციის სტიმულაციის დროს ქერქში გამოყოფილი დოფამინი მოქმედებს შესაბამის რეცეპტორებზე და მეორადი მესენჯერული სისტემის გააქტივების გზით განაპირობებს ბაიმ-ერგული სისტემის პოსტსინაფსური აქტიურობის მოდულაციას, რაც იწვევს ნოციცეპტური წარმოშობის შპსპ-ს ამპლიტუდის შემცირებას, რომელიც აღიძვრება კბილის პულპის მტკივნეული და თალამუსის შპმ ბირთვის სტიმულაციის საპასუხოდ. ეს პროცესები შესაძლოა ხორციელდებოდეს როგორც პრე-, ისე პოსტსინაფსური მექანიზმებით [1]. ამიტომ, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ნკცბ-ის გაღიზიანების შედეგად მიღებული ეფექტები ძირითადად შავი სუბსტანციის გზით ხდება.

ლიტერატურა

1. *ლაბახუა თ.შ., ბუტხუზი ს.მ., ბეკაია გ.ლ., დჯანაშია თ.კ., კაშაკაიშვილი რ.პ., გედევანიშვილი გ.ი., აბზიანიძე ე.ვ., გურჯია გ.პ., ლაგიძე თ.პ.* Изв. АН Грузии, Биол. серия, А, 2004, 30, 517-525.
2. *Barasi S., Pay S.* Neurosci. Lett., 1980, 17, 265-269.
3. *Bernard J.F., Huang G.F., Besson J.M.* J. Neurophysiol., 1992, 68, 551-569.
4. *Bloom F.E.* Neurobiology of Neocortex, 1988, pp. 407-421.
5. *Foote S.L., Morrison J.H.* Ann. Rev. Neurosci., 1987, 10, 67-95.
6. *Helmstetter F.J., Tershner S.A., Poore L.H., Bellgowan P.S.* Brain Res., 1998, 779, 104-118.
7. *Krettek J.E., Price J.L.* J. Comp. Neurol., 1978, 178, 255-280.
8. *LeDoux J.E.* Annu. Rev. Neurosci., 2000, 23, 155-184.
9. *Meibach R.C., Katzman R.* Neuroscience, 1981, 11, 2159-2171.
10. *Newman H.M., Stevens R.T., Apkarian A.V.* J. Comp. Neurol., 1996, 365, 640-658.
11. *Pavlovic Z.W., Cooper M.L., Bodnar R.J.* Brain Res., 1996, 741, 13-26.
12. *Reinoso-Suarez F.E.* Topographischer Hirnatlas der Katze. Merck, Darmstadt, 1961.
13. *Shinonaga Y., Takada M., Mizuno N.* Neuroscience, 1992, 51, 691-703.
14. *Vankova M., Arluison M., Leviel, V. Tramu G.* J. Chem. Neuroanat., 1992, 5, 39-50.
15. *Zubieta J. K., Smith Y.R., Bueller J.A. et al.* Science, 2001, 293, 310-315.

МОДУЛЯЦИЯ ПОСТСИНАПТИЧЕСКИХ РЕАКЦИЙ НЕЙРОНОВ КОРЫ БОЛЬШИХ ПОЛУШАРИЙ ПРИ СТИМУЛЯЦИИ ЦЕНТРАЛЬНОГО ЯДРА МИНДАЛЕВИДНОГО КОМПЛЕКСА

Т.Ш. Лабахуа, Т.П. Лагидзе, Е.В. Абзианидзе, Г.Л. Бекая, Т.К. Джанашия, Р.П. Кашакашвили, Г.И. Гедеванишвили, Г.П. Гурцкая

Институт физиологии им. И.С. Бериташвили Академии наук Грузии, Тбилиси

РЕЗЮМЕ

Внутриклеточным отведением активности нейронов соматосенсорной коры, в ответ на раздражение пульпы зуба и вентро-постеро-медиального (ВПМ) ядра таламуса зарегистрированы комплексы ВПСП-пик-ТПСП. Кондиционирующее раздражение центрального ядра миндалевидного комплекса (ЦЯМК), предшествующее тестирующему раздражению пульпы зуба или ВПМ ядра, от 100 до 700 мс, вызывало уменьшение амплитуды только ТПСП, как конвергентного так и ноцицептивного нейронов на 50-55%. Максимальный эффект, в обоих случаях, отмечался при интервалах 400-700 мс между кондиционирующим и тестирующим раздражениями. Мы полагаем, что эффект раздражения ЦЯМК обусловлен черной субстанцией среднего мозга, которая моносинаптически проецируется в кору и с которой миндалевидный комплекс имеет прямые связи.

MODULATION OF THE POSTSYNAPTIC REACTION OF THE CEREBRAL CORTEX NEURONS DURING STIMULATION OF THE CENTRAL NUCLEUS OF THE AMYGDALOID COMPLEX

T. Labakhua, T. Lagidze, E. Abzianidze, G. Bekaya, T. Janashia, R. Kashakashvili, G. Gedevanishvili, G. Gurtskaya

I. Beritashvili Institute of Physiology, Georgian Academy of Sciences, Tbilisi

SUMMARY

Intracellular recordings of electrical activity of the somato-sensory cortex neurons in response to stimulation of the tooth pulp and of ventro-postero-medial (VPM) nucleus of thalamus, revealed the EPSP-peak-IPSP complexes. Conditioning stimulation of the central nucleus of amygdaloid complex (CNAC), which preceded the test-stimulation of the tooth pulp or VPM, with interval of 100 to 700 ms, induced 50%-55% decrease of IPSP only, in both nociceptive and convergent neurons. The maximal effect in both cases was achieved at an interval of 400-700 ms between conditioning- and test-stimuli. It is suggested that effect of the CNAC stimulation is determined by the midbrain black substance, which has monosynaptic projections to the cortex and with which the amygdaloid complex has direct connections as well.

განვითარების თანდაყოლილი ანომალიების სიხშირის ცვალებადობის დინამიკა დასავლეთ საქართველოს სხვადასხვა რეგიონში

თ. ლოლაძე, ე. დადუნაშვილი

ი. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

მიღებულია 27.01.2005

სამედიცინო გენეტიკის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ამოცანას წარმოადგენს პოპულაციებში გენეტიკური ტვირთის სიდიდის განსაზღვრა და ონტოგენეზის სხვადასხვა ეტაპზე მისი გამოვლენის სიხშირის დადგენა, რათა თავიდან იქნას აცილებული განვითარების თანდაყოლილი ანომალიების (ბმბ) მქონე ბავშვების დაბადება. დასავლეთ საქართველოში ეკოლოგიური სიტუაციის გაუარესებამ აქტუალური გახადა ამ უკანასკნელის სიხშირის, დინამიკის და წარმოშობის რისკ-ფაქტორების დადგენა. ჩატარებულმა გენეალოგიურმა კვლევამ და ქ. ქუთაისის სამშობიარო სახლების საარქივო მასალის ანალიზმა დაადასტურა ბმბ-ს სიხშირის სარწმუნო მატება უკანასკნელ წლებში, რაც სავარაუდოდ დაკავშირებულია იმერეთის რეგიონში ეკოლოგიური სიტუაციის გაუარესებასთან.

საკვანძო სიტყვები: განვითარების თანდაყოლილი ანომალია, პრობანდი, დაუნის სინდრომი, პატაუს სინდრომი, დასავლეთი საქართველო

სამედიცინო გენეტიკის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ამოცანას წარმოადგენს პოპულაციებში გენეტიკური ტვირთის სიდიდის განსაზღვრა და ონტოგენეზის სხვადასხვა ეტაპზე მისი გამოვლენის სიხშირის დადგენა, რათა თავიდან ავიცილოთ თანდაყოლილი და გენეტიკური დარღვევების მქონე ბავშვების დაბადება. [1]

განვითარების თანდაყოლილი ანომალიების (ბმბ) პროფილაქტიკა, ძირითადად, ემყარება იმ რისკ-ფაქტორების გამოვლენას, რომელიც ხელს უწყობს მათ განვითარებას. [4]

ეკოლოგიური სიტუაციის გაუარესება საქართველოში, განსაკუთრებით კი დასავლეთ საქართველოში, ჩერნობილის ატომური რეაქტორის კატასტროფის შემდეგ, აგრეთვე იმერეთის რეგიონში არსებულ საწარმოთა (ლითოფონის, რეზინის ტექნიკურ ნაეუობათა, სატრაქტორო, ფეროშენადნობთა ქარხნები, ავტოქარხანა) მავნე გამონაბოლქვის მაღალი კონცენტრაცია, აქტუალურს ხდის ბმბ-ს სიხშირის, მისი დინამიკის და წარ-

მოშობის რეგიონული რისკ-ფაქტორების დადგენას [2]. ქვეყანაში მიმდინარე სოციალურ-ეკონომიკური ცვლილებები გააღებინა ახდენს ორსულთა ასაკობრივ სტრუქტურაზე, რომლის შესწავლა და მისი ცვლილებების დინამიკის გათვალისწინება იძლევა ქრონოსომული ანომალიების მქონე ბავშვთა დაბადების პროგნოზირების და შესაბამისი პროფილაქტიკური ღონისძიებების ჩატარების საშუალებას [5].

ჩვენი შრომის მიზანს წარმოადგენდა ნაყოფის ბოიას სიხშირისა და სტრუქტურის დადგენა ქ. ქუთაისში, დედის ასაკთან და მავნე ეკოლოგიურ ფაქტორებთან მათი კავშირის გამოვლენა.

მასალა და მეთოდი

დასახული მიზნის მისაღწევად, ჩვენს მიერ ბოიას სიხშირე შეფასებულ იქნა ქ. ქუთაისის ორი სამშობიარო სახლის საარქივო მასალაზე (1977–99 წწ. დაბადებული ბავშვები) დაყრდნობით. ანომალიების ტიპების დადგენა ემყარებოდა ნეონატალოგების და პათომორფოლოგების მიერ დასმულ დიაგნოზებს.

შედეგები და მათი განხილვა

დროის აღნიშნულ პერიოდში ბოიას საშუალო სიხშირე აღმოჩნდა 0,66% – 531 პრობანდი 80219 ახალშობილიდან. ეს მაჩვენებელი ნაკლებია სხვადასხვა ქვეყნების მაჩვენებლებთან შედარებით, სადაც ბოიას სიხშირე მერყეობს 0,9%-დან 1,4%-მდე (გერმანია, შვედეთი, კანადა, ინგლისი) და 2,9%-მდე (აშშ) [3].

ამ ფაქტის ახსნა შეიძლება იმით, რომ ჩვენ მასალაზე, ძირითადად, ხდებოდა მკაფიოდ გამოხატული, ე.წ. “მოდელური” მანკების აღრიცხვა, რომლის დიაგნოსტიკაც არ მოითხოვს სპეციფიკურ დიაგნოსტიკურ საშუალებებს [4].

ჩატარებული კვლევის საფუძველზე გამოვლენილი ბოიას სტრუქტურა შეესაბამება ცხრილში აღნიშნულ მონაცემებს (ცხრილი 1).

ცხრილი 1

განვითარების სხვადასხვა თანდაყოლილი ანომალიების აბსოლუტური და პროცენტული ოდენობები შესწავლილ კონტინგენტში

თანდაყოლილი ანომალიები	აბს.	%
მნს-ის ანომალიები	133	25,1
გულის თანდაყოლილი მანკები	103	19,4
ტუნის და სახის ნაპრალეები	49	9,2
კუჭ-ნაწლავის ტრაქტის ანომალიები	31	5,8
კიდურების რეაქტიული მანკები	16	3
დაუნის დაავადება	48	9
განვითარების მრავლობითი მანკები	151	28,4
სულ:	531	100%

ბოიას რისკ-ფაქტორების დადგენის მიზნით, გაანალიზებულ იქნა თანდაყოლილი მანკების სიხშირე ახალშობილებში ქუთაისში, ჩერნობილის ატომური ელექტროსადგურის (ჩამს) ცნობილ კატასტროფამდე (1977-86 წწ.) და მის შემდგომ პერიოდში (1987-99 წწ.). დადგინდა, რომ პირველ ათწლეულთან შედარებით, აღინიშნება ბოიას სიხშირის სარწმუნო მატება (0,56%-დან 0,71%-მდე), რაც, ალბათ, მიუთითებს ჩამს-ის კატასტროფის უარყოფით გავლენაზე დასავლეთ საქართველოში. უკრაინაშიც, სადაც მსგავსი შედეგებია მიღებული, რადიაციის ფონს განიხილავენ, როგორც ბოიას რისკ-ფაქტორს. [3]

ეკოლოგიური სიტუაციის გაუარესებას შეიძლება ხელს უწყობდეს იმერეთის რეგიონში არსებული საწარმოების (ზესტაფონი, ჭიათურა და სხვა) მავნე ფაქტორებზე კონტროლის შესუსტება, ან საერთოდ მათი არარსებობა. იგივე შეიძლება ითქვას ქუთაისში არსებულ (ლითოფონის, რეზინის ტექნიკურ ნაკეთობათა, სატრაქტორო ქარხნები) საწარმოებზეც.

ამასთანავე, მხედველობაშია მისაღები მძიმე სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა, რომელიც თავისთავად ხელს უწყობს ორგანიზმის მდგრადობის დაქვეითებას გარემოს მავნე ფაქტორების მიმართ, რაც გამოიხატება ბოიას სიხშირის მომატებაში [6].

ეკოლოგიურად დაბინძურებული და ნაკლებად დაბინძურებული რაიონების მაცხოვრებელთა აღრიცხვის შემდეგ დადგინდა ბოიას სარწმუნოდ მაღალი მაჩვენებლების არსებობა დაბინძურებულ რეგიონში – 0,59% და 0,88%, შესაბამისად.

ბოიას ოჯახური ფორმების გამოვლენის მიზნით, გენეალოგიური გამოკვლევა ჩატარდა 28 ოჯახს, სადაც აღინიშნებოდა განვითარების სხვადასხვა თანდაყოლილი ანომალია. მათგან, ნერვული მილის დეფექტებით დაიბადა 8 პრობანდი, გულის მანკით – 9, ტუჩისა და სახის ნაპრალი აღინიშნებოდა – 3, დაუნის სინდრომი – 5, და განვითარების მრავლობითი მანკი – 5 პრობანდს.

ნერვული მილის დეფექტის მქონე 8 ბავშვის ოჯახებიდან განმეორებითი შემთხვევა აღინიშნებოდა მხოლოდ ერთ ოჯახში. ამავე დროს, აქ მექვიდრეობა დატვირთული იყო რამოდენიმე თვითნებითი აბორტით. ერთ-ერთ ოჯახში კი აღინიშნა მკვდრადშობადობის შემთხვევა.


გულის მანკები, ყველა გამოკვლეულ შემთხვევაში, გვხვდებოდა ერთეული შემთხვევების სახით.

სახისა და ტუჩის ნაპრალების ოჯახური ფორმა აღინიშნა სამიდან ერთ შემთხვევაში. ახალშობილი, მამრობითი სქესის, დაიბადა კურდღლის ტუჩითა და მგლის ხახით. მის მამას კი ჰქონდა მხოლოდ ტუჩის ნაპრალი.

დაუნის დაავადების მქონე 5 პრობანდის ოჯახიდან 4 შემთხვევაში მექვიდრეობა არ იყო დატვირთული. ერთ ოჯახში კი 26 წლის დედას აღინიშნებოდა I ტრიმესტრის ორი თვითნებითი აბორტი. ერთი თვითნებითი აბორტი ჰქონდა დედის მამიდას. პრობანდს ჰყავს ჯანმრთელი სიზის (სურ. 1).

განვითარების მრავლობითი თანდაყოლილი მანკების 5 შემთხვევიდან 4 წარმოდგენილი იყო, როგორც არაკლასიფიცირებული სინდრომი. ერთი

პრობანდის დიაგნოსტიკა კი მოხდა პათოლოგიური ანატომიის ცენტრში – დაისვა დიაგნოზი: პატაუს სინდრომი. ხუთივე პრობანდის ოჯახებში დაავადებები ერთეული ფორმებით იყო წარმოდგენილი.



სურ. 1. დაუნის დაავადების მემკვიდრეობითობა. ოჯახის გენეალოგია გამოკვლეულია ხუთი თაობის მანძილზე და არც ერთი განმეორებითი შემთხვევა არ აღინიშნა. პრობანდის მამა დაღუპულია ახალგაზრდა ასაკში. დედას 25 წლის ასაკში აღენიშნა I ტრიმესტრის ორი პირობითი აბორტი. ერთი თვითნებითი აბორტი აღენიშნა დედის მამიდას. პრობანდს ჰყავს ჯანმრთელი სიბისი. ● – შესასწავლი ნიშნის მფლობელი პრობანდი.

გენეალოგიური გამოკვლევის საფუძველზე დავადგინეთ, რომ 28 პრობანდიდან მხოლოდ 3 შემთხვევაში აღინიშნებოდა დამამიმბუღელი მემკვიდრეობითობა, ხოლო დანარჩენ 25 ოჯახში, დაავადებები ერთეული სახით იყო წარმოდგენილი.

აღსანიშნავია, რომ გამოკვლეული ოჯახების 30% ეკოლოგიურად დაბინძურებულ გარემოში ცხოვრობდა.

ყოველივე ეს მიუთითებს გარემოს მავნე ფაქტორთა (მაიონიზებელი რადიაცია, საწარმოების მავნე ქიმიური ფაქტორები, წყლის და საკვები პროდუქტების დაბინძურება) მოქმედების მაღალ ხვედრით წილზე ბიო-ს ეტიოლოგიაში [5].

ამრიგად, ქ.ქუთაისში ბიო-ს სიხშირის და სტრუქტურის გამოკვლევამ გვიჩვენა მათი სარწმუნო მატება უკანასკნელ წლებში, რაც იმერეთის

რეგიონში ეკოლოგიური მდგომარეობის გაუარესებას უკავშირდება. ეს უკანასკნელი კი ბმბ-ს ერთ-ერთ რისკ-ფაქტორად უნდა ჩაითვალოს. ბმბ-ს პროფილაქტიკის მიზნით, საჭიროა პრენატალური დიაგნოსტიკის ახალი მეთოდების უფრო ფართოდ დანერგვა, ეკოლოგიური სიტუაციის გაუმჯობესება, რათა პოპულაციები დავიცვათ გარემოს მავნე ფაქტორთა ზემოქმედებისაგან.

ლიტერატურა

1. ლუკვა თ.ა. ადამიანის გენეტიკა. 1998, თსუ გამომცემლობა.
2. Винжего И.Г. Акинъшин В.И. Педиатрия, 1998, № 3, 25-27.
3. Костюк Э.В., Золотухина Т.В., Кузнецов М.И. и др. Генетика, 1999, 28, 158-162.
4. Крისტესაშვილი დ.ი. Генетические аспекты перинатальной патологии. Тбилиси. Сакарტველო. 1995.
5. Mol B.W., Pajkti E., Bilardo C.M. N.Engl. J. Med., 1998, 338, 1229-1230.
6. Sozos I., Fasouliotis C., Schenker I.G. Hum. Repr., 1998, 13, 2238-2248.

ДИНАМИКА ИЗМЕНЧИВОСТИ ЧАСТОТЫ ВРОЖДЕННЫХ ПОРОКОВ РАЗВИТИЯ В РАЗНЫХ РЕГИОНАХ ЗАПАДНОЙ ГРУЗИИ

Т. Лоладзе, Е. Дадунашвили

Тбилисский государственный университет им. И. Джавахишвили

РЕЗЮМЕ

Оценка генетического груза популяции и выявление его частоты на различных этапах онтогенеза, является важнейшей задачей медицинской генетики, цель которой предотвращение рождения детей с врожденными пороками развития (ВПР). При ухудшении экологической ситуации в западной Грузии актуальной задачей стало установить частоту и динамику ВПР и региональные риск-факторы их происхождения. Проведенные генеалогические исследования и анализ архивных материалов Кутайских родильных домов, доказало значительное увеличение частоты ВПР в последние годы, что вероятно связано с ухудшением экологической ситуации в регионе Имерети.

DYNAMICS OF MUTABILITY OF CONGENITAL DEFECTS IN DIFFERENT REGIONS OF WEST GEORGIA

T. Loladze, E. Dadunashvili

I. Javakhishvili Tbilisi State University

SUMMARY

One of the major objectives of medical genetics is assessment of an average genetic weight in the population and rating frequency of its emergence at different stages of ontogenesis in order to prevent the birth of newborns with congenital defects of development (CDD). Under worsening of environmental situation in West of Georgia, frequency and dynamics of CDD and regional risk factors of its origin became very pressing.

Genealogical researches and analysis of the archive material at maternity hospitals, have proved increase of the CDD incidence during the last years, what is probably connected with the worsening of environmental situation in the West Georgian region of Imereti.

გეომაგნიტოლაბილობის ტესტი

*მ. მირცხულავა, ე. ტატიაშვილი, დ. ჩიტაშვილი,
ვ. ფირანაშვილი, ა. ხიბაშვილი, ე. კორინთელი,
თ. კოტორაშვილი*

საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის აკადემია, თბილისი

მიღებულია 28.02.2005

მაგნიტოლაბილობის ხარისხი წარმოადგენს გარკვეულ ბიოლოგიურ კრიტერიუმს, რომლის საშუალებით ჩვენ შეგვიძლია ვიმსჯელოთ სპორტსმენის როგორც ფუნქციურ, ასევე ფიზიკურ შესაძლებლობებზე, განსაკუთრებით საშეჯიბრო პერიოდში. ეს უმეტესად ეხება იმ სპორტსმენებს, რომლებიც გარკვეულწილად რეაგირებენ სხვადასხვა სახის ბიოლოგიურ გამღიზიანებელზე.

გამოკვლევების შედეგად დადგინდა, რომ სპორტსმენთა აღზრდის, წვრთნის პროცესის და შერჩევის სისტემის ინტესიფიკაციისათვის საჭიროა მწვრთნელებმა, სხვა მონაცემებთან ერთად, გამოიყენონ გეომაგნიტოლაბილობის ტესტის შედეგები. ამ ტესტით დგინდება სპორტსმენების მაგნიტოლაბილობის ხარისხი და, ანალიზის მიხედვით, ხდება საწვრთნო-სასწავლო პროცესის კორექტირება.

საკანბო სიტყვები: სპორტსმენები, მაგნიტური ლაბილობა, ლაბილობის ანალიზი, საწვრთნო პროცესი, კორექტირება

ჩვენს მიერ ჩატარებული გამოკვლევების ანალიზის შედეგად გამოიკვეთა მაგნიტური ქარიშხლების პერიოდში ფიზიკური ვარჯიშების ჩატარებისას ორგანიზმის ფუნქციური ძვრებისა და ფიზიკური თვისებების ცვლილებების კანონზომიერება, რომელიც სპეციფიკურ ხასიათს ატარებს და დამოკიდებულია სპორტსმენის გაწვრთნილობასა და ასაკზე. ჩვენს მიერ მიღებული მონაცემებიდან ირკვევა, რომ სპორტსმენთა 23% და არასპორტსმენთა 19,6% (მ-ჯგუფი) გეომაგნიტოლაბილურია. უმეტესად ეს ცვლილება მჟღავნდება მაგნიტური ქარიშხლების წინა, ან შემდეგ დღეს და უფრო გამოხატულია 18-21 წლის ასაკის სპორტსმენებში. მაგნიტური ქარიშხლების მოქმედების უპირველესი რეაგენტია ნერვული სისტემა და რეაქცია შეიძლება გამოწვეული იყოს ნერვული დაძაბულობით. შესაბამისად, სპორტსმენებში მაგნიტოლაბილობა უფრო მკვეთრად მჟღავნდება შეჯიბრებების პერიოდში, ემოციური დაძაბულობის გამო, რაც მწვრთნელის მხრიდან სათანადო ყურადღების მოითხოვს.

მაგნიტურ დღეებზე დამოკიდებულია ორგანიზმის სასიცოცხლო პარამეტრების ცვლილებები, რომელთა მიხედვითაც ხდება მაგნიტოლაბილობის შეფასება. ჩვენ შემთხვევაში პირველი ინდიკატორია გულისცემის სიხშირის ცვლილება და განსხვავება მიგვანიშნებს მაგნიტოლაბილობაზე; ეს ცვლილებები კარგადაა შესამჩნევი დატვირთვის პროცესში და დატვირთვის პროცესის შემდეგაც, თუმცა მაქსიმალური ცვლილებები აღინიშნება ფიზიკური დატვირთვის პროცესში.

წინა გამოკვლევის შედეგებიდან [1] ჩანს, რომ გულისცემის სიხშირის სიდიდე შეჯიბრებების და გაწვრთნილობის პროცესში, სპორტსმენის მდგომარეობის საკმაოდ რეალური ბიოლოგიური მაჩვენებელია. მთლიანი ჯგუფის და მ-ჯგუფის გულისცემის სიხშირის მაჩვენებლები 16 წელზე უფროს ასაკის სპორტსმენებისათვის და არასპორტსმენებისათვის, დატვირთვის პროცესის მიმდინარეობის მიხედვით (მოცემულია დროის მონაცემები – 5 წთ მოსვენებულ მდგომარეობაში, 30 წთ დატვირთვის 25-ე წთ, და 50 წთ დატვირთვის შემდეგ) მივიღებთ შემდეგ მონაცემებს: გულისცემის სიხშირის დინამიკა დატვირთვის პროცესში, ყველაზე მეტად არის გამოხატული საკონტროლო ჯგუფის მაგნიტოლაბილური პირებისათვის. თვითონ დატვირთვის პროცესის დინამიკა ერთნაირია ცდის ყველა პირისათვის. მაქსიმუმი მიიღწეოდა 30 წუთიანი ვარჯიშის დაწყების ბოლოსთვის [1]. ყველაზე უფრო აქტიურად რეაგირებენ არასპორტსმენები, შედარებით ნაკლებად – სპორტსმენები, მაგრამ არ არის ცნობილი როგორი რეაგირება ექნებათ მაგნიტურ ქარიშხლებზე იმ სპორტსმენებს, რომლებიც თავს დაანებებენ ვარჯიშს. მათი გულისცემის სიხშირის მნიშვნელობები შეიცვლება, გაიზრდება და მიუახლოვდება საკონტროლო ჯგუფის ცდის პირებში მიღებულ მნიშვნელობებს, თუ დარჩება ექსპერიმენტული მნიშვნელობის დონეზე. ჩვენ მიგვანჩნია, რომ დროთა განმავლობაში, რაღაც პერიოდში, გულისცემის სიხშირის მნიშვნელობები ნელ-ნელა შეიცვლება, გაიზრდება და მიუახლოვდება საკონტროლო ჯგუფის პირების მიერ მიღებულ მნიშვნელობებს; ამ პერიოდის ხანგრძლივობა დამოკიდებული იქნება, ძირითადად, სპორტსმენის ასაკზე და გაწვრთნილობაზე.


შეჯიბრებებზე გამოსვლის დროს სპორტსმენებისთვის წინასწარ ცნობილია ჩატარების ადგილი და დრო. მწვრთნელი და სპორტსმენი მზად უნდა იყვნენ, მაგნიტოლაბილობის ხარისხიდან გამომდინარე, სპორტსმენში მოსალოდნელი ცვლილებებისათვის და უნდა დაისახოს ამ ცვლილებათა გადალახვის გზები.

ჩვენს მიერ დამუშავებული იქნა გეომაგნიტოლაბილობის ტესტი, რომელიც განსაზღვრავს გულისცემის სიხშირის დატვირთვის დროით მახასიათებლებთან დამოკიდებულების მრუდს.

სხვადასხვა ასაკის და კვალიფიკაციის სპორტსმენის ტესტირებისას მაგნიტოლაბილობაზე – არამაგნიტურ და მაგნიტური აქტივობის წინა დღეს, შემოდგომის სეზონზე, ტარდება სპეციფიკური გეომაგნიტოლაბილობის ტესტი.

ტესტირებისთვის ირჩევენ სტანდარტული ვარჯიშით დატვირთვას 30 წუთის განმავლობაში. ვარჯიშის წინ 5 წუთის განმავლობაში ცდის პირი

იმყოფება მოსვენებულ მდგომარეობაში. 30 წუთიანი ვარჯიშის დამთავრების შემდეგ ცდის პირს ამყოფებენ ერთ საათამდე მოსვენებულ მდგომარეობაში. მთლიანი ტესტირების პერიოდი 100-105 წუთია. დროის ამ ინტერვალში ხდება გულისცემის სიხშირის რეგისტრაცია ყოველ ხუთ წუთში. ფაქტობრივად, ეს არის გულისცემის სიხშირის რეგისტრაცია დატვირთვის მთლიან პროცესში – ფიზიკური დატვირთვის წინ, მის დროს და შემდეგ. მონაცემები გადაიტანება გრაფიკზე, რომელზეც უკვე დატანებულია ნორმალური გრაფიკი, განსაზღვრული არამაგნიტოლაბილური და სხვადასხვა ხარისხის მაგნიტოლაბილობის მქონე სპორტსმენებისათვის (სურ. 1).



სურ. 1. ექსპერიმენტული ჯგუფის ცდის პირების გეომაგნიტოლაბილობის ტესტი. ისრებით აღნიშნულია დატვირთვის დაწყება და დამთავრება.

სულ გრაფიკს დაეცანება 5 მრუდი:

1. ნორმა;
2. 3 მრუდი მაგნიტოლაბილობის სხვადასხვა ხარისხის (I-III) მიხედვით;
3. ცდის პირის გრაფიკი მაგნიტური აქტივობის წინა დღეს.

სურ. 1-ზე მოცემულია შემდეგი მრუდები:

1. გრაფიკი ჩვეულებრივი სპორტსმენებისათვის, რაც ითვლება ნორმალურ მდგომარეობად.
2. III ხარისხის მაგნიტოლაბილობის მქონე სპორტსმენების გრაფიკი;
3. II ხარისხის მაგნიტოლაბილობის მქონე სპორტსმენების გრაფიკი;
4. I ხარისხის მაგნიტოლაბილობის მქონე სპორტსმენების გრაფიკი;
5. ცდის პირი 35-ის გრაფიკი.

გეომაგნიტოლაბილობის გრაფიკების ანალიზი კეთდება საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის აკადემიაში, სპეციალური კომპიუტერული პროგრამის საშუალებით. კომპიუტერული ანალიზი, ძირითადად,

ეყრდნობა შემდეგ მონაცემებს: 1. გულისცემის სიხშირის მნიშვნელობა დატვირთვის 30-ე წუთზე; 2. გულისცემის სიხშირის მნიშვნელობა დატვირთვის შემდეგ, მე-5 წუთზე; 3. ფონურ მნიშვნელობამდე რევერსიის ხანგრძლივობა. ამ პარამეტრებით კომპიუტერული პროგრამა საზღვრავს გეომაგნიტოლაბილობის ხარისხს.

გამოსაკვლევი სპორტსმენის ტესტირების მონაცემები გადაიტანება გეომაგნიტოლაბილობის გრაფიკზე და კომპიუტერული ანალიზის საფუძველზე დგინდება გეომაგნიტოლაბილობის სტადია სპორტსმენისათვის და შემდეგ კეთდება შესაბამისი დასკვნები და ანალიზი.

ვაქტობრივად, დგინდება გეომაგნიტოლაბილობის ხარისხი. I ხარისხის გეომაგნიტოლაბილობა გულისხმობს ცდის პირში დაბალი გეომაგნიტოლაბილობის არსებობას, მე-2 ხარისხი – საშუალო და მე-3 ხარისხი კი – მაღალ გეომაგნიტოლაბილობას.

მ-ჯგუფის 21 სპორტსმენიდან, რომელთაც ჩაუტარდათ ტესტირება, სამს (III ხარისხის გეომაგნიტოლაბილობა) მიეცა რეკომენდაცია, რომ ჩაიტარონ კონსულტაციები ამ საკითხებზე მომუშავე მედიცინის წარმომადგენელთან; 10 სპორტსმენი (I ხარისხის გეომაგნიტოლაბილობის) იმყოფება მწვერთნელის დაკვირვების ქვეშ და პერიოდულად, შემოდგომაზე იკეთებენ გეომაგნიტოლაბილობის ტესტს (დაბალი გეომაგნიტოლაბილობის მქონე სპორტსმენები). 8 სპორტსმენისათვის (საშუალო გეომაგნიტოლაბილობის მქონე სპორტსმენები, ლაბილობის II ხარისხი) შემუშავდა მაგნიტურ დღეებში ნაკლებად დატვირთული საწვრთნო პროგრამა, რის შედეგადაც 5 მათგანს გამოუსწორდა მდგომარეობა და 1 წლის შემდეგ გადავიდნენ დაბალი მაგნიტოლაბილობის ჯგუფში, თუმცა მაინც იმყოფებოდნენ მწვერთნელის დაკვირვების ქვეშ.

მაგნიტოლაბილობის ხარისხი წარმოადგენს გარკვეულ ბიოლოგიურ კრიტერიუმს, რომლის საშუალებით ჩვენ შეგვიძლია ვიმსჯელოთ სპორტსმენის როგორც ფუნქციურ, ასევე ფიზიკურ შესაძლებლობებზე, და, რაც მთავარია, შესაბამისი რეკომენდაციები მივცეთ სპორტსმენსა და მწვერთნელს სასწავლო-საწვრთნო პროცესის ოპტიმალურად წარმართვისათვის, განსაკუთრებით საშუალო პერიოდში – უმეტესად იმ სპორტსმენებისათვის, რომლებიც გარკვეულწილად რეაგირებენ სხვადასხვა სახის ბიოლოგიურ გამაღიზიანებელზე (ჩვენ შემთხვევაში მაგნიტურ ქარიშხლებზე).

გეომაგნიტოლაბილური სპორტსმენებისათვის საწვრთნო-სასწავლო პროცესში მთავარ საკითხს წარმოადგენს:

- შერჩევის პროცესში გეომაგნიტოლაბილური სპორტსმენების გამოვლენა;
- სპორტსმენებში მაგნიტოლაბილობის გამოვლენა;
- გეომაგნიტოლაბილური სპორტსმენებისათვის წვრთნის პროცესის ოპტიმიზაცია.

მაგნიტოლაბილობას ყურადღება უნდა მიექცეს ჯერ შერჩევის დროს და შემდეგ სპორტსმენის ფორმირების პროცესში. მაგნიტოლაბილობის ტესტის გამოყენების შემთხვევაში საჭიროა განისაზღვროს სპორტსმენთა მომზადების ინდივიდუალური პროგრამა.

სპორტსმენთა აღზრდისა და წვრთნის პროცესის, შერჩევის სისტემის ინტენსიფიკაციისათვის საჭიროა მწვრთნელებმა, სხვა მონაცემებთან ერთად, გამოიყენონ გეომაგნიტოლაბილობის ტესტი. ამ ტესტით ღვინდება სპორტსმენების და დამწყები სპორტსმენების მაგნიტოლაბილობის ხარისხი და, ამ მონაცემების გათვალისწინებით, ხდება საწვრთნო-სასწავლო პროცესის კორექტირება.

ხაზი უნდა გაეკვას, რომ სპორტსმენების შეჯიბრებებისათვის მომზადების პერიოდში მწვრთნელმა, სხვა საკითხებთან ერთად, ყურადღება უნდა მიაქციოს მაგნიტოლაბილობის საკითხს; ეს ხელს შეუწყობს სპორტსმენებს შეჯიბრის დროს ოპტიმალური მაჩვენებლების გამოვლენაში და მაღალი სპორტული შედეგების მიღწევაში.

ჩვენი მონაცემებით დასტურდება, რომ სპორტსმენებში გულისცემის სიხშირე საკმაოდ კარგი მაჩვენებელია სპორტსმენთა ფიზიკური და ფსიქიკური მომზადების განსაზღვრისათვის. გულისცემის სიხშირის კონტროლი აუცილებელია არა მარტო სპორტული ვარჯიშების დროს, არამედ სპორტული შეჯიბრებების ჩატარების პერიოდშიც.

მწვრთნელის პედაგოგიური მუშაობის პროცესში აუცილებლად უნდა იყოს ჩართული გულისცემის სიხშირის განსაზღვრა ჩვეულებრივ და მაგნიტურ დღეებში (რეკომენდებულია შემოდგომის პერიოდში), და გამოვლენილი გეომაგნიტოლაბილობის შემთხვევაში უნდა მოხდეს შესაბამისი რეაგირება.

ლიტერატურა

1. ტატიაშვილი ვ., ფირანაშვილი გ., ხიპაშვილი ი., მირცხულავა მ., კორინთელი ვ., კოტორაშვილი თ. საქ. მეცნ. აკად. მაცნე, ბიულ. სერია-А, 2004, 30, 873-877.

ТЕСТ ГЕОМАГНИТОЛАБИЛЬНОСТИ

М. Мирцхулава, Е. Таташвили, Д. Читашвили, Г. Фиранашвили, И. Хипашвили, Е. Коринтели, Т. Которашвили

Академия физического воспитания и спорта Грузии, Тбилиси

РЕЗЮМЕ

Степень магнитолабильности представляет собой биологический критерий, с помощью которого можно судить как о функциональных параметрах, так и физических способностях спортсменов в период соревнований, в первую очередь у таких спортсменов, которые реагируют на биологические раздражители.

Проведенные исследования показывают, что в период физического воспитания и в процессе отбора молодых спортсменов, наряду с анализом других показателей, для интенсификации этого процесса следует применять тест геомагнитолабильности. Результаты этого теста позволяют корректировать учебно-тренировочный процесс спортсменов.

GEOMAGNETOLABILITY TEST

*M. Mirtskhulava, E. Tatiashvili, D. Chitashvili, G. Piranishvili, I. Khipashvili,
E. Korinteli, T. Kotorashvili*

Georgian Academy of Physical Education and Sports, Tbilisi

SUMMARY

Degree of geomagnetolability is a biological criterion, which allows judging about functional parameters and physical possibilities of the sportsmen during competitions; this is true, first, in those sportsmen, which react to biological irritants.

The present investigation showed that during physical education and in process of selection of the young sportsmen, along with analysis of other parameters, it is necessary to apply the geomagnetolability test in order to optimize this process. With an aid of this test degree of geomagnetolability becomes evident that enables correction of education-training process in the sportsmen.

ფორმალინში გასტერილიზებული და დაკონსერვებული ძვლის სტრუქტურული და ქიმიური ორგანიზაციის თავისებურებანი

მ. შვიდობაძე, ნ. ელიზბარაშვილი

ო. დუღუშაურის სახელობის ეროვნული სამედიცინო ცენტრი, თბილისი

მიღებულია 26.01.2005

მორფოლოგიური ანალიზის გამოყენებით (ელექტრონული მიკროსკოპია, ლუმინესცენტური ციტო- და ჰისტოქიმია, ციტო- და ჰისტოლოგია) შესწავლილია ნორმალური და ფორმალინიზებული ძვლების (290 ნიმუში) სტრუქტურული და ქიმიური ორგანიზაციაში განვითარებული ინტიმური პროცესები, 3 დღიდან 1 წლამდე ვადებში.

კონსერვაციის 3 თვემდე ძვლის ჰისტოლოგიური შენება ნორმალურია. ოსეოკოლაგენური ფიბრილები, ძირითადი ნივთიერება, ძვლის უჯრედები ანათებენ მწკანე ფერით, ზოგი უჯრედი კი – ოდნავ მოყვითალო ელფერით, რაც ცნობის I ხარისხის დისოციაციაზე მიუთითებს.

კონსერვაციის ვადების ზრდასთან ერთად (4-6 თვე), ადგილობრივი პომეოსტაზის მარეგულირებელი მექანიზმი სუსტდება, იწყება ძვლის მუკოპოლისაქარიდული კომპლექსების რევევა. ოსტეობლასტების და ოსტეოციტების ბირთვები მკვრივდება, ენდოპლაზმური ქსელი და ორგანელები იშლება. ამ ფონზე ოსეოკოლაგენური ფიბრილები და ძირითადი ნივთიერება შედარებით შენახულია, ნათება ყვითელ-ნარინჯისფერია.

შემდეგ (8-12 თვე), დეზინტეგრაცია ძვლის ყველა სტრუქტურას მოიცავს.

ჩვენი მასალის ანალიზის საფუძველზე ვთვლით, რომ 1% ფორმალინში გასტერილებული და დაკონსერვებული ძვლის გადანერგვის ოპტიმალური პერიოდი 3 თვემდეა, როცა ძვალი ბიოლოგიურად შედარებით სრულფასოვანია.

ძვლების არასტერილურ პირობებში დამზადების, ფორმალინში გასტერილების და დაკონსერვების ჩვენი მეთოდი ეფექტურია, ტექნიკურად მარტივი და ეკონომიკურად მომგებიანი.

საკვანძო სიტყვები: ძვალი, ფორმალინი, კონსერვაცია, გადანერგვა, სტრუქტურული და ქიმიური ორგანიზაცია

საყრდენ-მამოძრავებელი სისტემის ტრავმული დაზიანებებისას ძვლის ალოტრანსპლანტაცია თავის პოზიციებს მყარად ინარჩუნებს. ამ ასპექტში მნიშვნელოვანია ძვლის ალოტრანსპლანტატების დაკონსერვების მეთოდის და გადანერგვის ოპტიმალური ვადების დადგენა.

ძვლის ალტრანსპლანტაციის მრავალწლიანი ისტორიის მანძილზე მოწოდებული იყო კონსერვაციის უამრავი ქიმიური და ფიზიკური მეთოდი (სხვადასხვა შემადგენლობის ხსნარები, ღრმა გაყინვა, ლიოფილიზაცია) [1-6, 8], მაგრამ ეს მეთოდები მითხოვს მასალის სტერილურ პირობებში აღებას, ძვირადღირებულ აპარატურას, სპეციალურ მომსახურე პერსონალს, რაც ტექნიკურ და ეკონომიკურ სიძნელეებთანაა დაკავშირებული.

ჩვენ მიზნად დავიხაზეთ ძვლის არასტერილურ პირობებში აღებული, 1% ფორმალინში გასტერილებული და დაკონსერვებული ძვლების სტრუქტურულ და ქიმიურ ორგანიზაციაში მიმდინარე ინტიმური პროცესების შესწავლის საფუძველზე დაგვედგინა მეთოდის ეფექტურობა და გადაწერვის ოპტიმალური ვადები.

მასალა და მეთოდები

შევისწავლეთ ახალი, 1% ფორმალინში გასტერილებული და დაკონსერვებული ძვლები (290 ნიმუში), ნატიფი მორფოლოგიური ანალიზის კომპლექსური მეთოდების გამოყენებით.

ელექტრონულ-მიკროსკოპიული გამოკვლევა

გამოსაკვლევი ძვლის დაქუცმაცებული ნაწილები ფიქსირდება 5%-იან გლუტარალდეჰიდში, 0,2 მოლარულ ფოსფატურ ბუფერზე, შემდეგ ირეცხება ამავე ბუფერით (pH 7,2). შემდგომი ფიქსაცია – მილონინგით. აღმავალ სპირტებში გატარების შემდეგ, მასალა გადაიტანება 2%-იან ურანილაცეტატის ხსნარში აცეტონით. ჩაყალიბება №1 ეულატინის კაფსულებში არალდიტების ნარევიში. დეპოლიმერიზაცია ხორციელდება თერმოსტატში 60°C. 400-600 Å სისქის ანათლები მზადდება აღმასის ან მინის დანებით ულტრამიკროტომზე – LKB 8.800. მონტირება გაღვანურ ბადეზე, კონტრასტირება ტყვიის ციტრატით რეინოლდსის მეთოდით. გამოკვლევა ელექტრონულ მიკროსკოპზე JEM-7A.

ლუმინესცენტური ციტო- და პისტოქიმიური გამოკვლევა

ჩვენს შევიმუშავეთ ღნპ, რნპ და მჟავე მუკოპოლისაქარიდების ცილების ერთდროული გამოვლენის მეთოდი. გამყინავ მიკროტომზე მომზადებული 6-8 მკმ სისქის ანათლების ფიქსაცია ხდება 96° სპირტში, პრეპარატი ირეცხება გამოხდილი წყლით და ხდება ფლუოროქრომირება: ღნპ – აკრიდინის ნარიინჯისფერით (AO); რნპ – კონგო წითლით, კოლაგენური ცილები მეთილენის მწვანით, მჟავე მუკოპოლისაქარიდები – მჟავე ფუქსინით, ფოსფატურ ბუფერზე, pH მერყეობს 3,2 დან 6,0 მდე, ინტერვალით 0,4; ყველა ფლუოროქრომი გამოიყენება განზავებით 1:1000. ღნპ, რნპ და მჟავე მუკოპოლისაქარიდების ერთდროული გამოვლენისათვის გამოიყენება ნარევი: AO – 5 მლ, კონგო წითელი 2 მლ, მჟავე ფუქსინი 1 მლ, ფლუოროქრომირება გრძელდება 2-3 წთ. შემდეგ პრეპარატი ირეცხება და დათვალიერება ხდება ლუმინესცენტურ მიკროსკოპში МЛД-1, Фс-3, Фс-6 ფილტრების გამოყენებით, სინათლის დამხურავ ფილტრებთან ж-3, жс-18 კომბინაციაში. გაღდება ფოტოფირზე, 100, 400 გადიდებით და იმერსიით.

რნპ იდენტიფიკაცია ხდება კონტროლით კრისტალური რიბონუკლეაზით (Reanal, უნგრეთი). მჟავე მუკოპოლისაქარიდების იდენტიფიკაცია ხდება იმავე ფირმის ჰიალურონიდაზით.

ციტო- და ჰისტოქიმიური გამოკვლევა


მასალა ფიქსირდება 10%-იან ფორმალინში; ნაწილი იჭრება გამყინავ მიკროტომზე, ნაწილი ყალიბდება ცელოიდინში. ღნპ ვლინდება ფოლგენის ნუკლეინური რეაქციით, რნპ – შაბადაშით – მეთილენის ლურჯით, pH-ის სხვადასხვა მნიშვნელობაზე 2,2-დან 5,6-მდე, ინტერვალით 0,4; ნეიტრალური მუკოპოლისაქარიდების გამოვლენა შიკ-რეაქციით, შიფ-მაკ-მანუსის მეთოდით; გლიკოგენის – შაბადაშით; მჟავე მუკოპოლისაქარიდების – ტოლუიდინის ლურჯით pH-ის ვარირებით 2,8-დან 6,0-მდე, 0,4 ინტერვალით; ალციანის ლურჯით სტიდმენის მეთოდით, კოლოიდური რკინით – პეილით და ძირითადი ყავისფერით – შუბინით. კოლაგენური ბოჭკოების იმპრეგნაცია – ფუტით. რნმ-ს იდენტიფიკაცია ხორციელდება რიბონუკლეაზით. მუკოპოლისაქარიდების – ვინოგრადოვის და ფუქსის სქემით, სპიკერის რეკომენდაციის გათვალისწინებით. შესაბამისი ქიმიური და ფერმენტული კონტროლით, ანათლების დამუშავება ბაქტერიული და ტესტიკულური ჰიალურონიდაზით, ამილაზით, მეთილირებით, დემეთილირებით, აცეტილირებით და დეაცეტილირებით.

ჰისტოლოგიური გამოკვლევა


მასალა ფიქსირდება 10% ნეიტრალურ ფორმალინში, ჩაყალიბება ცელოიდინში. ნაწილი მზადდება გამყინავ მიკროტომზე. შეღებვა ჰემატოქსილინ-ეოზინით და პიკროფუქსინით, ვანგიზონით, კოლაგენური ბოჭკოების იმპრეგნაცია – ფუტით.

შეღებვა და მათი განხილვა

ახალი, ნორმალური ძვალი ანათებს მწვანე ფერით. ამასთან, კორტიკალური შრე, ძვლის ხარიხები, ძირითადი ნივთიერება, ოსეოკოლაგენური ფიბრილები ლუმიენსცირებენ მუქ მწვანე ფერად. პოვერსის სისტემა, სისხლძარღვები, ძვლის ტვინის და სისხლის უჯრედული ელემენტები, ოსტეობლასტები გამოირჩევიან კაშკაშა ღია მწვანე ნათებით. ეს აიხსნება ქსოვილის სტაბილური კოლოიდური მდგომარეობით, რომელიც სადებავეების მიმართ მდგრადია და ფლუოროქრომების უმნიშვნელო რაოდენობას შთანთქავს. ელექტრონულ-მიკროსკოპულად ოსტეობლასტები დიდი ზომის ბირთვით და მაღალორგანიზებული ციტოპლაზმით გამოირჩევიან, რაც მათ ფუნქციურ აქტივობაზე მიუთითებს; ოსტეოციტები – წავგრძელებული ბირთვებით და ციტოპლაზმით, რაც მათი ფუნქციური აქტივობის შეწყვეტის მაუწყებელია. არასტერილურ პირობებში დამზადებული და 1%-იან ფორმალინში გასტერილებული ძვლის ულტრასტრუქტურა და ქიმიური ორგანიზაცია ნორმალური ძვლისაგან არ განსხვავდება. ძვლის ელემენტები იგივე მწვანე ფერით ლუმიენსცირებენ, როგორც ახალი ძვლის იდენტური სტრუქტურები.




სურ. 1. 1% ფორმალინში გასტერილებული ძელის ჰისტოლოგიური სტრუქტურა ნორმალურია. ჰემატოქსილინ-ეოზინი, $\times 150$.




სურ. 2. ფორმალინში გასტერილებული ოსტეობლასტის ულტრასტრუქტურა ნორმალურია. ელექტრონული მიკროგრაფია, $\times 36000$.

3 თვემდე ვალებში დაკონსერვებული ძელის ლუმინესცენციის ინტენსივობა და ხასიათი ნორმის ფარგლებშია. ძელის კორტიკალური შრე, ძელის ხარისები, ძირითადი ნივთიერება ლუმინესცირებს მწკანე ფერით, თუმცა უკვე ზოგიერთი უჯრედის ნათება მოყვითალო ელფერს იძენს, რაც ღნმ-ს I-ხარისხის დისოციაციაზე მიუთითებს. ოსეოკლაგენური ფიბრილების და ძირითადი ნივთიერების ულტრასტრუქტურა ნორმალურია. ფიბრილები ინარჩუნებენ განივზოლიანობას, კარგად გამოხატული ნათელი და ბნელი პერიოდების კანონზომიერი მონაცვლეობით. მკავე და ნეიტრალური მუკოპოლისაქარიდები ლუმინესცენტურ-ჰისტოქიმიური და ჰისტოქიმიური მეთოდებით სუსტად ვლინდება, რაც ცილოვან-პოლისაქარიდული კომპლექსების რეაქციისუნარიან ქიმიურ ჯგუფებში შიდამოლეკულური კავშირების სიმტკიცეზე მიუთითებს. ამ კომპოსტაზში მნიშვნელოვან როლს ღიზო-სომური აპარატი ასრულებს. ამაზე მეტყველებს მათი სიმრავლე და პო-

ლიმორფიზმი. გვხვდება როგორც პირველადი, ისე აუტოფაგოლიზოსომები, ლიზოსომური კონგლომერატები. პირველადი ლიზოსომები მრგვალი ან ოვალური ფორმისაა, შეცავს საშუალო ელექტრონული სიმკვრივის პომოგენურ მასას და ციტოლიზურ სექვესტრებს.



სურ. 3. 3 თვის და-კონსერვებულ ძვალში ოსტეობლასტის ბირთვი გამკვრივებულია, ენდოპლაზმური ქსელი დარღვეულია. ელექტრონული მიკროგრაფი $\times 36000$.



სურ. 4. 3 თვის და-კონსერვებულ ძვალში ოსეოკლაგენური ფაბრიკების პერიოდული შენარჩუნებულია. ელექტრონული მიკროგრაფი $\times 36000$.

აუტოფაგოლიზოსომები ოვალური ფორმისაა, შეიცავს ელექტრონოპტიკურად მეტ-ნაკლებად ნათელ სუბსტანციას, წვრილმარცვლოვან გრანულებს და ლიზისის სხვადასხვა ფაზაში მყოფ პომოგენურ ჩანართებს. მეტაბოლიზმის პროდუქტები ციტომემბრანიდან გადადიან უჯრედშორის სივრცეში და ამით განაპირობებენ უჯრედთა გადარჩენას. ლიზოსომების რაოდენობის ზრდა და პოლიმორფიზმი შეიძლება ჩავთვალოთ ლიზოსომური ფერმენტების გააქტიურებად აუტოლიზური პროცესების კუპირებაში.

კონსერვაციის ვადების ზრდასთან ერთად (4-6 თვე), მექანიზმი, რომელიც ადგილობრივ ჰომეოსტაზს არეგულირებს, სუსტდება, იწყება ძვლის ცილოვან-პოლისაქარიდული კომპლექსების დაშლა. ელექტრონულ-მიკროსკოპიულად ოსტეობლასტების და ოსტეოციტების ბირთვები მკვერივდება, ენდოპლაზმური ბაღე და ორგანელები იშლება. ეს სტრუქტურები ლუმინესცირებენ ყვითელ-ნარინჯისფრად, რაც მათ სიცოცხლისუნარიანობას გამორიცხავს. ოსეოკლაგენური ფიბრილები და ძირითადი ნივთიერება რამდენადმე შენახულია. ლუმინესცირებენ ყვითელ-ნარინჯისფრად.

მოგვიანებით (8-12 თვე), დეზინტეგრაცია ძვლის ყველა სტრუქტურას მოიცავს. ირდევია ოსეოკლაგენური ფიბრილების განივზოლიანობა; ლიზისის პროცესებზე მიუთითებს ოსეოკლაგენური ფიბრილების პერიოდების სიგრძის და სიგანის ზრდა და მათგან მუავე და ნეიტრალური მუკოპოლისაქარიდების გამოსვლა. ამას ადასტურებს ამ ნივთიერებათა გაძლიერებული ეკრანიზაცია სათანადო ლუმინესცენტურ-პისტოქიმიური და პისტოქიმიური რეაქციებით. ამას მოწმობს ჰომოგენური ძვლის წითელი ფერის ლუმინესცენციის მთლიანი ფართო ზოლი.



სურ. 5. 1 წლის დაკონსერვებულ ძვალში უჯრედული ელემენტები აღარ ვლინდება. ოსეოკლაგენური ფიბრილები წარმოდგენილია ჰომოგენური სტრუქტურით. ლუმინესცენტური მიკროსკოპია, $\times 135$.

ჩვენმა გამოკვლევებმა დაგვარწმუნა ძვლის სიცოცხლისუნარიანობის დაღენაში ლუმინესცენტურ-მიკროსკოპიული მეთოდის საიმედოობაში. ფლუოროქრომები შედიან რა კავშირში ქსოვილის ქიმიურ ინგრედიენტებთან, ლუმინესცირებენ სხვადასხვა ფერით. ამასთან, ცოცხალი სტრუქტურები სტაბილური კოლოიდური მდგომარეობით, ავლენენ მდგრადობას სადებავების მიმართ და ფლუოროქრომების უმნიშვნელო რაოდენობას შთანთქავენ. რაც მოკლევადიანი სპექტრის მხარეს მწვანე და მბრწყინავი მწვანე ნათებით ვლინდება.

ქსოვილის დესტრუქციისას გამოთავისუფლებული რეაქციისუნარიანი ჯგუფები ფლუოროქრომებს ინტენსიურად შთანთქავენ; შესაბამისად, ლუმინესცენცია სპექტრის გრძელტალღიანი ნაწილისაკენ იხრება (ნარინჯისფერი წითელი და წითელი).

ლუმიინესცენციის ფერთა გამა ქსოვილის სტრუქტურულ და ქიმიურ ორგანიზაციაში უმცირეს ძვრებს გვინყენებს, რაც ჰისტოლოგიური გამოკვლევის სხვა მეთოდებისათვის მუწოდომელია [2].

ჩვენი დაკვირვებით, კონსერვაციის გარკვეულ ზღვრამდე ქსოვილში ადგილობრივ ჰომეოსტაზში მნიშვნელოვან როლს ასრულებს უჯრედის ლიზოსომური აპარატი. ფორმალინი ავლენს მასტაბილიზებელ მოქმედებას ლიზოსომების მემბრანულ სისტემაზე. ამ პირობებში უჯრედის მეტაბოლიზმის პროდუქტები არ მოქმედებს ლიზოსომების მემბრანების განვლადობაზე, რაც გამოიწვევდა ლიზოსომებიდან კატეფისინის მსგავსი ფერმენტების – პროტეაზების გამოსვლას და ძვლის ქსოვილის ლიზოსის. მექანიზმები, რომლებიც არეგულირებენ ლიზოსომების ფუნქციას საკმაოდ მდგრადია, მაგრამ ისინი მოქმედებენ გარკვეულ საზღვრებში. კონსერვაციის ვადების ზრდასთან ერთად, ანაერობული გლიკოლიზის პროცესები ძლიერდება, რასაც მიყვავართ არაკომპენსირებად მეტაბოლურ აციდოზამდე. ამ ეტაპზე დაშლის პროდუქტები გამოდიან ლაბილიზატორის როლში, რომლებიც ზრდიან ლიზოსომური მემბრანების განვლადობას. ძლიერდება პროტეოლიზური ფერმენტების გამოდიება და დესტრუქციული პროცესები ღრმავდება.

ამ პროცესების პათოგენეტიკურ საფუძველს წარმოადგენს ლიზოსომების ფუნქციის მარეგულირებელი მექანიზმების რღვევა; ამ პროცესში მთავარია ლიზოსომების მემბრანული და ფერმენტული სისტემის ცვლილებები. ლიზოსომური აპარატის აქტიურ როლზე დაკონსერვებული ძვლის ადგილობრივ ჰომეოსტაზში მიუთითებენ სხვა ავტორებიც [7].

ჩვენი მასალის ანალიზის საფუძველზე ვთვლით, რომ 1% ფორმალინში გასტერილებული და დაკონსერვებული ძვლის გადანერგვის ოპტიმალური პერიოდია პირველი დღიდან 3 თვემდე, როცა ძვალი ბიოლოგიურად შედარებით სრულფასოვანია.

ძვლების არასტერილურ პირობებში დამზადების, ფორმალინში გასტერილების და დაკონსერვების ჩვენი მეთოდი ეფექტურია. ამასთან, ის ტექნიკურად მარტივია, არ მოითხოვს ძვირადღირებულ აპარატურას და სპეციალურ მომსახურე პერსონალს; ეკონომიურადაც მომგებიანია.

ლიტერატურა

1. *Берченко М.Н., Косимов А.А., Лекишвили М.В.* Способ применения костных поверхностей деминерализованного аллотрансплантата Аллокость для замещения костных дефектов и стимуляции остеосинтеза. Москва, 2003.
2. *Бревис П.В., Василев Ю.М.* Бюлл. эксп. биол. мед., 1959, 47, 3-9.
3. *Волков М.В., Бизер В.А.* Гомотрансплантация костной ткани у детей. Москва, Медицина, 1969.
4. *Клен Р.* Заготовка и консервирование тканей. Прага, 1962.
5. *Малахов О.А., Белых С.И.* Вестник правматологии и ортопедии им Н.Н. Приорова, 2004, 2, 49-54.
6. *Парфентьев В.Ф., Развадовский В.Д., Дмитриенко В.И., Постников А.А.* Бактерицидность консервирующих сред с формалином. Кишинёв, 1967.
7. *Уратков Е.Ф., Михаилова Л.Н.* Архив патологии, 1971, 4, 37-43.
8. *Фейгельман С.С.* Некоторые вопросы консервации и гомотрансплантации костей. Москва, Медицина, 1974.

ОСОБЕННОСТИ СТРУКТУРНОЙ И ХИМИЧЕСКОЙ ОРГАНИЗАЦИИ КОСТЕЙ, СТЕРИЛИЗОВАННЫХ И КОНСЕРВИРОВАННЫХ В ФОРМАЛИНЕ

М. Мшвидобадзе, Н. Елизбарашвили

Национальный медицинский центр им. О.Н. Гудушаури, Тбилиси

РЕЗЮМЕ

Изучена структурная и химическая организации нормальных и формалинированных костей (290 образцов), в различные сроки – с 3 дней до 1 года. Исследование проведено методами тонкого морфологического анализа (электронная микроскопия, люминесцентная цито- и гистохимия, цито- и гистохимия, гистология).

Структурная и химическая организация стерилизованных костей идентична с таковой нормальной кости.

В период до 3 месяцев консервации, гистологическое строение кости нормальное. Оссеоколлагеновые фибриллы, основное вещество и костные клетки люминесцируют зелёным цветом. Часть клеток – с желтоватым оттенком, что свидетельствует о разрупнении молекул ДНК I степени. Мукополисахариды выявляются неинтенсивно, что говорит о прочности межмолекулярных связей в реактивных химических группах белково-полисахаридных комплексов.

С увеличением сроков консервации (4-6 месяцев), механизм, регулирующий местный гомеостаз слабеет. Начинается распад мукополисахаридных комплексов кости, ядра остеобластов и остеоцитов уплотнены, эндоплазматическая сеть и органеллы разрушены. Сравнительно сохранены оссеоколлагеновые фибриллы, основное вещество, которые люминесцируют желто-оранжевым цветом.

Далее (8-12 месяцев) дезинтеграция захватывает все структуры.

На основании анализа нашего материала считаем, что оптимальный срок пересадки стерилизованных и консервированных в 1% формалине костей, это период с первых дней до 3 месяцев, когда кость биологически более полноценна. Наш метод заготовки костей эффективен, технически прост и экономически выгоден.

STRUCTURAL AND CHEMICAL CHARACTERISTICS OF THE BONES STERILIZED AND CONSERVED IN FORMALIN

M. Mshvidobadze, N. Elizbarashvili

O. Gudushauri National Medical Center, Tbilisi

SUMMARY

The fine processes developed in structural and chemical organization in normal and formalin-treated bones (290 specimens) were studied by means of the methods of morphological analysis (electron microscope, luminescent cyto- and histochemistry, histology), covering the period from 3 days to 1 year.

It was found that the structure and chemical organization of fresh and formalin-treated bones are the same. This observation applies to the qualities of bone marrow, osteons, osteoblasts, osteocytes, osseocollagen fibrills. The bright green fluorescence indicated the viability of the bone.

Histological structure of the bone within 3 months of preservation was found to be normal. With increase of conservation time (4-6 months), local homeostasis regulation mechanism is weakening and disintegration of mucopolysaccharide in bone complexes does begin. On this background osseocollagen fibrills and main substance are relatively intact and emit the yellow-orange light. Later on (8-12 months), disintegration embraces all the structure of the bone.

Based on the analysis of our material we consider that optimal time for grafting of the bones sterilized and conserved in 1 % formalin, is from the first days till three months, when the bone is relatively viable. The bone conservation method is technically simple and cost-efficient.

C რეაქტიული ცილის დიაგნოსტიკური დიროპულაბა სეფსისის დროს

ქ. მშვიდლობაძე, ა. ნანუაშვილი

საქართველოს სახელმწიფო სამედიცინო აკადემია, თბილისი

მიღებულია 14.03.2005

C რეაქტიული ცილა (CRP) განიხილება სეფსისის მიმდინარეობის შეფასების და სიმძიმის მარკერად. მიუხედავად ამისა, მისი დიაგნოსტიკური ღირებულება ჯერ კიდევ საკამათოა. ჩვენი შრომის მიზანს წარმოადგენდა სეფსისის სხვადასხვა სიმძიმის დროს, SOFA-ს მიხედვით, რუტინული ლაბორატორიული მანევრებლების ცვლილებასთან ერთად C რეაქტიული ცილის ცვლილების შესწავლა და მათი კლინიკური ღირებულების შედარება. 42 შესწავლილ პაციენტში მდგომარეობის გაუმჯობესებისას და გაუარესებისას, სხვა მანევრებლებთან შედარებით, ყველაზე სწრაფად C რეაქტიული ცილა რეაგირებდა, ხოლო სტაბილური მდგომარეობისას, როდესაც SOFA-ს ცვლილება 4 ქულაზე ნაკლებია, C რეაქტიული ცილის ცვლილება ნაკლებ ინფორმატიულია.

საკვანძო სიტყვები: C რეაქტიული ცილა (CRP), სეფსისი, SOFA, დიაგნოსტიკა

C რეაქტიული ცილა (CRP) არის მწვავე ანთებითი რეაქციის ფაზის საზომი. პირველად ის 1930 წელს აღწერეს. იმის გამო, რომ ადამიანის პლაზმის ერთ-ერთი ცილა პნევმოკოკურ C პოლისაქარიდულ ანტიგენთან პრეციპიტაციას იძლეოდა, მას CRP უწოდეს. დღეისათვის ცნობილია, რომ როგორც ინფექციური, ასევე არაინფექციური მწვავე ანთებითი რეაქცია CRP-ს მკვეთრ მომატებას იწვევს. თავისთავად ეს მანევრებელი რაიმე კონკრეტულ ნოზოლოგიაზე არ მიანიშნებს, მაგრამ კლინიკურ და ლაბორატორიულ მონაცემებთან ერთობლიობაში, CRP საკმაოდ ინფორმატიულია. იგი ღვიძლის მიერ სინთეზირებული ციტოკინების რეგულატორული კონტროლის ქვეშ იმყოფება. CRP-ის და სხვა მწვავე ფაზის ცილების სინთეზი რეგულირდება ჰეპატოციტების ანთებითი ციტოკინებით. მათ შორის ძირითადი როლი ინტერლეიკინ-1-ს, ინტერლეიკინ-6-ს და სიმსივნის ნეკროზის ფაქტორს ეკუთვნის.

CRP ხშირად გამოიყენება სხვადასხვა ბაქტერიული ინფექციის დიაგნოსტიკაში. მაგალითად, აპენდიციტის დიაგნოზის დასაჩქარებლად, აგ-

რთვე სეფსისის სიმძიმის განსაზღვრისათვის. მიუხედავად ამ მონაცემებისა, CRP იზრდება ასევე არაინფექციური ეტიოლოგიის ანთების დროსაც, აუტომუნური და რევმატიული დაავადებების დროს, ავთვისებიანი სიმსივნის და პოსტოპერაციულ შემთხვევებში. გამოკვლევებით ნანახია, რომ CRP პლაზმაში იზრდება 24 საათის დაგვიანებით, სხვა ციტოკინებთან შედარებით, და ამ დონეზე, ხშირად, რამოდენიმე დღე რჩება. CRP-ს დონე სწრაფად იზრდება ჭრილობის, ანთების, ინფექციის დროს და სწრაფად მცირდება მდგომარეობის გაუმჯობესებისას. CRP-ს გაზრდილი დონე ყოველთვის ასოცირდება პათოლოგიურ ცვლილებებთან. იგი ანთებითი რეაქციის უფრო მგრძობიარე და საიმედო ინდიკატორია, ვიდრე JMS-ი და ლეიკოციტების რაოდენობა. პლაზმაში CRP-ს კონცენტრაცია უფრო სწრაფად იზრდება და კლებულობს, ვიდრე JMS. CRP-ს გაზრდა ბაქტერიული ინფექციებისას 4-6 საათი მიმდინარეობს და პიკს 36-50 საათში აღწევს.

CRP-ს გაზომვის ტრადიციული მეთოდები პრეციპიტაციის და აგლუტინაციის ანალიზებს მოიცავს. CRP-ს გაზომვის გაუმჯობესებული მეთოდია ზემგრძობიარე იმუნოტურბიდომეტრიული ანალიზი. იგი CRP-ს კონცენტრაციის სწრაფი განსაზღვრის საშუალებას იძლევა [1-5].

ჩვენი შრომის მიზანს წარმოადგენდა CRP-ს დიაგნოტიკური ღირებულების შესწავლა სეფსისის მიმდინარეობაში და მისი ისეთ ტრადიციულ მაჩვენებლებთან შედარება, როგორცაა JMS-ი, ლეიკოციტები, ახალგაზრდა ნეიტროფილები, რითაც დღეისათვის სარგებლობს მრავალი კლინიკა.

მასალა და მეთოდები

ჩვენ შევისწავლეთ სეფსისის დიაგნოზიანი 42 ავადმყოფი. ყველას, რუტინულ ანალიზებთან ერთად, დინამიკაში განესაზღვრათ CRP. CRP-ს რაოდენობრივი განსაზღვრა ხდებოდა ტურბიდომეტრიული მეთოდით. დაავადების სიმძიმე ფასდებოდა SOFA-ს (სეფსისით გამოწვეული ორგანული უკმარისობის შეფასების) ცხრილის მიხედვით. ეს ცხრილი ყვრდნობა ავადმყოფის 6 ფიზიოლოგიური სისტემის ფუნქციურ მდგომარეობას: სასუნთქი, კოაგულაციური, ჰეპატობილიარული, გულსისხლძარღვთა, CNS-ს და შარდგამომყოფი.

პაციენტები დაიყო 3 ჯგუფად: I ჯგუფი, სადაც მოხდა გაუმჯობესება (SOFA-ს დაკლება 4 ან მეტი ქულით); II ჯგუფი, სადაც აღინიშნა გაუარესება (SOFA-ს გაზრდა 4 ან მეტი ქულით) და III ჯგუფი, სადაც მნიშვნელოვანი დინამიკა, SOFA-ს ქულებით არ აღინიშნება. სამივე ჯგუფში CRP-ს მაჩვენებელი შედარდა ლაბორატორიულ (JMS, ნეიტროფილები) მაჩვენებლებს სეფსისის სხვადასხვა სიმძიმის პირობებში.

შედეგები და მათი განხილვა

I ჯგუფში (17 პაციენტი), სადაც SOFA-ს მიხედვით აღინიშნა გაუმჯობესება, CRP დაიკლო 30-ზე მეტი ერთეულით 14 შემთხვევაში, JMS-ს მნიშვნელოვანი კლება აღინიშნა 7 პაციენტში, ლეიკოციტების კლება

აღინიშნა 6 პაციენტში, მარცხნივ გადახრის შემცირება აღინიშნა 7 პაციენტში.

II ჯგუფში (8 პაციენტი), სადაც SOFA-ს მიხედვით აღინიშნა გაუარესება – CRP მოიმატა 30-ზე მეტი ერთეულით 6 შემთხვევაში, ელს გაიზარდა 2 პაციენტში, ლეიკოციტების მატება აღინიშნა 3 პაციენტს, მარცხნივ გადახრის ზრდა აღინიშნა 5 პაციენტში.

III ჯგუფში (17 პაციენტი), სადაც SOFA-ს მიხედვით აღინიშნებოდა უცვლელი დინამიკა – CRP უცვლელი დარჩა 4 პაციენტში, ელს უცვლელი იყო 5 პაციენტში, ლეიკოციტები უცვლელი იყო 7 პაციენტში, მარცხნივ გადახრა უცვლელი იყო 11 პაციენტში.

ამრიგად, SOFA-ს ცვლილების მიხედვით, პაციენტის სიმძიმის დინამიკასთან CRP-ს კორელაცია აღინიშნა ყველა ჯგუფში. გაუმჯობესების შემთხვევაში – 17-დან 14 პაციენტში, გაუარესებისას – 8-დან 6 პაციენტში, ხოლო უცვლელი მდგომარეობის დროს – 4 პაციენტში. ელს-ის, ლეიკოციტების და მარცხნივ გადახრის კორელაცია მდგომარეობის სიმძიმის ცვლილებასთან შედარებით ნაკლებად გამოვლინდა. საბოლოო ჯამში, პაციენტის მდგომარეობის სიმძიმესთან CRP-ს კორელაცია აღინიშნა 24 პაციენტში 42-დან, ელს-ის კორელაცია – 14-ში, ლეიკოციტების კორელაცია – 16-ში, ხოლო მარცხნივ გადახრის კორელაცია – 23 პაციენტში.

ცხრილი 1

CRP-ის და ზოგიერთი ტრადიციული მაჩვენებლის კორელაცია პაციენტის მდგომარეობის სიმძიმის ცვლილებასთან*

მდგომარეობა SOFA-ს მიხედვით	CRP	ელს	ლეიკოციტების რაოდენობის ცვლილება	ნეიტროფილების მარცხნივ გადახრა
გაუმჯობესება (n=17)	14	7	6	7
გაუარესება (n=8)	6	2	3	5
უცვლელი (n=17)	4	5	7	11
სულ (n=42)	24	14	16	23

* მითითებულია პაციენტთა რაოდენობა, რომლებშიც აღინიშნებოდა მაჩვენებლის ცვლილება.

ჩვენს მიერ მიღებული შედეგებიდან ნათელია, რომ პაციენტის მდგომარეობის გაუმჯობესებისას და გაუარესებისას ყველაზე სწრაფად, სხვა მაჩვენებლებთან შედარებით, CRP რეაგირებს, ხოლო უცვლელი მდგომარეობისას CRP-ის ცვლილება ნაკლებ ინფორმაციულია.

ლიტერატურა

1. Deodhar S. Cleve. Clin. J. Med., 1987, 56, 126-130.
2. Dias L.P., Alves Ribeiro Erçasap S., Ates E. Brazilian. J. Infect. Dis., 1999, 3, 15-22.

3. *DuClos T.W.* Ann. Med., 2000, 32, 274-278.
4. *Povoia P., Almeida E., Moreira P., Fernandes A., Mealha R., Aragoo A., Sobino H.* Intensive Care Med., 1998, 24, 1052-1056.
5. *Vincent J.L., Moreno R., Takala J., et al.* Intensive Care Med., 1996, 22, 707-710.

ДИАГНОСТИЧЕСКАЯ ЦЕННОСТЬ С-РЕАКТИВНОГО БЕЛКА ПРИ СЕПСИСЕ

К. Мшвидобаძე, А. Нануашვილი

Грузинская государственная медицинская Академия, Тбилиси

РЕЗЮМЕ

Целью работы являлось изучение сепсиса разной тяжести по таблице SOFA, в сравнении с другими лабораторными показателями, изменение С-реактивного белка (CRP) и сопоставление их клинической эффективности. Исследование проведено на 42-х пациентах. При улучшении состояния пациентов, наиболее быстро, по сравнению с другими показателями (СОЭ, наличие лейкоцитов), реагировал CRP, а при неизменном состоянии, когда изменение SOFA меньше 4-х баллов, изменение CRP менее информативно.

DIAGNOSTIC VALUE OF C-REACTIVE PROTEIN IN SEPSIS

K. Mshvidobadze, A. Nanuashvili

Georgian State Medical Academy, Tbilisi

SUMMARY

The aim of the study was determination of correlation of C-reactive protein (CRP) and other parameters (ESR, leukocytes) in the patients with sepsis of different severity, and comparison of the data of SOFA score and with their clinical values. Out of 42 patients, CRP most rapidly reacted with improving or worsening of health condition, as compared to other parameters; however, when the condition was stable and SOFA was less than 4 point, the changes of CRP were less informative.

ნილამიდის გავლენა კატაბის ძილ-ღვიძილის ციკლზე და არასასურველ ცვლილებათა კორექციის გზების ძიება

*ნ. ნაჭყებია, თ. ონიანი, მ. მეაღობლიშვილი-ნემსაძე,
ე. ჩიჯავაძე, ნ. ონიანი, ნ. ლორთქიფანიძე, ა. ნაჭყებია,
ე. ჩხარტიშვილი, მ. ბაბილოძე, შ. ძაძაძია.*

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ი. ბერიტაშვილის სახელობის ფიზიოლოგიის ინსტიტუტი, თბილისი

მიღებულია 15.03.2005

კატებზე ქრონიკული ექსპერიმენტის პირობებში შესწავლვებოდა ნილამიდის გავლენა ძილ-ღვიძილის ციკლზე (ძღც), და განხორციელდა არასასურველ დარღვევათა კორექციის გზების ძიება. კორექციისთვის შერჩეული იქნა სისხლში გლუკოზის დონის გაზრდა. ნაჩვენებია, რომ ნილამიდი იწვევს ძღც-ს არასასურველ ცვლილებებს: ძილის ლატენტური პერიოდის მკვეთრ გაზრდას, ძღც-ის ფაზათა ქცევით და მუშ პარამეტრებს შორის ძლიერი და ხანგრძლივი დისოციაციის განვითარებას, ზერელე ნელი ძილის (ზნძ) რაოდენობის ზრდას, ღრმა ნელი ძილის (ღნძ) რაოდენობის შემცირებას და პარადოქსული ძილის (პძ) სრულ დათრგუნვას, მოქმედების მთელი პერიოდის განმავლობაში. ნილამიდისა და გლუკოზის (ნ + გლ) ერთდროული შეყვანა ახდენს ნილამიდის იზოლირებული მოქმედებით გამოწვეული, ძღც-ს, თერაპიული თვალსაზრისით, არასასურველი ცვლილებების მნიშვნელოვან კორექციას. მიგვაჩნია, რომ ამგვარ კომბინაციას შეუძლია ანტიდეპრესანტი გახადოს უფრო უსაფრთხო, ადვილად გადასატანი და გაზარდოს წამლის ანტიდეპრესიული მოქმედების ეფექტურობა.

საკვანძო სიტყვები: ძილ-ღვიძილის ციკლი, დეპრესია, ნილამიდი, გლუკოზა, კატა

დეპრესიის დროს ხდება თავის ტვინის მონოამინერგული სისტემის მოქმედების ძლიერი დათრგუნვა და წარმოიქმნება მონოამინების მნიშვნელოვანი დეფიციტი, რაც ხშირად დაავადების გამომწვევე მიზეზად განიხილება. სწორედ ამის საფუძველზე იქნა დამუშავებული ანტიდეპრესანტები, რომლებიც თავის ტვინში მონოამინების კონცენტრაციის მატებას იწვევს. მაგრამ, როგორც საკუთრივ დეპრესიული დაავადება, ასევე მის სამკურნალოდ მოწოდებული წამლები, ეხებიან თავის ტვინის იმ ნეირომოდულატორული სისტემების მოქმედებას, რაც არსებით როლს თამაშობს ძღც-ს ულტრადიანული სტრუქტურის ჩამოყალიბებაში. სწორედ ამიტომ, ორივე

შემთხვევაში, ადგილი აქვს ძმც-ს მნიშვნელოვან ცვლილებებს. დეპრესიულ პაციენტებს ახასიათებთ დამოკლებული ღძ და დელტა აქტიურობა, მნიშვნელოვნად გაზრდილი პარადოქსული ძილი (პძ) და მისი მცირე ლატენობა [4, 23, 28]. რადგანაც ძილის დარღვევები დეპრესიის განვითარების შესაძლო ფაქტორებად განიხილება [7, 12, 25, 36], ცხადია, რომ სწორ ფარმაკოლოგიურ თერაპიას უნდა ჰქონდეს მისი ნორმალიზაციის უნარი. ამასთან დაკავშირებით ნაჩვენები იქნა, რომ თითქმის ყველა ანტიდეპრესანტი თრგუნავს პძ-ს როგორც ადამიანებში [5, 37], ასევე ცხოველებში [10, 20, 21, 27, 35]. ყველაზე ძლიერი და ხანგრძლივი ეფექტები აქვთ მა(ო)-ს კლასიკურ არაშექცევად ინჰიბიტორებს. ხშირად ისინი სრულიად სპობენ პძ-ს, როგორც პაციენტებში [6, 39], ისე ცხოველებში, წამლის მოქმედების მთელი დროის განმავლობაში [10, 20, 21, 27, 35]. ეს ეფექტი წარმოადგენს მნიშვნელოვან ფაქტორს აღნიშნული კლასის წამლების ანტიდეპრესიულ მოქმედებაში [35, 36]. ადამიანებში ანტიდეპრესანტების ეფექტები ნელ ძილში წინააღმდეგობრივია. წამლები, რომლებსაც ძლიერი სედაციური ეფექტი აქვთ, ზრდიან ნელ ძილის მე-2, მე-3, და მე-4 სტადიას, რასაც ძილის ხარისხის სუბიექტური გაუმჯობესება არ მოსდევს. მა(ო)-ს ინჰიბიტორები იწვევენ უძილობას [11, 22]. სხვადასხვა შედეგებია ცნობილი ცხოველებზე ჩატარებული ექსპერიმენტებიდანაც [10, 20, 21, 27]. შედეგად, ანტიდეპრესანტებით მკურნალობისას ძილის აშლილობის ერთ ჯგუფს ეცვლით მეორეთი – პძ-ს სიჭარბეს – მისი სრული მოსპობით, ღძ და დელტა-აქტიურობის შემცირებას – მათი კიდევ უფრო დრმა ცვლილებებით. თუკი მკურნალობის შემდეგ შენარჩუნებულ მძა-აშლილობებს შეუძლიათ გაზარდონ დეპრესიული ეპიზოდების განმეორების რისკი [26, 34], რამდენად მიზანშეწონილია, თერაპიული თვალსაზრისით, ანტიდეპრესანტებით გამოწვეული ეს ცვლილებები? სავარაუდოა, რომ პძ-ს სრული დათრგუნვა (განსაკუთრებით ანტიდეპრესანტებით ხანგრძლივი მკურნალობისას) არასასურველია იმ ბიოლოგიური დანიშნულებიდან გამომდინარე, რომელსაც ძილის ეს ფაზა ახორციელებს თავის ტვინის ჰომეოსტაზის რეგულაციაში [24], ხოლო ანტიდეპრესანტების მოქმედებით გამოწვეული ძმც-ს სხვა ცვლილებები მოითხოვს დამატებით შესწავლას ცხოველებში, არასასურველი ცვლილებების კორექციის გზების ძიებისა და სწორი კლინიკური რეკომენდაციების გაკეთების მიზნით.

ამ გამოკვლევის მიზანს შეადგენდა კატებში მა(ო)-ს ინჰიბიტორების პირველი თაობის ერთ-ერთი ყველაზე ძლიერი ანტიდეპრესანტის, ნიალამიდის ეფექტების შესწავლა ძმც-ზე და მიღებულ დარღვევათა კორექციის გზების ძიება. კორექციისათვის შერჩეული იქნა პიპერგლიკემია, რადგან ჩვენ მოგვეპოვება მონაცემები, ერთთავებში მორფინით გამოწვეული ზოგიერთი ცვლილების გლეუკოზით მოხსნის [1] და საკუთარი გამოუქვეყნებელი მონაცემები კატებში მორფინით გამოწვეული ძმც-ს დარღვევების გლეუკოზით კორექციის შესახებ.

მასალა და მეთოდები

გამოკვლევა ჩატარებულია კატებზე (წონა 3-3,5 კგ, n = 5) ქრონიკული ექსპერიმენტის პირობებში. ცდებისათვის შერჩეული იყო ისეთი ცხოვე-

ლები, რომლებიც ადვილად ეჩვეოდნენ საექსპერიმენტო კაბინას, ჰქონდათ კარგი კვებითი მოტივაცია და არ გამოირჩეოდნენ აგრესიულობითა და სიმდალით.

ოპერაცია ხორციელდებოდა ნემბუტალის ნარკოზის ქვეშ (35 მგ/კგ). ძღვ-ს მძრ რეგისტრაციისთვის კონსტანტანის ელექტროდები (დიამეტრით 150-200 მკმ) ატლასის [14] კოორდინატების მიხედვით ინერგებოდა ქერქის სენსომოტორულ და მხედველობით უბნებში, პიპოკამპში, კისრის და თვალის მამოძრავებელ კუნთებში. ქერქქვეშ ელექტროდები იყო ბიპოლარული, პოლუსებს შორის 1,5-2 მმ მანძილით, ქერქული ელექტროდები კი – მონოპოლარული. ვერცხლის ინდიფერენტული ელექტროდი მაგრდებოდა თავის ქალას კეფის ქედში.


ძღვ-ს რეგისტრაცია იწყებოდა ოპერაციიდან, საშუალოდ, ერთი კვირის შემდეგ. დღიური უწყვეტი რეგისტრაცია გრძელდებოდა 12 სთ – 10.00-დან 22.00 სთ-მდე. რეგისტრირდებოდა ხამი 12 სთ-იანი ფონური ძღვ, ძღვ უშუალოდ ნიალამიდის (5 მგ/კგ, 10 მგ/კგ) შეყვანის შემდეგ, შეყვანიდან 24, 48, 72, 96 და 120 სთ შემდეგ და ნიალამიდისა და გლუკოზის (200 მგ/კგ, 300 მგ/კგ) შეყვანის კვალდაკვალ. ნიალამიდის და გლუკოზის შეყვანა ხდებოდა პერიტონეუმში.

მიღებული მონაცემების სტატისტიკური დამუშავება ხდებოდა სტიუდენტის t-ტესტით, კომპიუტერული პროგრამის დახმარებით.

შედეგები და მათი განხილვა


ძღვ-ს მრავალპარამეტრულმა დამუშავებამ აჩვენა, რომ ნიალამიდის მოქმედებით მისი ყველა ფაზა მნიშვნელოვან რაოდენობრივ და ხარისხობრივ ცვლილებებს განიცდის. ეს ცვლილებები მსგავსია მა(ა)-ს ინჰიბიტორის 5 მგ/კგ და 10 მგ/კგ დოზების შემთხვევაში, ხოლო მათი გამოსატყულების ხარისხი დოზადამოკიდებულ ხასიათს ატარებდა. ძღვ-ს ცვლილებები უფრო მკვეთრი და ხანგრძლივი აღმოჩნდა 10 მგ/კგ დოზის შემთხვევაში და სწორედ ამიტომ, ქვემოთ, ნიალამიდის ამ დოზის ეფექტები იქნება განხილული. ანტიდეპრესანტის ინექციიდან ხანმოკლე (40 ± 10 წთ) პერიოდის შემდეგ, როგორც აქტიური ღვიძლის (აღ), ისე პასიური ღვიძლის (პღ) ფონზე, აღინიშნებოდა კუნთური ტონუსის მნიშვნელოვანი გაძლიერება. 1-1,5 სთ განმავლობაში ცხოველები ფხიზლობდნენ და აღ და პღ ფაზები ენაცვლებოდნენ ერთმანეთს. აღ დადგომის სისშირე წამლის ინექციიდან პირველი 12 სთ განმავლობაში მნიშვნელოვნად (ფონთან შედარებით $70 \pm 5\%$ -ით, $p < 0,01$) იზრდებოდა. აღ დადგომის სისშირის მატება ანტიდეპრესანტის შეყვანიდან მომდევნო ოთხი დღის განმავლობაში იყო შენარჩუნებული ($87 \pm 3\%$ -ით, 110 5%-ით, 75 4%-ით და 37 5%-ით, დღეების შესაბამისად. ყველგან $p < 0,01$). რაც შეეხება აღ-ს პროცენტულ რაოდენობას, ის, მიუხედავად საწყისი მატებისა, ნიალამიდის მოქმედების მთელი დროის განმავლობაში მნიშვნელოვნად კლებულობს. პირველი 12-სთ განმავლობაში აღ-ის ტოტალური პროცენტული რაოდენობა ფონთან შედარებით $23 \pm 4\%$ -თაა შემცირებული ($37 \pm 4\%$ ფონში, $14 \pm 5\%$ პირველი

დღის განმავლობაში, $p < 0,01$). მომდევნო 12 სთ ხანგრძლივობის ციკლებში ეს სიდიდე თანდათან მატულობს, მაგრამ ნიალამიდის შეყვანიდან ხუთი დღის განმავლობაში ფონურ დონეს ვერ უბრუნდება ($37 \pm 5\%$ ფონში, $24 \pm 3\%$ მეხუთე დღეს, $p < 0,01$). ნიალამიდის მოქმედებით მატულობს პლ-ის დადგომის სიხშირეც (პირველ 12 სთ ძღვ-ში $25 \pm 5\%$ -ით, 24 სთ-ის შემდეგ $35 \pm 5\%$ -ით, 48 სთ-ის შემდეგ $130 \pm 10\%$ -ით, 72 სთ-ის შემდეგ $85 \pm 5\%$ -ით, ყველგან $p < 0,01$, სურ. 1ა), რომელიც ფონურ მაჩვენებელს 96 სთ-ის შემდეგ უბრუნდება. პლ-ს პროცენტული რაოდენობა თითქმის სამჯერ იზრდება რეგისტრაციის ყველა პერიოდში ($8 \pm 2\%$ -დან $28 \pm 4\%$ -მდე, $p < 0,01$, სურ. 1ბ). ნიალამიდის შეყვანიდან 1-1,5 სთ შემდეგ ვითარდება დისოციაციური პროცესები, როდესაც პლ და პლ ქცევითი და მშ მჩვენებლების კორელაცია ირღვევა და ხდება ამ ფაზების დისოცირებული გაშვება – ქცევითი პლ მიმდინარეობს მშ პლ ფონზე, ხოლო ქცევითი პლ – მშ ზნძ ფონზე. ფონში პლ და პლ დისოციაციას ადგილი არა აქვს. ნიალამიდის მოქმედების ფონზე, პირველ დღეს, პლ-ს მთელი დროის $90 \pm 5\%$ დისოციაციებს უკავია. ეს სიდიდე მომდევნო დღეების ძღვ-ში თანდათან კლებულობს და შეყვანიდან 96 სთ შემდეგ $50 \pm 5\%$ უტოლდება. პირველი 12 სთ განმავლობაში, პლ ფონზე, დისოციაციების რაოდენობა 100% აღწევს და უცვლელადაა შენარჩუნებული მომდევნო სამი დღის განმავლობაში. პლ-ს ქცევითი და მშ კორელატები ინექციიდან მხოლოდ 96 სთ შემდეგ მოდის კორელაციაში და დისოციაციების ხვედრითი წილი მინიმუმამდე მცირდება ($90 \pm 5\%$ -დან $9 \pm 2\%$ -მდე, $p < 0,001$, სურ. 1გ).



სურ. 1. ნიალამიდის (10 მგ/კგ) იზოლირებული შეყვანის და ნიალამიდისა (10 მგ/კგ) და გლუკოზის (300 მგ/კგ) ერთობლივი მოქმედების ეფექტები პლ ზოგიერთ პარამეტრზე. ა – პლ სიხშირის ცვლილება, ორდინატთა ღერძზე – პლ დადგომის სიხშირე. ბ – პლ პროცენტული ცვლილება, ორდინატთა ღერძზე პლ პროცენტული სიდიდე. ა და ბ სურათებზე თეთრი სვეტი ასახავს ფონურ მონაცემებს, რუხი სვეტები – ნიალამიდის ეფექტებს პირველ 12 სთ ძღვ-ში, 24, 48, 72 და 96 სთ შემდეგ. შავი სვეტი – 6+ბლ მოქმედების შედეგები. გ – პლ ხარისხობრივი ცვლილება: 1, 2, 3, 4, და 5 სვეტები ასახავენ ნიალამიდის ეფექტებს პირველ 12 სთ ძღვ-ში, 24, 48, 72 და 96 სთ შემდეგ, ხოლო მე-6 სვეტი ასახავს 6+ბლ შედეგებს. სვეტების რუხი ნაწილი წარმოგვიდგენს დისოციაციების ხვედრითი წილს პლ დღიურ პროცენტულ რაოდენობაში.


ნიალამიდის შეყვანა, პირველი 12 სთ ხანგრძლივობის ძღვ-ში, ზრდის ზნდ დაღვომის სიხშირეს ($116 \pm 4\%$, $p < 0,01$). მომდევნო სამი დღის განმავლობაში ეს სიდიდე კიდევ უფრო მკვეთრად მატულობს ($150 \pm 6\%$, $200 \pm 5\%$, $146 \pm 7\%$, ყველაგან $p < 0,01$, სურ. 2ა). წამლის მოქმედების მეხუთე დღეს აღინიშნება ზნდ დაღვომის სიხშირის მნიშვნელოვანი შემცირება (ფონთან შედარებით $58 \pm 5\%$ -ით, $p < 0,01$). ზნდ პროცენტული რაოდენობა, პირველ 12 სთ პერიოდში, ფონთან შედარებით შეიძვეერ მატულობს. ეს პარამეტრი მეორე დღეს ოთხჯვერ, მესამე და მეოთხე დღეს კი – სამჯვერ ადვმატება ფონურ მნიშვნელობას (სურ. 2ბ). ზნდ პროცენტული რაოდენობა მეხუთე დღეს მნიშვნელოვნად მცირდება, თუმცა, ფონურ სიდიდეს მაინც თითქმის ორჯვერ ადვმატება ($7 \pm 2\%$ ფონში, $13 \pm 3\%$ მეხუთე დღეს, $p < 0,01$, სურ. 2ბ). ნორმაში ზნდ ქცევით და მშპ პარამეტრებს შორის დისოციაცია არ აღინიშნება. ნიალამიდის შეყვანის პირველი დღის განმავლობაში დისოციაციების რაოდენობა ზნდ ფონზე $27 \pm 5\%$ აღწვეს ($p < 0,01$), მომდევნო დღეებში დისოციაციების ხვედრითი წილი თანდათან მცირდება და სრული კორელაცია ზნდ-ს ქცევით და მშპ-პარამეტრებს შორის მხოლოდ მეხუთე დღეს ხდება შესაძლებელი (სურ. 2გ).



სურ. 2. ნიალამიდის (10 მგ/კგ) იზოლირებული შეყვანის და ნიალამიდისა (10 მგ/კგ) და გლეჯის (300 მგ/კგ) ერთობლივი მოქმედება ზნდ-ს ზოგიერთ პარამეტრზე. ა – ზნდ-ს სიხშირის ცვლილება, ორდინატა დერძზე – ზნდ-ს დაღვომის სიხშირე. ბ – ზნდ-ს პროცენტული რაოდენობის ცვლილება, ორდინატა დერძზე – ზნდ-ს პროცენტული სიდიდე. ა და ბ სურათებზე თეთრი სვეტი ასახავს ფონურ მონაცემებს, რუხი სვეტები – ნიალამიდის ეფექტებს პირველ 12 სთ ძღვ-ში, 24, 48, 72 და 96 სთ შემდეგ, შავი სვეტი – 6+ბლ შეყვანის შედეგებს. გ – ზნდ-ს ხარისხობრივი ცვლილება: 1, 2, 3, 4, და 5 სვეტები ასახავენ ნიალამიდის ეფექტებს პირველ 12 სთ ძღვ-ში, 24, 48, 72 და 96 სთ შემდეგ, ხოლო მე-6 სვეტი – 6+ბლ შედეგებს. სვეტების რუხი ნაწილი წარმოვადგენს დისოციაციების ხვედრით წილს ზნდ დღიურ პროცენტულ რაოდენობაში.

ნიალამიდის მოქმედებით მკვეთრად იზრდება ძილის ლატენტური პერიოდი (129 ± 6 წთ ფონში, 598 ± 10 წთ ნიალამიდის მოქმედებისას, $p < 0,01$, სურ. 3ა).

ანტიდუპრესანტის შეყვანიდან 72 ± 5 სთ განმავლობაში, ქცევითი პარამეტრების მიხედვით განსაზღვრული, ღნძ რაოდენობა ნულს უტოლდება. ღნძ ვითარდება მხოლოდ სფინქსის პოზაში და ძლიერი კუნთური ტონუსის ფონზე, ამიტომ მისი იდენტიფიკაცია მხოლოდ მშპ-პარამეტრებით ხდება. ნიალამიდის მოქმედების პირველ, მეორე, მესამე და მეოთხე დღეს დისოციაციების ხვედრითი წილი ღნძ-ს ფონზე 100% უტოლდება (სურ. 3დ). მეხუთე დღეს რეგისტრირებულ 12 სთ ძღვ-ში კორელაცია ღნძ-ს ქცევით და მშპ-პარამეტრებს შორის აღდება და დისოციაციების პროცენტული სიდიდე მკვეთრად მცირდება (100% -დან $5 \pm 2\%$ -მდე, $p < 0,01$). ნიალამიდის მოქმედებით მნიშვნელოვნად მცირდება ღნძ-ს დადგომის სიხშირე (სურ. 3ბ). ეს სიდიდე, პირველ 12 სთ-ში, ორჯერ ($50 \pm 10\%$ -ით $p < 0,01$) კლებულობს. რეგისტრაციის მომდევნო 12 სთ პერიოდებში – მეორე, მესამე, მეოთხე დღეს – ღნძ-ს დადგომის სიხშირე თანდათან იზრდება და ფონურ სიდიდეს მნიშვნელოვნად აჭარბებს კიდევ (მესამე დღეს – $123 \pm 5\%$ $p < 0,01$, მეოთხე დღეს – $118 \pm 5\%$), ხოლო ნიალამიდის შეყვანიდან მეხუთე დღეს, ღნძ-ს დადგომის სიხშირე ფონთან შედარებით ისევ ორჯერ კლებულობს ($42 \pm 5\%$ -ით, $p < 0,01$). მა(ო)-ს ინჰიბიტორის მოქმედებით, რეგისტრაციის პირველ 12 სთ-ში, მკვეთრად კლებულობს ღნძ პროცენტული რაოდენობა ($62 \pm 6\%$ -ით, $p < 0,01$). მომდევნო დღეებში ეს სიდიდე იზრდება და ფონურ მაჩვენებელს აჭარბებს (24 სთ შემდეგ $28 \pm 5\%$ -ით, $p < 0,01$, 48 სთ შემდეგ $17 \pm 3\%$ -ით, $p < 0,05$, 72 სთ შემდეგ $17 \pm 6\%$ -ით, $p < 0,05$, 96 სთ შემდეგ $31 \pm 5\%$ -ით, $p < 0,01$, სურ. 3კ).




სურ. 3. ნიალამიდის იზოლირებული შეყვანის და 6 + ბლ ერთობლივი მოქმედების ეფექტები ღნძ-ს ზოგიერთ პარამეტრებზე. ა – ძილის ფარული პერიოდის ცვლილება: თეთრი სვეტი – ფონური მონაცემები, რუხი სვეტი – ნიალამიდის, ხოლო შავი სვეტი – 6 + ბლ ეფექტებს, ორდინატაზე დრო წუთებში. ბ – ღნძ-ს სიხშირის ცვლილება, ორდინატთა ღერძზე – ღნძ-ს დადგომის სიხშირე. გ – ღნძ-ს პროცენტული რაოდენობის ცვლილება (ორდინატთა ღერძი). დ – ღნძ-ს სურათზე თეთრი სვეტი ფონური მონაცემებია, რუხი სვეტები ნიალამიდის ეფექტები პირველ 12 სთ ძღვ-ში, 24, 48, 72 და 96 სთ შემდეგ, შავი სვეტი ასახავს 6 + ბლ შედეგებს. ლ – ღნძ-ს ხარისხობრივი ცვლილება: 1, 2, 3, 4, და 5 სვეტები – ნიალამიდის ეფექტები პირველ 12 სთ ძღვ-ში, 24, 48, 72 და 96 სთ შემდეგ, ხოლო მე-6 სვეტი ასახავს 6 + ბლ შედეგებს. სვეტების რუხი ნაწილი – დისოციაციების ხვედრითი წილი ღნძ-ს დღიურ პროცენტულ რაოდენობაში.

ნიალამიდის გაკლენით ადგილი აქვს პძ-ს ფარული პერიოდის მკვეთრ გაზრდას (135 ± 20 წთ-დან 4624 ± 100 წთ-მდე, $p < 0,01$). პძ წამლის მოქმედებიდან მხოლოდ მეხუთე დღეს დგება (სურ. 4ა). მკვეთრ ცვლილებებს განიცდის აგრეთვე პძ-ს დადგომის სიხშირისა (შემცირებულია $77 \pm 3\%$ -ით, $p < 0,01$, სურ. 4ბ) და პროცენტული რაოდენობის (შემცირებულია $84 \pm 3\%$ -ით, $p < 0,01$, სურ. 4გ) მაჩვენებლები. ძღც-ს ჩვენს მიერ შესწავლილი ყველა პარამეტრი ფონურ სიდიდეს ნიალამიდის შეყვანიდან 120 სთ შემდეგ უბრუნდება.

ნიალამიდისა (10 მგ/კგ) და გლუკოზის (300 მგ/კგ) ერთობლივი (შეიყვანება ნიალამიდი და 5 წთ შემდეგ გლუკოზა) შეყვანისას განვითარებული ძღც-ს ცვლილებები მკვეთრად განსხვავდება ნიალამიდის იზოლირებული მოქმედებით გამოწვეული ცვლილებებისაგან. ნივთიერებათა კომბინაციის შედეგად არ ირღვევა ძღც-ს ულტრადიანული რიტმი და შენარჩუნებულია მისი სტრუქტურა. ალ და პლ სიხშირეები ფონურ სიდიდეებს უტოლდება (სურ. 1ა). მნიშვნელოვნად მცირდება ალ პროცენტული რაოდენობა ($37 \pm 5\%$ ფონში, $14 \pm 5\%$ ნიალამიდის მოქმედებით $p < 0,01$, $7 \pm 3\%$ ნ + ბლ დროს, $p < 0,01$) და იზრდება პლ პროცენტული რაოდენობა ($8 \pm 4\%$ -დან $20 \pm 5\%$ -მდე $p < 0,01$), თუმცა მისი მნიშვნელობა, ნიალამიდის ეფექტთან შედარებით, $26 \pm 4\%$ -ით არის შემცირებული (სურ. 1ბ). ალ და პლ ფონზე დისოციაციების განვითარების ალბათობა მინიმუმამდე დადის. ძილის ლატენტიური პერიოდი 208 ± 20 წთ-ს უტოლდება, რაც მკვეთრად განსხვავდება ამავე პარამეტრის სიდიდისაგან ნიალამიდის დროს (598 ± 40 წთ, $p < 0,01$) და თითქმის ორჯერ აღემატება მის ფონურ მნიშვნელობას (129 ± 10 წთ ფონში, 208 ± 20 ნ + ბლ დროს, $p < 0,01$, სურ. 3ა). დისოციაცია ზნძ და ლნძ ქცევით და მძმ-პარამეტრებს შორის მინიმალურია ($10 \pm 2\%$ ზნძ-ში და $5 \pm 3\%$ ლნძ-ში). ზნძ-ს დადგომის სიხშირე მცირდება ($29 \pm 5\%$ -ით ფონთან შედარებით, $p < 0,01$, და $35 \pm 5\%$ -ით ნიალამიდის ეფექტთან შედარებით, $p < 0,01$). ამ ფაზის პროცენტული რაოდენობა ფონთან შედარებით მატულობს ($19 \pm 5\%$ -ით $p < 0,01$), ხოლო ნიალამიდის მოქმედების პირველ 12 სთ პერიოდთან შედარებით – მნიშვნელოვნად კლებულობს ($48 \pm 5\%$ -დან $26 \pm 3\%$ -მდე $p < 0,01$, სურ. 2ბ). ლნძ-ს დადგომის სიხშირე ფონთან შედარებით მცირდება ($23 \pm 5\%$ -ით $p < 0,01$), ხოლო ნიალამიდის მოქმედების პირველ 12 სთ პერიოდთან შედარებით უმნიშვნელოდ მატულობს (სურ. 3ბ). ნ + ბლ მოქმედების ფონზე მკვეთრად იზრდება ლნძ-ს პროცენტული რაოდენობა. მატება სტატისტიკურად სარწმუნოა ფონურ სიდიდესთან შედარებით ($29 \pm 5\%$ -დან $44 \pm 3\%$ -მდე, $p < 0,01$), მაგრამ განსაკუთრებით მკვეთრია ნიალამიდის იზოლირებული მოქმედების ეფექტთან შედარებით ($11 \pm 6\%$ -დან $44 \pm 3\%$ -მდე, $p < 0,01$, სურ. 3გ). პძ-ს ლატენტიური პერიოდი, ფონთან შედარებით, სარწმუნოდ იზრდება (135 ± 10 წთ ფონში, 247 ± 20 წთ ნ + ბლ, $p < 0,01$), მაგრამ ნიალამიდის იზოლირებული მოქმედების ეფექტთან შედარებით მკვეთრადაა შემცირებული (4624 ± 100 წთ მხოლოდ ნიალამიდის, 247 ± 20 წთ ნ + ბლ დროს, $p < 0,01$, სურ. 4ა). მიუხედავად ამისა, პძ-ს დადგომის სიხშირე (13 ± 3 ფონში, 4 ± 1 ნ + ბლ დროს, $p < 0,01$) და პროცენტული რაოდენობა (ფონი $19 \pm 3\%$, ნ + ბლ დროს $3 \pm 1\%$, $p < 0,01$) მნიშ-

ენგლოვინადაა შემცირებული ფონთან შედარებით, მაგრამ უტოლდება იმ სიდიდეებს, რომლებიც მიიღება ნიალამიდის იზოლირებული მოქმედების მეხუთე დღეს, როდესაც პპ პირველად ღებება (სურ. 4ბ, გ).



სურ. 4. ნიალამიდის იზოლირებული შეეფანის და ნიალამიდისა და გლუკოკორტიკოიდული მოქმედების ეფექტები პპ-ს ზოგიერთ პარამეტრზე. ა – პპ-ს ფარული პერიოდი: თეთრი სვეტი – ფონურ მონაცემები, რუხი სვეტი – ნიალამიდის, ხოლო შავი სვეტი 6 + ბზ ეფექტები, ორდინატაზე დრო წუთებში. ბ – პპ-ს სისხლის ცვლილება: ორდინატა ღერძზე – პპ-ს დადგომის სისხშირე. გ – პპ-ს პროცენტული რაოდენობა (ორდინატა ღერძზე). ბ და გ სურათებზე თეთრი სვეტი ასახავს ფონურ მონაცემებს, რუხი სვეტები – ნიალამიდის ეფექტებს პირველ 12 სთ ძღ-ში, 24, 48, 72 და 96 სთ შემდეგ, შავი სვეტი ასახავს 6 + ბზ ეფექტებს.

მა(ო)-ს ინჰიბიტორები, რომლებიც ანტიდეპრესანტების მნიშვნელოვან კლასს წარმოადგენენ, გამოიყენებოდნენ დაახლოებით 40 წლის განმავლობაში, თუმცა მათი ეფექტურობა და უსაფრთხოება ხშირად საკამათო იყო [17, 33]. იმ მრავალი მა(ო)-ს ინჰიბიტორიდან, რომლებიც შემოვიდა 1950-იან, 1960-იან წლებში, მხოლოდ ორი (ფენელზინი, ტრანილეციპრომინი) შემორჩა კლინიკას აშშ-ში და კიდევ ერთი (ნიალამიდი) – რუსეთში. დღეისათვის მათ, რამოდენიმე საკმაოდ ძლიერი გვერდითი ეფექტის გამო, მესამე და მეოთხე რიგის მეურნალობის როლი ენიჭება [32], მაგრამ ამ გვერდითი ეფექტების ჩამონათვალში არსად ახსენებენ ძღ-ის იმ არასასურველ ცვლილებებს, რომლებიც ანტიდეპრესანტების მოქმედებას შეიძლება ახლდეს. ჩვენს ცდებში ნიალამიდი, შერჩეულ იქნა შეგნებულად, როგორც ერთ-ერთი ძლიერი გვერდითი ეფექტების მქონე ანტიდეპრესანტი, ძღ-ზე ანტიდეპრესანტების მაქსიმალური ეფექტების აღრიცხვისა და არასასურველ ცვლილებათა კორექციის შესაძლებლობის დადგენის მიზნით.

ჩვენს მიერ მიღებული მონაცემები ეთანხმება ადრე გამოქვეყნებულ შედეგებს, რომლებიც გვიჩვენებენ, რომ მა(ო)-ს ინჰიბიტორებს აქვთ ყველაზე ხანგრძლივი და ძლიერი ეფექტები როგორც ადამიანებში [5, 37], ასევე ცხოველებში [10, 21, 27, 35], რაც, ალბათ, იმითაა განპირობებული, რომ ნიალამიდი ახდენს მა(ო)-ს სრულ ინჰიბირებას და ფერმენტის მთლიან რესინოტეს დაახლოებით ორი კვირა ესაჭიროება.

ნიალამიდის მოქმედების შედეგად ძღვ-ში მომხდარი ცვლილებების ანალიზისას მოგვიწევს გარკვეული პარალელების გავლება დეპრესიისათვის დამახასიათებელ ძილის დარღვევებთან და მათ ცვლილებებთან მან()-ს ინჰიბიტორების გავლენით. ამგვარი ექსტრაპოლაცია შესაძლებელია იმის გამო, რომ ხშირად, ანტიდეპრესანტები, როგორც დეპრესიულ პირებში, ასევე ცხოველებში, ძღვ-ის მსგავს ცვლილებებს იწვევენ [5, 10, 27, 37].

ჩვენს მიერ ნაჩვენებია, რომ ნიალამიდის მოქმედებით მკვეთრად იზრდება ძილის ლატენტური პერიოდი. დღეისათვის არსებული სტატისტიკის თანახმად, დეპრესიულ ავადმყოფთა 80% უძილობას განიცდის და მხოლოდ 15%-ს ახასიათებს მომატებული ძილიანობა. აქედან გამომდინარე, ანტიდეპრესანტის გავლენით ძილის ლატენტური პერიოდის მკვეთრი გაზრდა, თერაპიული თვალსაზრისით, მეტად არასასურველ ცვლილებას წარმოადგენს.

ნიალამიდი მიეკუთვნება ე.წ. ერაუზხალის ტიპის ანტიდეპრესანტებს, მაგრამ მისი გავლენით, ჩვენს ცდებში, აღინიშნებოდა ერაუზხალის მნიშვნელოვანი დათრგუნვა, რაც ასევე არასასურველი ცვლილებაა იმის გათვალისწინებით, რომ დეპრესიულ პაციენტებს ისედაც აღენიშნებათ ნელი ძილის 1 და მე-2 სტადიის მნიშვნელოვანი გაზრდა [4, 19, 23].

განსაკუთრებით აღსანიშნავია, რომ ნიალამიდის მოქმედების საწყის პერიოდში (შეყვანის შემდგომი 12 სთ) მკვეთრად მცირდება ღნძ სიხშირე და პროცენტული რაოდენობა. უფრო მეტიც, ქცევითი ღნძ შეყვანიდან 72 სთ-ის განმავლობაში საერთოდ არ დგება, ხოლო მშპ ღნძ, წამლის შეყვანიდან მხოლოდ 24 სთ შემდეგ აჭარბებს ფონურ სიდიდეს. სრულყოფილი ღნძ, რომლის დროსაც ქცევითი და მშპ-პარამეტრები სრულ კორელაციაში მოდის, ნიალამიდის ერთჯერადი შეყვანიდან 96 სთ-ის შემდეგ დგება. იმდენად, რამდენადაც დეპრესიისას ისედაც ადგილი აქვს დელტა-ტალღებისა და ღნძ-ს რაოდენობის მკვეთრ დათრგუნვას [2, 4, 23], ანტიდეპრესანტის მოქმედებით გამოწვეული ღნძ-ს ამგვარი ცვლილებები, თერაპიული თვალსაზრისით, განსაკუთრებით არასასურველ ცვლილებათა რიგს უნდა მივაკუთვნოთ. ამ დასკვნას ეთანხმება მონაცემები იმის შესახებ, რომ პაციენტებში, მკურნალობის ფონზე, ტოტალური დელტა-აქტიურობის შემცირება და მისი დროითი განაწილების ცვლილება დაკავშირებულია დეპრესიის გამეორების ალბათობასთან [9, 15, 16, 26].

სხვადასხვა სახის დეპრესიების დიდ ნაწილს ახასიათებს პძ-ს ლატენტობის მკვეთრი შემცირება [28]. სწორედ ამიტომ, ამ ფაზის ლატენტობის გაზრდა სწორი თერაპიული მიდგომის ერთ-ერთ ძირითად ინდიკატორად განიხილება [31]. ჩვენს ცდებში ნიალამიდის მოქმედებით პძ ლატენტური პერიოდის დრამატულ გაზრდას ჰქონდა ადგილი. ანტიდეპრესანტის ერთჯერადი შეყვანიდან ოთხი დღის განმავლობაში პძ საერთოდ არ დგებოდა და, მიუხედავად ასეთი ხანგრძლივი ლატენტური პერიოდისა, მისი სიხშირე და პროცენტული რაოდენობა მაინც მკვეთრად იყო დათრგუნული ($85 \pm 5\%$ -ით, ფონთან შედარებით). იმ ჰიპოთეზიდან [35, 36] გამომდინარე, რომელიც დეპრესიას ამ ფაზის ხშირ და ინტენსიურ განვითარებას უკავშირებს, პძ-ს დეპრეზაცია ანტიდეპრესიული თერაპიის მთავარ მომენტადაა აღიარებული. მიუხედავად ამისა, მიგვანჩნია, რომ ძილის ამ ფაზის სრული

ხანგრძლივი დათრგუნვა (განსაკუთრებით ანტიდეპრესანტებით ხანგრძლივი მკურნალობისას) არასასურველია, პმ იმ მნიშვნელოვანი როლიდან გამომდინარე, რომელსაც ის თავის ტვინის ჰომეოსტაზის რეგულაციაში ასრულებს [24]. მიგვანინია, რომ ანტიდეპრესანტების მოქმედების ფონზე პმ უნდა ვითარდებოდეს მნიშვნელოვნად შემცირებული სიხშირითა და მოცულობით, მაგრამ ყოველი დღე-ღამური ძღვ-ს განმავლობაში, რაც ალბათ ხელს შეუწყობს ძღვ-ში ფაზათა განვითარების ოპტიმიზაციას და წამლების ანტიდეპრესიული ეფექტურობის გაზრდას. ჩვენს ვარაუდს ერთგვარად ამყარებს ის გარემოებაც, რომ ზოგიერთი ანტიდეპრესანტი (3, 29) არ თრგუნავს პმ-ს და ისიც, რომ პაციენტებში პმ-ს სრული დათრგუნვის შემთხვევაში დადებითი კლინიკური ეფექტი არ აღინიშნება [39].

ნ + ბლ ერთობლივი მოქმედებით, მხოლოდ ნიალამიდის ეფექტთან შედარებით, შემცირდა ზნძ და გაიზარდა ღნძ-ს რაოდენობა. ფონთან შედარებით მკვეთრად გაიზარდა პმ-ს ლატენტიური პერიოდი, თუმცა ნიალამიდის იზოლირებული მოქმედების ეფექტთან შედარებით, უფრო მკვეთრად მოხდა მისი შემცირება. მოხდა პმ-ს სიხშირისა და რაოდენობის მნიშვნელოვანი შემცირება, თუმცა არა ისეთი დათრგუნვა როგორც ნიალამიდის იზოლირებული მოქმედების შემთხვევაში.

მიღებული შედეგები საშუალებას გვაძლევს დავასკვნათ, რომ ნიალამიდის შეყვანის პარალელურად, თავის ტვინში ცირკულირებადი გლუკოზის დონის გაზრდა ახდენს მა(უ)-ს ინჰიბიტორის იზოლირებული მოქმედებით გამოწვეული ძღვ-ს არასასურველი ცვლილებების მნიშვნელოვან კორექციას. სწორედ ამიტომ, ამ ეტაპზე შეიძლება იმის თქმაც, რომ ამგვარ კომბინაციას, ალბათ, შეუძლია ანტიდეპრესანტი უფრო უსაფრთხოდ, ადვილად გადასატანი გახადოს და გაზარდოს წამლის ეფექტურობა. ეს ვარაუდი ემყარება აგრეთვე ლიტერატურაში არსებულ მონაცემებს იმის შესახებ, რომ დეპრესიულ პაციენტებს, რომლებიც აჩვენებენ დადებით კლინიკურ პასუხს ძილის დეპრევიაციაზე [38] და ანტიდეპრესანტებით მკურნალობაზე [8, 18], ზოგიერთ ქერქულ უბნებში აქვთ გლუკოზის მეტაბოლიზმის შედარებით მაღალი მაჩვენებლები, ჯანმრთელ მოხალისეებთან და ძილის დეპრევიაციასა და ანტიდეპრესანტებით მკურნალობაზე არამოპასუხე დეპრესიულებთან შედარებით.

გამოკვლევა ჩატარებული იქნა ჯანმრთელ კატეგორიაზე. მიგვანინია, რომ მისი გამოვლენა დეპრესიის ცხოველურ მოდელებზე მოგვცემს უფრო საფუძვლიანი ექსტრაპოლაციის გაკეთების საშუალებას და აგრეთვე ძღვ-ს იმ ცვლილებათა ზუსტი აღრიცხვის შესაძლებლობას, რომლებიც უნდა ახასიათებდეს ყველაზე ეფექტური და ნაკლები გვერდითი მოვლენების მქონე ანტიდეპრესანტის მოქმედებას, რაც ერთგვარად დაეხმარება ახალი წამლების სწორ ძიებას.

შენიშვნა

ნაშრომი შესრულებულია საერთაშორისო სამეცნიერო ტექნიკური ცენტრის მხარდაჭერით, გრანტი G-391.

ლიტერატურა

1. *Arankowsky-Sandoval G., Gold P.E.* Neurobiol. of Learning and Memory, 1995, 64, 133-138.
2. *Armitage R.* Biological Psychiatry, 1995, 37, 72-84.
3. *Armitage R., Rush A.J., Trivedi M., Cain J., Roffwarg H.P.* Neuropsychopharmacology, 1994, 10, 123-137.
4. *Benca R.M., Obermeyer W.H., Thisted R.A., Gillin J.C.* Arch. Gen. Psychiatry, 1992, 49, 651-668.
5. *Blois R., Gaillard J.M.* Acta Scand. Suppl. 1990, 360, 73-75.
6. *Boyd J.H., Weismann M.M.* Arch. Gen. Psychiatry, 1981, 38, 1039-1046.
7. *Borbely A.A.* Human Neurobiology, 1982, 1, 195-204.
8. *Buchbaum M.S., Wu J.C., Siegel B., Hachkett E., Trenary M., Abel L., Reynolds C.* Biol. Psychiatry, 1997, 41, 15-22.
9. *Buyse D.J., Kupfer D.J., Frank E., Monk T.H., Ritenour A., Ehlers C.* Psychiatry Research, 1992, 40, 13-26.
10. *Cohen R.M., Pickar D., Garnett D., Lippos S., Gillin J.C., Murphy D.L.* Psychopharmacology, 1982, 78, 137-140.
11. *Feighner J.P., Cohn J.B.* J. Clinical Psychiatry, 1985, 46, 20-25.
12. *Giles D.E., Jarrett R.B., Rush A.J., Biggs M.M., Roffwarg H.P.* Psychiatry Research, 1993, 46, 269-284.
13. *Hartmann E., Cravens J.* Psychopharmacologia, 1973, 33, 185-202.
14. *Jasper H., Ajmone-Marsan C.* National Research Council of Canada, 1954, 126.
15. *Kupfer D.J., Frank E., McEachran A.B., Grochocinski V.J.* Arch. Gen. Psychiatry, 1990, 47, 1100-1105.
16. *Kupfer D.J., Ehlers C.L., Frank E., Grochocinski V.J., McEachran A.B., Buhari A.* Psychiatry Res. 1993, 49, 121-138.
17. *Laux G., Volz H.P., Moller H.J.* CNS Drugs, 1995, 3, suppl. 2, 145-158.
18. *Mayberg H.S., Brannen S.K., Mahurin R.K., Jerabek P.A., Brickman J.S., Tekel J. L., Silva J.A., McGinnis S., Glass T.G., Martin C.C., Fox P.T.* Neuroreport, 1997, 8, 1057-1061.
19. *Mendlewicz J., Kerkhofs M.* British Journal of Psychiatry, 1991, 159, 505-509.
20. *Nachkebia N.G., Mgaloblishvili-Nemsadze M.M., Oniani T.N., Chijavadze E.O., Chkhartishvili E.V., Babilodze M.V., Lortkipanidze N.D., Maisuradze L.M.* J. of Sleep Research, 2002, 11, suppl.1, 159-160.
21. *Nachkebia N.G., Mgaloblishvili-Nemsadze M.M., Gogichadze M.V., Chijavadze E.O., Maisuradze L.M., Lortkipanidze N.D., Nachkebia A.I., Chkhartishvili E.V., Babilodze M.V., Oniani T.N.* Sleep, 2003, 26, A 63-64.
22. *Nicholson A.N., Pascoe P.A.* Neuropharmacology, 1988, 27, 597-602.
23. *Nofzinger E.A., Buyse D.J., Reynolds C.F., Kupfer D.J.* J. Clin. Psychiatry, 1993, 54, 244-259.
24. *Oniani T.N.* Metsniereba, Tbilisi, 1980.
25. *Perlis M.L., Giles D.E., Fleming G.E., Drummond S.P.A., James S.P.* J. of Affective Disorders, 1995, 35, 163-171.
26. *Perlis M.L., Giles D.E., Buyse D.J., Tu X., Kupfer D.J.* J. of Affective Disorders, 1997, 42, 209-212.
27. *Polc P., Schneeberger J., Haefely W.* Neuropharmacology, 1979, 18, 259-267.
28. *Reynolds C.F., Kupfer D.J.* Sleep, 1987, 10, 199-215.
29. *Staiger A., von Bardeleben U., Guldner J., Lauer C., Rothe B, Holsboer F.* Prog. Neuro-psychopharmacol. Biol. Psychiatry, 1993, 17, 125-137.
30. *Staiger A., Benkert O., Holsboer R.* Neuropsychobiology, 1994, 30, 101-105.
31. *Svendsen K., Christensen P.G.* Acta Psych. Scandanavica, 1981, 64, 238-243.
32. *Thase M.E., Rush A.J.* In: Bloom, F.E., Kupfer, D.J. (ed.s), Psychopharmacology: The Fourth Generation of Progress. New York, Raven press, 1995, 1081-1097.

33. *Thase M.E., Trivedi M.H., Rush A. J.* Neuropsychopharmacol. 1995, 12, 185-219.
34. *Thase M.E., Simons A.D., Reynolds C.F.* Arch. Gen. Psychiatry, 1996, 53, 99-108.
35. *Vogel G.W., Thurmond A., Gibbons P., Sloan K., Boyd M., Walker M.* Arch. Gen. Psychiatry, 1975, 32, 765-777.
36. *Vogel G.W., Vogel F., McAbee R.S., Thurmond A.J.* Arch. Gen. Psychiatry, 1980, 37, 247- 253.
37. *Vogel G.W., Buffenstein A., Minter K., Hennessey A.* Arch. Gen. Psychiatry, 1990, 14, 49-63.
38. *Wu J., Monte S., Buchsbaum M.S., Gillin J.C., Tang C., Cadwell S., Wiegand M., Najafi A., Klein E., Hazen K., Bunney W.E.* Am. J. Psychiatry, 1999, 156, 1149-1158.
39. *Wyatt R.J., Fram D.H., Kupfer D.J., Snysder F.* Arch. Gen. Psychiatry, 1971, 24, 145-155.

ВЛИЯНИЕ НИЛАМИДА НА ЦИКЛ БОДРСТВОВАНИЕ-СОН И ПОИСК ПУТЕЙ КОРРЕКЦИИ НЕЖЕЛАТЕЛЬНЫХ ИЗМЕНЕНИЙ

*Н. Начкебия, Т. Опиани, М. Мгалоблишвили-Немсадзе, Е. Чиджавадзе,
Н. Опиани, Н. Лорткипанидзе, А. Начкебия, Э. Чхартишвили,
М. Бабилодзе, Ш. Дзадзамия*

Институт физиологии им. И. С. Бериташвили Академии наук Грузии, Тбилиси

РЕЗЮМЕ

На кошках изучались эффекты ниаламида на цикл бодрствование-сон (ЦБС) и осуществлялся поиск путей коррекции нежелательных изменений. Корректирующим средством было выбрано увеличение уровня циркулирующей глюкозы. Показано, что ниаламид вызывает ряд нежелательных, с терапевтической точки зрения, изменений в ЦБС: резкое возрастание латентного периода сна, сильные, длительные диссоциации между поведенческими и ЭЭГ-параметрами фаз ЦБС, увеличение поверхностного медленного сна, уменьшение глубокого медленного сна и полное подавление парадоксального сна. Одновременное введение ниаламида и глюкозы значительно корректирует эти изменения. Полагаем, что при такой комбинации, ингибитор МАО станет более безопасным и легко переносимым и увеличится эффективность антидепрессивного действия препарата.

NIALAMIDE IMPACT ON SLEEP-WAKEFULNESS CYCLE AND SEARCH FOR A WAYS FOR CORRECTION OF UNDESIRABLE CHANGES

N. Nachkebia, T. Oniani, M. Mgaloblishvili-Nemsadze, E. Chijavadze, N. Oniani, N. Lodkipanidze, A. Nachkebia, E. Chkartishvili, M. Babilodze, Sh. Dzadzamia

I. Beritashvili Institute of Physiology, Georgian Academy of Sciences, Tbilisi

SUMMARY

In chronic experiments in cats the effects of Nialamide on the sleep wakefulness cycle (SWC) were investigated. The study was followed by search for the ways of correction the drug's side effects. For this aim, elevation of circulating glucose level was chosen. It was shown that under the impact of Nialamide some therapeutically undesirable changes develop in SWC – increase of sleep latency, strong, long-lasting dissociation between the behavioral and EEG-parameters of SWC phases; light slow wave sleep increasing; deep slow wave sleep decreasing; complete abolishment of paradoxical sleep. Concomitant administration of Nialamide and glucose induced significant correction of therapeutically undesirable effects of isolated action of Nialamide. It is considered that such combination of MAO inhibitor and glucose can enhance the antidepressive effectiveness of the drug and make it safer and more tolerable.

სანტიმეტრული დიაპაზონის მიკროტალღებით მკურნალობის წებავლენა ბრონქული ასთმის მქონე ავადმყოფთა არასპეციფიკურ რეზისტენტობასა და იმუნოლოგიურ რეაქტიულობაზე

ნ. სააკაშვილი

ი. კონიაშვილის სახელობის საქართველოს კურორტოლოგიის, ფიზიო-
თერაპიისა და სამკურნალო ტურიზმის სამეცნიერო-პრაქტიკული ცენტრი,
თბილისი

მიღებულია 10.02.2005

გამოკვლეულია 102 ავადმყოფი ბრონქული ასთმით. ამათგან 46 ავადმყოფს
ჰქონდა დაავადების მსუბუქი მიმდინარეობა, ხოლო 52-ს – საშუალო სიმძიმის.

სანტიმეტრული დიაპაზონის მიკროტალღებით მკურნალობისას აღმოჩნდა,
რომ ავადმყოფებში ხდება არასპეციფიკური რეზისტენტობის და უჯრედული იმუ-
ნიტეტის ინტენსიფიცირება. ჰუმორული იმუნიტეტი, აგრეთვე ნორმალიზაციას
განიცდიდა.

საკვანძო სიტყვები: ბრონქული ასთმა, იმუნოგლობულინები, ლიმფოციტები,
მიკროტალღები

ბრონქული ასთმის პათოგენეზში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს ორ-
განიზმის არასპეციფიკურ რეზისტენტობასა და იმუნოლოგიურ რეაქტიუ-
ლობას.

ორგანიზმის არასპეციფიკურ რეზისტენტობაზე შეიძლება ვიმსჯელოთ
გამომდინარე მაფაგოციტირებელი უჯრედების რაოდენობიდან და ბაქტე-
რიებისადმი მათი შეპყრობის უნარიდან. ფაგოციტოზი რეგულირდება T-
ლიმფოციტების სისტემით, რომელიც ამავე დროს ახორციელებს უჯრე-
დულ იმუნიტეტს.

T-ლიმფოციტები, რომლებიც უჯრედ-ეფექტორებს წარმოადგენენ, არა
მარტო თავიდან ბოლომდე უზრუნველყოფენ უჯრედულ იმუნიტეტს, არა-
მედ გამოდიან გამააქტიურებელი და სუპრესორული ფაქტორების როლში
და ასრულებენ ჰუმორული იმუნიტეტის მიმართ მარეგულირებელ ფუნქ-
ციასაც [1, 2].

მასალა და მეთოდები

გამოკვლეულია ბრონქული ასთმით დაავადებული 98 პირი. დაავადების მსუბუქი მიმდინარეობა აღენიშნებოდა 46 გამოკვლეულს. 52 ავადმყოფს აღენიშნებოდა ბრონქული ასთმის საშუალო სიმძიმის მიმდინარეობა.

ავადმყოფებში, მკურნალობამდე და მკურნალობის შემდეგ, შესწავლილი იქნა:

ა. ორგანიზმის არასპეციფიკური რეზისტენტობა ნეიტროფილების ფაგოციტური აქტივობის გამოკვლევის გზით კოსტის და სტენკოს მეთოდით.

გამოიყენებოდა ოქროსფერი სტაფილოკოკის (შტამი №209) დღე-ღამური კულტურის ერთმილიარდიანი შენაწონი.

ბ. ორგანიზმის იმუნოლოგიური რეაქტიულობა: T- და B-ლიმფოციტების აბსოლუტური და პროცენტული რაოდენობა პერიფერიულ სისხლში; სისხლის შრატში A, G, M კლასების იმუნოგლობულინების და საერთო არასპეციფიკური იმუნოგლობულინ E-ს შემცველობა.

T-ლიმფოციტები განისაზღვრებოდა სპონტანური, ხოლო B-ლიმფოციტები – კომპლემენტარული როზეტების წარმოქმნის რეაქციით. A, G და M კლასის იმუნოგლობულინები განისაზღვრებოდა რადიალური იმუნოდიფუზიის მეთოდით, ხოლო საერთო არასპეციფიკური იმუნოგლობულინი E-ს შემცველობა – რადიოიმუნური მეთოდით, შვედური ფირმის “Pharmacia Diagnostics” ნაკრების “Phadedas Ig E Prist” გამოყენებით.

შედეგები და მათი განხილვა

მკურნალობამდე ბრონქული ასთმის მქონე ავადმყოფებში აღინიშნებოდა ფაგოციტური აქტივობის დათრგუნვა, რაც გამოიხატებოდა ფაგოციტური რიცხვისა და ფაგოციტური ინდექსის შემცირებაში.

T-ლიმფოციტების აბსოლუტური და პროცენტული რაოდენობა პერიფერიულ სისხლში იყო დაქვეითებული.

სისხლის შრატში აღინიშნებოდა A და G კლასის იმუნოგლობულინების შემცირება და საერთო არასპეციფიკური იმუნოგლობულინი E-ს მომატება. აღნიშნული პათოლოგიური ძვრები მატულობდა ბრონქული ასთმის დამძიმებასთან ერთად.

B-ლიმფოციტების აბსოლუტური და პროცენტული რაოდენობა პერიფერიულ სისხლში და M კლასის იმუნოგლობულინების შემცველობა სისხლის შრატში, ძირითადად, მერყეობდა ნორმის ქვედა საზღვრის ფარგლებში და რამდენადმე კლებულობდა დაავადების დამძიმებასთან ერთად.

მკურნალობა სანტიმეტრული დიაპაზონის მიკროტალღებით იწვევდა ფაგოციტური რიცხვის და ფაგოციტური ინდექსის, პერიფერიულ სისხლში T- და B-ლიმფოციტების აბსოლუტური და პროცენტული რაოდენობის ზრდას. სისხლის შრატში მატულობდა A, G და B კლასის იმუნოგლობულინების შემცველობა და მცირდებოდა საერთო არასპეციფიკური იმუნოგლობულინი E-ს რაოდენობა.

აღნიშნული დადებითი ძვრები, რომლებიც მიუთითებენ ორგანიზმის არასპეციფიკური რეზისტენტობისა და იმუნიტეტის უჯრედული რგოლის გაძლიერებაზე, სენსიბილიზაციის დაქვეითებაზე და ჰუმორული იმუნიტეტის გაუმჯობესებაზე, უფრო გამოხატული იყო მსუბუქი მიმდინარეობის ბრონქული ასთმის მქონე ავადმყოფებში (ცხრილი 1).

ცხრილი 1

სანტიმეტრული დიაპაზონის მიკროტალღებით მკურნალობის ზეგავლენა ბრონქული ასთმით დაავადებულთა ორგანიზმის არასპეციფიკური რეზისტენტობისა და იმუნოლოგიური რეაქტიულობის მაჩვენებლებზე

მაჩვენებლები			პათოლოგიის მიმდინარეობის სიმძიმე	
	n		46	52
ფაგოციტური რიცხვი, % (N – 69,64 ± 1,27)	M ± m	მკ-მდე	42,43 ± 2,49	31,11 ± 0,58
		მკ. შემდეგ	55,1 ± 1,25	40,00 ± 0,80
	t	6,48	8,91	
	p	0,001	0,001	
ფაგოციტური ინდექსი (N – 7,94 ± 0,11)	M ± m	მკ-მდე	5,23 ± 0,21	3,79 ± 0,07
		მკ. შემდეგ	6,35 ± 0,14	4,18 ± 0,07
	t	4,23	3,71	
	p	< 0,01	< 0,001	
T-ლიმფოციტების შემცველობა პერიფერიულ სისხლში, % (N – 63,2 ± 1,45)	M ± m	მკ-მდე	32,62 ± 0,20	24,17 ± 0,50
		მკ. შემდეგ	57,62 ± 0,22	41,02 ± 0,76
	t	81,49	18,35	
	p	< 0,001	< 0,001	
T-ლიმფოციტების რაოდენობა პერიფერიულ სისხლში, × 10 ⁹ უჯ/ლ (N – 1,320 ± 0,023)	M ± m	მკ-მდე	0,55 ± 0,01	0,40 ± 0,01
		მკ. შემდეგ	1,27 ± 0,02	0,82 ± 0,01
	t	22,6	20,98	
	p	< 0,001	< 0,001	
B-ლიმფოციტების რაოდენობა პერიფერიულ სისხლში, % (N – 15,72 ± 0,61)	M ± m	მკ-მდე	16,64 ± 0,17	13,87 ± 0,18
		მკ. შემდეგ	17,62 ± 0,7	14,4 ± 0,12
	t	3,92	2,35	
	p	< 0,001	< 0,05	
B-ლიმფოციტების რაოდენობა პერიფერიულ სისხლში, × 10 ⁹ უჯ/ლ (N – 1,330 ± 0,007)	M ± m	მკ-მდე	0,35 ± 0,003	0,31 ± 0,002
		მკ. შემდეგ	0,38 ± 0,006	0,33 ± 0,005
	t	4,05	3,12	
	p	0,001	0,01	

ცხრილი 1 (გაგრძელება)

A-კლასის იმუნოგლობუ- ლინების შემცველობა სისხლის შრატში, მკმოლ/ლ (N – 16,40 ± 0,77)	n		46	52
	M ± m	მკ-მდე	10,35 ± 0,09	0,60 ± 0,10
		მკ. შემდეგ	17,06 ± 0,23	13,77 ± 0,27
	t		26,7	15,67
	p		< 0,001	< 0,001
G-კლასის იმუნოგლობული- ნების შემცველობა სისხლის შრატში, მკმოლ/ლ (N – 100,66 ± 0,98)	n		46	52
	M ± m	მკ-მდე	68,93 ± 0,74	57,51 ± 0,37
		მკ. შემდეგ	109,45 ± 1,17	80,28 ± 0,68
	t		29,09	29,73
	p		< 0,001	< 0,001
M-კლასის იმუნოგლობუ- ლინების შემცველობა სისხლის შრატში, მკმოლ/ლ (N – 2,17 ± 0,06)	n		46	52
	M ± m	მკ-მდე	2,41 ± 0,02	2,00 ± 0,02
		მკ. შემდეგ	2,47 ± 0,01	2,04 ± 0,01
	t		2,33	1,3
	p		< 0,05	> 0,2
საერთო არასპეციფიკურ იმუნოგლობულინ E-ს შემცველობა სისხლის შრატში, სე/მლ (N – 142,28 ± 11,64)	n		46	52
	M ± m	მკ-მდე	394,47 ± 11,16	598,84 ± 75,13
		მკ. შემდეგ	101,21 ± 7,55	294,94 ± 13,71
	t		21,90	3,97
	p		< 0,001	< 0,001

ლიტერატურა

1. გურგენიძე გ.ე., გურგენიძე გ.ე., ჟორჟოლიანი ნ.თ. ალერგია და ალერგიული დაავადებები. თბილისი, პოლიგრაფი, 2002.
2. Хаитов Р.М., Игнатьева Г.А., Сидорович И.Г. Иммунология. Москва, Медицина, 2000.

ВЛИЯНИЕ ЛЕЧЕНИЯ МИКРОВОЛНАМИ САНТИМЕТРОВОГО ДИАПАЗОНА НА НЕСПЕЦИФИЧЕСКУЮ РЕЗИСТЕНТНОСТЬ И ИММУНОЛОГИЧЕСКУЮ РЕАКТИВНОСТЬ БОЛЬНЫХ БРОНХИАЛЬНОЙ АСТМОЙ

Н.М. Саакашвили

Научно-практический центр курортологии, физиотерапии и лечебного туризма Грузии им. И.Г. Кониашвили

РЕЗЮМЕ

Обследовано 98 больных бронхиальной астмой, из которых у 46 отмечалось легкое, а у 52 – среднетяжелое течение патологии.

Было установлено, что у больных с указанной патологией отмечается ослабление неспецифической резистентности организма и клеточного звена иммунитета, нарушения в гу-

моральном иммунитете. Указанные патологические сдвиги, которые были более выражены при среднетяжелом течении патологии, проявлялись уменьшением фагоцитарного числа и фагоцитарного индекса, абсолютного и процентного содержания Т-лимфоцитов в периферической крови; снижением количества иммуноглобулинов классов А и G и повышением общего неспецифического иммуноглобулина Е в сыворотке крови.


Известно, что ионы марганца легко преодолевают плацентарный и гемато-энцефалический барьеры [5, 10]; марганец выделяется в молоко кормящих животных. Доказано, также, что всасывание марганца через пищеварительную систему у молодых организмов происходит гораздо интенсивнее, чем у зрелых животных [2, 12].

Согласно результатам нашего исследования, у потомства крыс, отравленных хлористым марганцем до- и в течение беременности и при кормлении выводка, процесс обучения в многоходовом лабиринте значительно затруднен. Это особенно касается потомства крыс, отравленных большой дозой (20 мг/кг) марганца. Некоторые крысята этой группы вообще не смогли научиться до конца проходить лабиринт и добираться до гнезда. В этом отношении эти крысята не отличаются от взрослых животных, которые после 30-дневной интоксикации хлористым марганцем в дозе 20мг/кг, тоже не смогли обучиться дороге до гнезда.

Следует также отметить, что по мнению некоторых исследователей [13] нервная система развивающегося организма способна компенсировать нейрохимические сдвиги, индуцированные избытком ионов марганца; другие же авторы, а их большинство, считают, что интоксикация марганцем на ранних стадиях постнатального онтогенеза вызывает ряд нарушений в центральной нервной системе, что проявляется как в изменениях в двигательной активности животных, так и в нарушении их способности к обучению [6, 16]. Наши данные согласуются с мнением тех, упомянутых выше исследователей [5, 7, 14, 21, 22], которые указывают, что интеллект вскормленных искусственно детей и их способность к обучению на несколько пунктов ниже, чем вскормленных материнским молоком. Это, должно

быть, связано с тем, что в искусственно приготовленной пище уровень марганца и других тяжелых металлов значительно выше, чем в материнском молоке.

ЛИТЕРАТУРА

1. *Азин А.Л., Климин В., Митагвария Н.П., Бараташвили И.* Регуляторные механизмы кровоснабжения коры головного мозга. Екатеринбург, Наука, 1995.
2. *Москалев Ю.И.* Минеральный обмен. Москва, Медицина, 1985.
3. *Шукакидзе А., Дарбаიдзе М., Бицашвили Т.* Georgian Med. News, 1999, 9, 4-8.
4. *Alves G., Thiebot J., Tracqui A., Delangre T., Guedon C., Lerebours E.* J. Parenter. Enteral Nutr., 1997, 21, 41-45.
5. *Aschner M., Cannon M.* Brain Res. Bull., 1994, 33, 345-349.
6. *Brenneman K.A., Cattley R.C., Ali S.F., Dorman D.C.* Neurotoxicology, 1999, 20, 477-487.
7. *Buechner J.S.* Med. Health R I., 2000, 83, 257-258.
8. *Castillo-Duran C., Cassorba F.* J. Pediatr. Endocrinol. Metab., 1999, 12, 589-601.
9. *Couper J.* Brit. Ann. Medicine, Pharmacy, Vital Statistics, and General Sci., 1937, 1, 41-42.
10. *Fechter L.D.* Neurotoxicology, 1999, 20, 197-201.
11. *Hua M.S., Huang C.C.* J. Clin. Exp. Neuropsychol., 1991, 13, 495-507.
12. *Keen C.L., Lonnerdal B., Hurley L.S.* In: Biochemistry of the Essential Ultratrace Elements. New York, Plenum Press, 1984.
13. *Kontur P.J., Fechter L.D.* Neurotoxicol. Teratol., 1988, 10, 295-303.
14. *Liochev S.I., Fridovich I.* IUBMB Life, 1999, 48, 157-161.
15. *Oner G., Senturk U.* Food Chem. Toxicol., 1995, 33, 559-563.
16. *Pappas B.A., Zhang D., Davidson C.M., Crowder T., Park G.A., Fortin T.* Neurotoxicol. Teratol., 1997, 19, 17-25.
17. *Senturk U., Oner G.* Biol. Trace Elem. Res., 1996, 51, 249-257.
18. *Shukakidze A., Lazriev I., Mitagvaria N.* J. Neurosci. and Behav. Physiol., 2003, 33, 263-267.
19. *Shukla G.S., Singhal R.L.* Can. J. Physiol. Pharmacol., 1984, 62, 1015- 1031.
20. *Sziraki I., Rauhala P., Chiueh C.C.* Brain Res., 1995, 698, 285-287.
21. *Tsukamoto T., Koizumi N., Ninomya R.* Nippon Eiseigaku Zassh., 1987, 42, 633-639.
22. *Vuori E., Makinen S., Kara R., Kuitunen P.* Am. J. Clin. Nutr., 1980, 33, 227-231.

განმარტვის ქლორიდით ხანმოკლე ინტოქსიკაციის გავლენა მრავალგანუტოვებთან ლაბორინტში ვირთაგვების დასწავლის პროცესზე

*ნ. ჩხარტიშვილი, თ. ბიკაშვილი, ვ. კიკნაძე, ე. ძამოევია,
ა. ქუთათელაძე, მ. ხითარიშვილი, ი. ლაზრიშვილი*

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ი. ბერიტაშვილის სახელობის ფიზიოლოგიის ინსტიტუტი, თბილისი

რეზიუმე

მრავალგანუტოვან ლაბორინტში შესწავლილია დასწავლის პროცესი: ა) ზრდასრულ ვირთაგვებში, რომლებსაც 30 დღის განმავლობაში ყოველდღიურად საქ-

ვების პირველ უღელუხასთან ერთად ეძლეოდა მანგანუმის ქლორიდი ($MnCl_2 \cdot 4H_2O$) დოზებით 10 და 20 მგ/კგ და ბ) იმ ვირთაგუების 30-დღიან შთამომავლობაში, რომლებსაც მაკეობამდე 15 დღით ადრე, მაკეობის პერიოდში და შთამომავლობის გამოკვებისას, 30-დღიან ასაკამდე, ყოველდღე ეძლეოდა მანგანუმის ქლორიდის აღნიშნული დოზები. დასწავლის პროცესი ფასდებოდა დაშვებული შეცდომების რაოდენობით (ლაბირინთის ჩიხებში შესვლა) და ლაბირინთის ბოლომდე გავლის დროით. ზრდასრული ცხოველების 10 მგ/კგ დოზით ინტოქსიკაცია არ ახდენს არსებით გავლენას ლაბირინთში სტერეოტიპული ქცევის გამომუშავებაზე. 20 მგ/კგ დოზით ინტოქსიკაცია კი იწვევს დასწავლის პროცესის შეუქცევად მოშლას – ვერც ერთმა ცხოველმა ვერ ისწავლა ლაბირინთის ბოლომდე გავლა. 30-დღიანი ცხოველების დასწავლის პროცესი მნიშვნელოვნადაა გაძნელებული – ისინი, როგორც დაშვებული შეცდომების რაოდენობით, ასევე ლაბირინთის გავლისათვის დახარჯული დროით, მნიშვნელოვნად ჩამორჩებიან საკონტროლო ჯგუფის ცხოველებს. იმ შთამომავლობის ნაწილმა, რომლის დედებსაც მანგანუმის ქლორიდი 20 მგ/კგ დოზით ეძლეოდა, საერთოდ ვერ ისწავლა ლაბირინთის ბოლომდე გავლა.

INFLUENCE OF SHORT-TERM MANGANESE INTOXICATION OF THE RATS ON LEARNING PROCESS IN THE MULTIPLE-CHOICE MAZE

N. Chkharishvili, T. Bikashvili, G. Kiknadze, E. Dzamoeva, I. Kutateladze, M. Khitarishvili, I. Lazrishvili

I. Beritashvili Institute of Physiology, Georgian Academy of Sciences, Tbilisi

SUMMARY

The process of learning in the multiple choice elevated maze was studied in: a) adult rats, which during 30 days, with the first portion of food received manganese chloride daily (10 and 20 mg/kg per ingestion), and b) 30-day old rats, offspring to the females who received manganese chloride, same dosage, prior to pregnancy, during pregnancy, and in the period of suckling. Learning process was assessed according to the number of errors (entering into the blind alley) and to the time required for successful reaching the goal. Intoxication of the adult animals with low dose of manganese did not alter significantly learning process, while intoxication with 20 mg/kg manganese chloride induced irreversible impairment of the process – none of the animals of this group learned the way to the last point. Learning in the 30-day old rats was impaired significantly – both number of errors and time spent for task was inferior to the indices of the control rats. Part of offspring of the female rats, which were given manganese chloride in a dose of 20 mg/kg, was entirely unable to learn the maze task.

ამინოვუანიდინის გავლენა ახალშობილი ვირთაგვას თავის ტვინის ჰიპოქსია-ისქემიით ინდუცირებულ ლაზიანებაზე

მ. ხურცია*, გ. გაბრიჩიძე, ა. ზანანიანი, მ. ნებერიძე

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ი. ბერიტაშვილის სახელობის ფიზიოლოგიის ინსტიტუტი, თბილისი; * საქართველოს სახელმწიფო სამედიცინო აკადემია, თბილისი

მიღებულია 15.03.2005

შესწავლილია ინდუცირებადი აზოტის ოქსიდის სინთაზას (iNOS) შერჩევითი ინიჰიბიტორის – ამინოვუანიდინის პერიტონეუმში ინექციის გავლენა ვირთაგვას იმ ღლაპების დიდი ნახევარსფეროების ქერქში დაზიანებული ნეირონების რაოდენობაზე, რომლებმაც 7-დღიან ასაკში განიცადეს ჰიპოქსიურ-ისქემიური ზემოქმედება. გამოყენებული იყო ცნობილი ექსპერიმენტული მოდელი, როდესაც ერთ-ერთ საძილე არტერიასზე დადებულია ლიგატურა, შემდეგ კი ცხოველი თავსდება ჰიპოქსიურ გარემოში, სადაც პაერი შედგება 8% ჟანგბადისა და 92% აზოტისაგან. ჰიპოქსიური ზემოქმედების დამთავრებისთანავე ღლაპებს სამი დღის განმავლობაში უკეთებოდა ამინოვუანიდინის ინექცია (150 და 300 მგ/კგ, დღეში ერთხელ). საკონტროლო ცხოველებს ამინოვუანიდინის ნაცვლად უკეთებოდა ფიზიოლოგიური ხსნარი. პისტოლოგიური გამოკვლევისათვის მასალა აღებულია ჰიპოქსიური ზემოქმედების დამთავრებიდან 3, 7 და 22 დღის შემდეგ. 15-20 მკმ სისქის ანათლები იღებოდა კრეზიდ ვიოლეტით. ამინოვუანიდინის ინექცია თავის ტვინის ფორნტო-ტემპორალური უბნის ქერქში სტატისტიკურად სარწმუნოდ ამცირებს გადაგვარებადი ნეირონების რაოდენობას. საკონტროლო ჯგუფის ცხოველებში დეგენერირებული უჯრედები 3 დღის შემდეგ ნეირონების საერთო რაოდენობის $28,6 \pm 1,5\%$ -ს შეადგენს, იმ ღლაპებში, რომლებსაც უკეთებოდა ამინოვუანიდინი (150 მგ/კგ) – $22,9 \pm 2,7\%$ -ს, ხოლო რომლებსაც ამინოვუანიდინი უკეთებოდა დოზით 300 მგ/კგ – $16,0 \pm 1,0\%$ -ს; მეშვიდე დღეს – შესაბამისად, $28,3 \pm 1,6\%$, $23,0 \pm 1,6\%$ $15,6 \pm 1,6\%$ და 22-ე დღეს – $21,1 \pm 2,2\%$, $15,5 \pm 1,0\%$ და $10,1 \pm 0,7\%$. ეს მონაცემები მიუთითებს, რომ iNOS-ის ინიჰიბირება, ჰიპოქსიურ-ისქემიური ზემოქმედების დამთავრების შემდეგაც კი, ნეიროპროტექტორულ როლს ასრულებს.

საკვანძო სიტყვები: ინდუცირებადი NOS, ამინოვუანიდინი, პერინატალური ჰიპოქსია-ისქემია, ვირთაგვა, ნეოკორტექსი

ცნობილია, რომ ონტოგენეზის ადრეულ სტადიებში განვითარებული ჰიპოქსია-ისქემიის დროს, ჟანგბადისა და საკვები ნივთიერებების დეფი-

ციტის გამო, ვითარდება თავის ტვინის მნიშვნელოვან დაზიანებათა მთელი კასკადი, რომელიც ძლიერდება რეპერფუზიისა და რეოქსიგენაციის შემდეგ. ხშირად ეს ცვლილებები უძიმეს ნევროლოგიურ გართულებებში (ტვინის პარალიზი, ეპილეფსია) გადადის [2, 5].

ერთ-ერთ ძირითად მიზეზს, რომელიც იწვევს ნეირონების შეუქცევად დაზიანებას და დაღუპვას, წარმოადგენს აზოტის ოქსიდის (NO) ჭარბი რაოდენობა [12]. ჰიპოქსია-ისქემიის დროს ადგილი აქვს NO-ს მასინთეზებელი ფერმენტის – აზოტის ოქსიდის სინთაზას – NOS-ის სამივე იზოფორმის (ნეირონული – nNOS, ენდოთელიური – eNOS და ინდუცირებადი – iNOS) გაძლიერებულ ექსპრესიას [15] და, შესაბამისად, NO-ს ჭარბი რაოდენობით პროდუცირებას. გამოკვლევებით დადგენილია, რომ iNOS-ისა და nNOS-ის აქტივაციის შედეგად წარმოქმნილი NO ნეიროტოქსიკურია, ხოლო eNOS-ის აქტივაციის შედეგად სისხლძარღვების კედლების უჯრედებში პროდუცირებული NO ნეიროპროტექტორულ როლს ასრულებს [10, 15].

მიუხედავად იმისა, რომ NOS-ის ინჰიბიტორების გავლენა ჰიპოქსია-ისქემიით გამოწვეულ ძვრებზე მრავალი მკვლევარის მიერაა შესწავლილი, ამ პრობლემის ბევრი საკითხი ჯერ კიდევ საკამათოა. ავტორთა ერთი ჯგუფი [6, 8, 9, 17] მიუთითებს, რომ NOS-ის ინჰიბიტორების (როგორც შერჩევითი, ასევე არაშერჩევითი, ანუ NOS-ის სამივე იზოფორმაზე მოქმედი) დადებითი ეფექტი ვლინდება მხოლოდ მათი ჰიპოქსია-ისქემიის ინდუცირებადვე ინექციის შემთხვევაში. მკვლევართა მეორე ჯგუფის მიერ ნაჩვენებია, რომ NOS-ის ინჰიბიტორების ჩართვა ჰიპოქსია-ისქემიის შემდეგ, რეოქსიგენაციისა და რეპერფუზიის თანადროულად, აუმჯობესებს ტვინის ენერგეტიკულ სტატუსს, ახდენს ვაზოგენური შეშუპების პრევენციას, მკვეთრად ამცირებს აპოპტოზთან დაკავშირებულ პროცესებს, მაგალითად, კაპაზაზ-3-ის აქტივობას [4, 13, 16, 18].

წინამდებარე ნაშრომში წარმოდგენილია ნეონატალურ ვირთაგვებში ჰიპოქსია-ისქემიის ინდუცირების შემდეგ, iNOS-ის შერჩევითი ინჰიბიტორის – ამინოგუანიდინის ინექციის დიდი ტვინის ქერქის ნეირონების სტრუქტურასა და რაოდენობაზე გავლენის შესწავლის შედეგები.

მასალა და მეთოდები

ექსპერიმენტებში გამოყენებულ იქნა ნეონატალურ ვირთაგვებში ჰიპოქსია-ისქემიის გამოწვევის სღეფინის [11] მეთოდის რაისისა და თანაავტ. [14] საყოველთაოდ აღიარებული მოდიფიკაცია. ვირთაგვეს 7-დღიან ღლაპებს, ქლორალჰიდრატით ანესთეზიის შემდეგ, მარჯვენა საძილე არტერიაზე ვადებდით ლიგატურას და 2-3 საათით ვაბრუნებდით ბუდეში. შემდეგ, ჰიპოქსიის გამოსაწვევად, ღლაპები ორგანული მინისაგან დამზადებულ აირგამტარ ყუთში გადაგვყავდა. ყუთს, ცხოველების სხეულის ტემპერატურის ოპტიმალურ დონეზე შენარჩუნების მიზნით, ვათავსებდით 37°C-მდე შემთბარი წყლის აბაზანაში. 2,5 საათის განმავლობაში ყუთში ტარდებოდა ტენიანი აირნარევი (92% – აზოტი და 8% – ჟანგბადი).

ცხოველების პირველ ჯგუფს 3 დღის განმავლობაში დღეში ერთხელ პერიტონეუმში უკეთებოდა ამინოგუანიდინის (150 მგ/კგ, გახსნილი 50 მკლ ფიზიოლოგიურ ხსნარში) ინექცია. პირველი ინექცია კეთებოდა ჰიპოქსიური ზემოქმედების დასრულებიდან 5 წუთის შემდეგ.

ცხოველების მეორე ჯგუფსაც იგივე პროცედურები უტარებოდა, რაც I ჯგუფის ღლაპებს, მხოლოდ საინექციოდ გამოყენებული იყო ამინოგუანიდინის გაორმაგებული დოზა (300 მგ/კგ).

ცხოველების საკონტროლო ჯგუფს ამინოგუანიდინის ნაცვლად უკეთდებოდა იგივე მოცულობის ფიზიოლოგიური ხსნარი.

ჰისტოლოგიური გამოკვლევისათვის მასალას ვიღებდით ჰიპოქსიური ზემოქმედების დასრულებიდან 3, 7 და 21 დღის შემდეგ (5-5 ღლაპი ყოველ ცალკეულ შემთხვევაში, სულ 45 ცხოველი). ნემბუტალის ღრმა ნარკოზის ქვეშ მყოფი სამივე სერიის ცხოველების დეკაპიტაციის შემდეგ, თავის ტვინს 3 დღით ვათავსებდით საფიქსაციო ხსნარში, რომელიც შეიცავდა 3% ფორმალდეჰიდსა და 2,5% ვალუტარალდეჰიდს. მარჯვენა ნახევარსფეროს, დეკაპიტაციის შემდეგ, ვაყალიბებდით პარაფინში და 15-20 მკმ სისქის ანათლებს ვღებავდით კრეზიდ ვიოლეტის 1%-იანი ხსნარით.

ჩატარებულია დიდი ნახევარსფეროების ქერქის ფრონტო-ტემპორალური ზონის ნეირონების ჰისტოპათოლოგიური და რადენობრივი ანალიზი. რადენობრივი გამოთვლები ტარდებოდა მიკროსკოპის ოკულარში ჩადგმული მორფომეტრული ბადის მეშვეობით. მხედველობის ველის ფართობი მიკროსკოპით 800-ჯერ გადიდებისას (ობ. $\times 40$, ოკ. $\times 20$) 17000 მკმ²-ს უდრიდა. თითოეულ ცხოველში გამოთვლები ჩატარებულია რუხი ნივთიერების დაზიანებული უბნის 10-12 სვეტში, თითოეული სვეტი მოიცავდა 12-13 მხედველობის არეს.





ყოველი ექსპერიმენტული შედეგი გამოისახებოდა $M \pm m$ სახით, სადაც M საშუალო სიდიდეა, ხოლო m საშუალოს სტანდარტული შეცდომა. სხვაობა შეწონილ საშუალო სიდიდეთა შორის მოწმდებოდა სტიუდენტის t-ტესტით.

შეჯამება და მათი განხილვა

ჰიპოქსია-ისქემიის გამოწვევიდან სამი დღის შემდეგ, ანუ ფიზიოლოგიური ხსნარის ბოლო ინექციიდან მეორე დღეს, საკონტროლო ღლაპების მარჯვენა ნახევარსფეროს ფრონტო-ტემპორალური ქერქის ისქემირებულ უბანში დაზიანებული ნეირონების უმეტესობა შეჭმუხნულია; ამასთან, ზოგიერთ მათგანში ბირთვის გარჩევა შეუძლებელია (სურ. 1ა), ზოგიერთში კი, ნათელი ბირთვი მკვეთრად გამოირჩევა მუქი ციტოპლაზმის ფონზე (სურ. 1ბ). ასეთ უჯრედებში ქრომატინის ბელტები უპირატესად ბირთვის გარსთანაა ლოკალიზებული, ხოლო ბირთვაკს ბირთვის ცენტრალური უბანი უკავია. ნეირონებს შორის გაჯირჯეებული უჯრედები დარღვეული პლაზმური მემბრანით შედარებით იშვიათია. ზოგი გაჯირჯეებული უჯრედის ციტოპლაზმა ვაკუოლიზებულია, ბირთვი კი – პიკნოზური.

რადენობრივი ანალიზით დადგინდა, რომ საკონტროლო ჯგუფის ღლაპების ფრონტო-ტემპორალური ქერქის ისქემირებულ უბანში დაზიანებული

ნეირონები უჯრედების საერთო რაოდენობის $28,6 \pm 1,5\%$ -ს შეადგენს (ცხრილი 1; სურ. 2).




სურ. 1. დიდი ტვინის ფრონტო-ტემპორალური უბნის ქერქი. შეღებვა კრეზილ ვიოლეტი. ა - მკვეთრად შეჭმუნული მუქი უჯრედები; ბ - მუქი ნეირონები ნათელი ბირთვით; გ - გაჯირჯეებული და ვაკუოლიზებული უჯრედები; დ - წვრილი მუქი სხეულაკების გროვა. პიპოქსია-ისქემიის ინდუცირებიდან მეოთხე (ა, ბ) და 22-ე (გ, დ) დღე.

პიპოქსია-ისქემიის ინდუცირებიდან 7 დღის შემდეგ, საკონტროლო ცხოველების ნეოკორტექსის დაზიანებულ უბანში დეგენერირებული უჯრედების შეფარდებითი რაოდენობა იგივეა, რაც 3 დღის შემდეგ იყო, თუმცა აქ ჭარბობს მკვეთრად შეჭმუნული ნეირონები, გაზრდილია, აგრეთვე, გაჯირჯეებული და ვაკუოლიზებული უჯრედების წილიც. დეგენერირებული უჯრედების ჯამური რაოდენობა ნეირონების საერთო რაოდენობის $28,3 \pm 1,6\%$ -ს შეადგენს (ცხრილი 1; სურ. 2).

ნეირონების რაოდენობა ჰიპოქსია-ისქემია გადატანილი დღაპების დიდი ნახევარსფეროების ქერქის ფრონტო-ტემპორალური ზონის დაზიანებული უბნის რუხი ნივთიერების სექტებში

ცხოველთა ჯგუფები	ჰიპოქსია-ისქემიის გამოწვევიდან გასული დრო					
	3 დღე		7 დღე		22 დღე	
	უჯრ.	დაზ. უჯრ.	უჯრ.	დაზ. უჯრ.	უჯრ.	დაზ. უჯრ.
კონტროლი	196 ± 35	56 ± 3	187 ± 23	53 ± 3	85 ± 31	39 ± 4
I ჯგუფი	188 ± 31	43 ± 5	191 ± 24	44 ± 3	193 ± 27	30 ± 2
II ჯგუფი	205 ± 34	33 ± 2	192 ± 31	30 ± 3	198 ± 28	20 ± 1,5

უჯრ. – უჯრედების საერთო რაოდენობა; დაზ. უჯრ. – დაზიანებული უჯრედების რაოდენობა.



სურ. 2. დეგენერირებული ნეირონების პროცენტული რაოდენობა იშემია-ჰიპოქსია გადატანილი დღაპების ფრონტო-ტემპორალური ქერქის დაზიანებულ უბნებში. 1 – საკონტროლო ჯგუფი; 2 – I ექსპერიმენტული ჯგუფი; 3 – II ექსპერიმენტული ჯგუფი.

ექსპერიმენტის 22-ე დღეს დაზიანებული უჯრედების რაოდენობა, მე-7-ე დღის მონაცემებთან შედარებით, სტატისტიკურად სარწმუნოდ დაკლებულია და ნეირონების საერთო რაოდენობის $21,1 \pm 2,2\%$ -ია ($p < 0,01$). დეგენერირებული ნეირონები ან მკვეთრად შეჭმუხნულია და ციტოპლაზმისა და ბირთვის ერთმანეთისაგან გარჩევა შეუძლებელია, ანდა გაჯირჯკებული უჯრედებია, რომელთა პლაზმური მემბრანა და ბირთვის გარსი ფრაგმენტირებულია, ციტოპლაზმა კი ვაკუოლიზებული (სურ. 1გ). ქერქის ცალ-

კეულ უბნებში შეინიშნება წვრილი მომრგვალო მუქი სხეულაკების გროვები (სურ. 1დ) და ასეთივე ფორმის სხეულაკების შემცველი მსხვილი უჯრედები. ჩვენი აზრით, ეს უჯრედები აქტივირებული მიკროფილოციტები, ანუ რეზიდენტული მაკროფაგებია, რომლებიც დეგენერირებული ნეირონების ფაგოციტირებულ ფრაგმენტებს შეიცავს.

ჰიპოქსია-ისქემიის ინდუცირების შემდეგ ამინოგუანიდინის სამჯერადი ინექცია მნიშვნელოვნად და სტატისტიკურად სარწმუნოდ ამცირებს დეგენერირებული ნეირონების რაოდენობას (ცხრილი 1; სურ. 2). კერძოდ, ამინოგუანიდინის 150 მგ/კგ დოზით ინექციის შემთხვევაში ქერქის დაზიანებულ უბანში, ექსპერიმენტის მესამე დღეს, გადაგვარებადი უჯრედები ნეირონების საერთო რაოდენობის $22,9 \pm 2,7\%$ -ს შეადგენს; მეშვიდე დღეს $23,0 \pm 1,6\%$ -ია; ხოლო 22-ე დღეს – $15,5 \pm 1,0\%$. ამინოგუანიდინის დადებითი ეფექტი კიდევ უფრო მკვეთრად გამოხატული II ჯგუფის ცხოველებში, რომლებსაც უკეთდებოდა ამინოგუანიდინის გაორმაგებული დოზა (300 მგ/კგ). ამ ჯგუფში გადაგვარებული უჯრედები ექსპერიმენტის მესამე დღეს $16,0 \pm 1,0\%$ -ია; მეშვიდე დღეს – $15,6 \pm 1,6\%$; ხოლო 22-ე დღეს – $10,1 \pm 0,7\%$ (ცხრილი 1; სურ. 2).

ცნობილია, რომ ონტოგენეზის პერინატალურ პერიოდში ჰიპოქსია-ისქემიის შედეგად თავის ტვინში ვითარდება ბიოქიმიურ გარდაქმნათა რთული კასკადი, რაც ნეირონების დაღუპვას იწვევს. ნეირონების შეუქცევად დაზიანებაში NO მნიშვნელოვან როლს თამაშობს. ჰიპოქსია-ისქემიის პროცესში ტვინის უჯრედებში NOS-ის აქტივაციის შედეგად სინთეზირებული ჭარბი NO სწრაფად შედის რეაქციაში სუპეროქსიდრადიკალებთან და ხდება პეროქსინიტრიტის ფორმირება. ეს უკანასკნელი, აზოტის სხვა რეაქტიულ ნაერთებთან ერთად, იწვევს ლიპიდების, ლნმ-ს და ცილების ნიტრირებას, რაც, თავის მხრივ, ტვინის უჯრედების სტრუქტურულ-ფუნქციური ორგანიზაციის შეუქცევად დაზიანებას იწვევს [3].

როგორც აღინიშნა, სხვადასხვა პათოლოგიების დროს NOS-ის სამი იზოფორმიდან ორის – iNOS-სა და nNOS-ის, აქტივაციის შედეგად წარმოქმნილი NO ნეიროტოქსიკურია. ამიტომ, იმ პათოლოგიური ძვრების თავიდან ასაცილებლად, რომლებიც ვითარდება ჰიპოქსია-ისქემიის დროს, მეტად მნიშვნელოვანია iNOS-სა და nNOS-ის ინჰიბირება.

თავის ტვინში ჰიპოქსიურ-ისქემიური ზემოქმედებით გამოწვეული დაზიანების თავიდან ასაცილებლად NOS-ის ინჰიბიტორების გამოყენებისა და მათი ნეიროპროტექტორული ეფექტის გარკვევის მიზნით ჩატარებული მრავალრიცხოვანი გამოკვლევების მიუხედავად, ჯერ კიდევ ბოლომდე არ არის გარკვეული პროცესის რომელ ეტაპზეა ეფექტური NOS-ის შერჩევითი თუ არაშერჩევითი ინჰიბიტორების გამოყენება. გაურკვევლობისა და აზრთა სხვადასხვაობის ძირითად მიზეზს წარმოადგენს მნიშვნელოვანი განსხვავებანი სხვადასხვა მკვლევარების მიერ გამოყენებული ჰიპოქსია-ისქემიის ექსპერიმენტულ მოდელებს შორის; აგრეთვე სხვადასხვა სახისა და აქტივობის ინჰიბიტორების გამოყენება.

ნაჩვენებია, რომ ნეონატალურ ვირთაგვებში, ჰიპოქსია-ისქემიის ინდუცირებაში 1,5 საათით ადრე, NOS-ის არაშერჩევითი ინჰიბიტორის, NG-ნიტრო-L-

არგინინის (2 მგ/კგ) ინექცია 87%-ით ამცირებს დიდი ჰემისფეროების დაზიანებული უბნის მოცულობას; თუმცა, ამავე ინჰიბიტორის ჰიპოქსიური მოქმედების დამთავრებისთანავე ინექცია დადებით ეფექტს არ იძლევა [9].

ზოგიერთი მონაცემებით NOS-ის ინჰიბირება ჰიპოქსია-ისქემიის ეპიზოდის შემდეგაც იძლევა დადებით ეფექტს [7, 13, 16], მაგალითად, ახალშობილ გოჭებში ჰიპოქსია-ისქემიის ინდუცირებისა და შემდგომი რეოქსიგენაციიდან 24 საათის შემდეგ, nNOS-ის და iNOS-ის ერთობლივი სელექციური ინჰიბიტორის, 2-იმინობიოტინის ინექცია იწვევს დიდი ტვინის ქერქში დაღუპული ნეირონების 60-80%-ით შემცირებას [13]. ვირთაგვების 7-დღიან ღლაპებში, ჰიპოქსია-ისქემიამდე, მისი ინდუცირების პერიოდში და რეოქსიგენაციის შემდეგ, ამინოგუანიდინის (300 მგ/კგ) ინექცია დიდი ჰემისფეროების ქერქში დაზიანების მოცულობას 89%-ით ამცირებს [16].

წვენს ექსპერიმენტებში გამოყენებული იყო iNOS-ის შერჩევითი ინჰიბიტორი ამინოგუანიდინი. უნდა აღინიშნოს, რომ იგი, მეტ-ნაკლებად, იწვევს NOS-ის სხვა იზოფორმების ინჰიბირებასაც. მიღებული შედეგების თანახმად, 7-დღიანი ვირთაგვების ჟანგბადით გაღარიბებული გარემოდან გამოყვანისთანავე, ამინოგუანიდინის სამჯერადი ინექცია (დღეში ერთხელ) მნიშვნელოვნად ამცირებს ტვინის როგორც დაზიანებული უბნის მოცულობას [1], ასევე დაზიანებულ უბანში დეგენერირებადი უჯრედების რაოდენობას. ეს ეფექტი განსაკუთრებით მკვეთრადაა გამოხატული ამინოგუანიდინის 300 მგ/კგ დოზის გამოყენებისას.

აქვე აღსანიშნავია, რომ ნეიროპროტექტორული ეფექტი აგმატინსაც გააჩნია, რომელიც ამინოგუანიდინის ბუნებრივ ანალოგს წარმოადგენს [7].

ცნობილია, რომ ჰიპოქსია-ისქემიისა და შემდგომი რეპერფუზიის ან რეოქსიგენაციის დროს აღინიშნება NO-სა და მისი მეტაბოლიტების ორი პიკი. პირველს ადგილი აქვს ჰიპოქსია-ისქემიური პროცესის მიმდინარეობისას, ხოლო მეორეს – რეპერფუზიის ან რეოქსიგენაციის დროს. ამასთანავე, ამინოგუანიდინის წინასწარი, ჰიპოქსია-ისქემიის გამოწვევამდე, ინექცია გაველენას არ ახდენს პირველ პიკზე და მხოლოდ ნაწილობრივ თრგუნავს მეორეს [10], ხოლო, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ამინოგუანიდინის ეფექტი მკვეთრად არის გამოხატული მისი რეოქსიგენაციის პერიოდში შეყვანისას.

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, დიდი ალბათობით შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ამინოგუანიდინის ნეიროპროტექტორული ეფექტი გამოწვეულია NO-ს პროდუცირების მეორე პიკის (რომელსაც iNOS-ის აქტივაცია განაპირობებს) დათრგუნვით.

ლიტერატურა

1. ხურცია მ., ფაველნიშვილი ი., დიასამიძე ი., გაბრიჩიძე ვ., ბეჟიაა გ. ს.ა.ქ. მეცნ. აკად. მაცნე, ბიულ. სერია A, 2004, 30, 909-915.
2. Aden U., Dahlberg V., Fredholm B. B., Lai L.-J., Chen Z., Bjelke B. Stroke, 2002, 33, 1405-1410.
3. Beckman J.S., Koppenol W.H. Am. J. Physiol., 1996, 271, C1424-C1437.
4. Cash D., Beech J.S., Rayne R.C., Bath P.M., Meldrum B.S., Williams S.C. Brain Res., 2001, 905, 91-103.

5. Derugin N., Wendland M., Muramatsu K., Roberts T.P.L., Gregory G., Ferreira D.M., Vexler Z.S. *Stroke*, 2000, 31, 1752-1761.
6. Escott K.J., Beech J.S., Haga K.K., Williams S.C., Meldrum B.S., Bath P.M. J. *Cereb. Blood Flow Metab.*, 1998, 18, 281-287.
7. Feng Y., Piletz J.E., Leblanc M.H. *Pediatric res.*, 2002, 52, 606-611.
8. Groenendaal F., Graaf R. A., Vliet G., Nicolay K. *Pediatr. Res.*, 1999, 45, 827-833.
9. Hamada Y., Hayakawa T., Hattori H., Mikawa H. *Pediatr. Res.*, 1994, 35, 10-14.
10. Higuchi Y., Hattori H., Kume T., Tsuji M., Akaike A., Furusho K. *Eur. J. Pharmacol.*, 1998, 342, 47-49.
11. Levine S. *Am. J. Pathol.*, 1960, 36, 1-17.
12. Peeters C., Van Bel F. *Biol. Neonate*, 2001, 79, 274-280.
13. Peeters-Scholte C., Koster J., Veldhuis W., Tweel E., Zhu C., Kops N., Blomgren K., Bar D., Buij-Offers S., Hagberg H., Nicolay K., Bel F., Groenendaal F. *Stroke*, 2002, 33, 2304-2310.
14. Rice J.E., Vannucchi R.C., Brierley J.B. *Ann. Neurol.*, 1981, 9, 131-141.
15. Samdani A.F., Dawson T.M., Dawson V.L. *Stroke*, 1997, 28, 1283-1288.
16. Tsuji M., Higuchi Y., Shiraiishi K., Kume T., Akaike A., Hattori H. *Pediatr. Res.*, 2000, 47, 79-83.
17. Yoshida T., Limmorth V., Irikura K., Moskowitz M.A. *J. Cereb. Blood Flow Metab.*, 1994, 14, 924-929.
18. Zhang F., Iadecola C. *Brain Res.*, 1998, 802, 104-110.

ВЛИЯНИЕ АМИНОГУАНИДИНА НА ИНДУЦИРОВАННЫЕ ГИПОКСИЯ-ИСХЕМИЕЙ ПОВРЕЖДЕНИЯ ГОЛОВНОГО МОЗГА НЕОНАТАЛЬНЫХ КРЫС

М. Хурция, Г. Габричидзе, И. Занаян, М. Небиеридзе*

Институт физиологии им. И.С. Бериташвили Академии наук Грузии, Тбилиси; * Государственная медицинская Академия Грузии, Тбилиси

РЕЗЮМЕ

Изучено влияние интраперитонеальной инъекции селективного ингибитора индуцируемой синтазы оксида азота (iNOS) на число поврежденных нейронов коры больших полушарий крысят, которые в 7-дневном возрасте были подвергнуты гипоксии-ишемии. Была использована хорошо известная экспериментальная модель, подразумевающая перевязку одной из сонных артерий и затем проведение гипоксического воздействия дыханием смеси, содержащей 8% кислорода и 92% азота. Сразу после гипоксического воздействия, крыскам, в течение трех дней, вводили аминогуанидин (150 и 300 мг/кг, по одной инъекции в день). Контрольным животным вместо аминогуанидина вводился физиологический раствор. Материал для гистологического исследования брали спустя 3, 7 и 22 дня после гипоксического воздействия. Срезы, толщиной 15-20 мкм, окрашивались кризил-фиолетовым. Инъекция аминогуанидина статистически достоверно снижает число погибающих нейронов фронто-темпоральной зоны коры больших полушарий. У крысят контрольной группы, через 3 дня, дегенерирующие клетки составляют $28,6 \pm 1,5\%$ от общего числа нейронов, у крысят, которым вводился аминогуанидин в дозе 150 мг/кг, – $22,9 \pm 2,7\%$, а у крысят, которым вводился аминогуанидин в дозе 300 мг/кг, $-16,0 \pm 1,0\%$; на 7-ой день – $28,3 \pm 1,6\%$, $23,0 \pm 1,6\%$, $15,6 \pm 1,6\%$, соответственно, и на 22-й день – $21,1 \pm 2,2\%$, $15,5 \pm 1,0\%$ и $10,1 \pm 0,7\%$, соответственно. Полученные данные указывают, что ингибирование iNOS, даже после завершения гипоксически-ишемического воздействия, выполняет нейропротекторную роль.

INFLUENCE OF AMINO GUANIDINE ON THE BRAIN LESIONS INDUCED BY HYPOXY-ISCHEMY IN THE NEONATAL RATS

M. Khurtsia, G. Gabrichidze, I. Zananyan, M. Nebieridze*

I. Beritashvili Institute of Physiology, Georgian Academy of Sciences, Tbilisi; * Georgian State Medical Academy, Tbilisi

SUMMARY

Influence of intraperitoneal administration of the selective inhibitor of inducible nitric oxide synthase (iNOS) on the number of damaged neurons in the cerebral cortex of the rat pups was investigated; the pups, in the 7-day age, were subjected to hypoxic-ischemic impact. The well-known experimental model was implemented, which implies ligation of one of the carotid arteries, and than application for breathing the gaseous mixture consisting of 8% oxygen and 92% nitrogen. Immediately after the hypoxic influence the pups, in a course of three days, were administered aminoguanidine (150 mg/kg and 300 mg/kg, single injection per day). Control animals were given same amount of saline. Material for histological examination was obtained 3, 7, and 22 days following the hypoxic procedure. The brain slices, 15-20 μm thick, were stained with cresil-violet. Injections of aminoguanidine, statistically significantly decreased the number of dead neurons in the fronto-temporal lobes of the brain. In the control pups, after three days number of degenerating cells made $28.6 \pm 1.5\%$ of the total number of the neurons; in the pups, which were given 150 mg/kg aminoguanidine – $22.9 \pm 2.7\%$, and in the pups, given 300 mg/kg, the figures were – $16.0 \pm 1.0\%$; at the 7th day – $28.3 \pm 1.6\%$, $23.0 \pm 1.6\%$, and $15.6 \pm 1.6\%$, respectively, and on the 22nd day – $21.1 \pm 2.2\%$, $15.5 \pm 1.0\%$, and $10.1 \pm 0.7\%$, respectively. The data obtained indicate that iNOS, even after termination of the hypoxic-ischemic influence, plays a neuroprotective role.

ცხვირის ლორწოვან გარსში სისხლის ადგილობრივი ნაკადის მარეგულირებელი მექანიზმი

მ. ჯიქია

საქართველოს სახელმწიფო სამედიცინო აკადემია, თბილისი

მიღებულია 16.02.2005

შესწავლილია აზოტის ოქსიდისა და კალციტონინის გენთან დაკავშირებული პეპტიდის (CGRP) შესაძლო როლი ვირთაგვის ცხვირის ლორწოვანი გარსის სისხლით მომარაგების რეგულაციაში.

დადგენილია, რომ CGRP იწვევს ვირთაგვას ცხვირის ლორწოვანი გარსის სისხლძარღვთა რელაქსაციას, რაც განპირობებული უნდა იყოს CGRP რეცეპტორების აქტივაციით. ამგვარ აქტივაციას ადგილი აქვს როგორც თვით ამ პეპტიდის შეყვანისას, ისე კაპსაიდინით გამოწვეული სენსორული C-ბოჭკოების აფერენტების აქტივაციისას. მიღებული შედეგები არ ადასტურებს მოსაზრებას, რომ აზოტის ოქსიდი უნდა მონაწილეობდეს ვირთაგვის ცხვირის ლორწოვანი გარსის სისხლით მომარაგების მარეგულირებელი მექანიზმის მუშაობაში.

საკვანძო სიტყვები: ცხვირის ლორწოვანი გარსი, სისხლის ნაკადი, აზოტის ოქსიდი, კალციტონინის გენთან დაკავშირებული პეპტიდი, ვირთაგვა

ცნობილია, რომ აზოტის ოქსიდი (NO) ორგანიზმში წარმოადგენს სასიგნალო მოლეკულას, რომელიც სხვადასხვა ბიოლოგიური ფუნქციის განხორციელებაშია ჩართული; მათ შორისაა იმუნური სისტემის რეაქციები, სისხლძარღვთა ტონუსის მარეგულირებელი სიგნალები და ნეიროტრანსმისია [3, 11, 13, 9, 14, 15]. ასე, ფიზიოლოგიურ პირობებში, ენდოთელიუმში წარმოქმნილი NO მნიშვნელოვან როლს ასრულებს სისხლის მიმოქცევის რეგულაციაში და აუტორეგულაციაში [10], ორგანოში მეტაბოლიზმისა და სისხლის ნაკადის შეუღლებაში [17]. NO-სთან ერთად ნეიროგენური ვაზოდილატაციის ერთ-ერთი ყველაზე ძლიერი მექანიზმის ძირითად კომპონენტად ითვლება კალციტონინის გენთან დაკავშირებული პეპტიდი. იგი 37 ამინომჟავისგან შედგენილი პეპტიდია, რომელიც ფართოდ არის გავრცელებული არა მარტო ცენტრალურ და პერიფერიულ ნერვულ სისტემებში [7], არამედ ნერვულ ბოჭკოებშიც, სისხლძარღვთა სისტემის გაყოლებაზე [12]. ორივე ხსენებული ვაზოდილატატორის მოქმედება ორგანიზმში, როგორც ირკვევა, ატარებს მკვეთრად გამოხატულ რეგიონულ

ხასიათს. ამ მხრივ ცოტა რამ არის ცნობილი ცხვირის ღორწოვან გარსში განთავსებული სისხლძარღვების რელაქსაციის მექანიზმის შესახებ. კერძოდ, მონაწილეობს თუ არა კალციტონინის გენთან დაკავშირებული პეპტიდი (CGRP) ან NO ამ მექანიზმის ფუნქციონირებაში და თუ ასეა, რაში გამომიხატება ეს მონაწილეობა უჯრედულ დონეზე.

ცნობილია, რომ ცხვირის ღორწოვანი გარსი კარგად არის ინერვირებული აფერენტული C-ბოჭკოებით, რომლებიც შეიცავენ CGRP-ს. ამ ნერვების ტერმინალები განთავსებულია უპირატესად ეპითელიუმში, სისხლძარღვების ირგვლივ [1], და ამდენად სავარაუდოა ამ პეპტიდის მონაწილეობა ცხვირის ღორწოვანი გარსის სისხლით მომარაგების რეგულაციაში. ცნობილია აგრეთვე ისიც, რომ ცხვირის ღრუსა და სინუსებში წარმოებული NO-ს გარკვეული რაოდენობა იქვე განიცდის აბსორბციას და არ ტოვებს ცხვირის ღრუს [6]. ამდენად, ვითვალისწინებთ რა NO-ს ძლიერ ვაზოდილატატორულ თვისებებს, სავსებით დასაშვებად მიგვაჩნია, რომ მან (CGRP-თან ერთად) მნიშვნელოვანი როლი შეასრულოს ცხვირის ღორწოვანი გარსის სისხლით მომარაგების რეგულაციაში. სწორედ ამ პიპოთეზის შემოწმება წარმოადგენდა წინამდებარე ნაშრომის მიზანს.

მასალა და მეთოდები

ცდები ჩატარდა 350-400 გ მასის მქონე, თეთრ უჯიშო მამრ ვირთაგვებზე, ქლორალ ჰიდრატის (0,4გ/კგ) ნარკოზის პირობებში. ცხოველთა ტემპერატურა კონტროლდებოდა რექტალურად და მისი დონე შენარჩუნებული იყო 37°C დონეზე ელექტროგამათბობელი საბნის მეშვეობით. არტერიული წნევა იზომებოდა კუდის არტერიაში, უსისხლოდ. სისხლის ადგილობრივი ნაკადის დინამიკა ცხვირის ღორწოვან გარსში აღირიცხებოდა წყალბადის კლირენსის მეთოდით [2]. ამ მეთოდს საფუძვლად უდევს პოლაროგრაფიული ანალიზის პრინციპი, რაც მდგომარეობს ვოლტამპერული მრუდის, ანუ პოლაროგრამის მიხედვით, ელექტროქიმიურ რეაქციაში შესული ნივთიერების კონცენტრაციის განსაზღვრაში. ფარმაკოლოგიური ნივთიერებების შესაყვანად მარჯვენა ბარძაყის ვენაში შეყვანილი იყო კათეტერი.

ცდები ჩატარდა ვირთაგვების 6 ჯგუფზე, თითოეულ ჯგუფში 6 ცხოველით. ცხოველთა ყველა ჯგუფში სისხლის ადგილობრივი ნაკადის გაზომვას ცხვირის ღორწოვან გარსში, ექსპერიმენტის პირობების მიუხედავად, თან სდევდა სისტემური არტერიული წნევის გაზომვა ვირთაგვის კუდიდან.

პირველ ჯგუფში შეისწავლებოდა ცხვირის ღორწოვანი გარსის სისხლის ადგილობრივი ნაკადის ფონური მაჩვენებლის ცვლილება კაპსაიციინის (21 ნმოლი, SERVA) ვენაში შეყვანიდან 5 წუთის შემდეგ. მეორე ჯგუფში კაპსაიციინის ნაცვლად გამოიყენებოდა CGRP, 1 ნმოლი. მესამე ჯგუფში კაპსაიციინის შეყვანამდე 20 წუთით ადრე ცხოველებს ვენაში უკეთდებოდა L-NAME (N^o-ნიტრო-L-არგინინ მეთილ ესტერი), 30 მგ/კგ, ხოლო შემდეგ – კაპსაიციინი ზემოთ აღნიშნული დოზით. მეოთხე ჯგუფში L-NAME-ს მოქმე-

დების ფონზე, კაპსაიციინის ნაცვლად, შეგვეყავდა CGRP, 1 ნმოლი. მეხუთე და მეექვსე ჯგუფებში შესაბამისად შეისწავლებოდა კაპსაიციინისა და CGRP-ს ეფექტი სისხლის ნაკადზე ცხვირის ლორწოვან გარსში CGRP₈₋₃₇ (CGRP-ს რეცეპტორების ანტაგონისტის) მოქმედების ფონზე (16 მკმოლი)

ქლორალ ჰიდრატის ნარკოზის გაკეთების შემდეგ, ვირთაგვას ვათავსებდით ზურგზე, თავს ვაფიქსირებდით საექსპერიმენტო მაგიდის სამაგრებით, გამოფოფვით ბარძაყის ვენას და ვათავსებდით მასში წვრილ კათეტერს. სისხლის ნაკადის გამზომი ელექტროდის (ტეფლონირებული 60 მკმ პლატინა) ჩაყენებას ცხვირის ლორწოვან გარსში ვახდენდით ელექტროდის ვერტიკალური მდგომარეობის შერჩევით, ქსოვილის მინიმალური დაზიანებით, დამატებითი ფიქსატორების გარეშე. ძალიან წვრილი (15 მკმ) გამომყვანი ოქროს მათეული არ იწვევდა ელექტროდის მდგომარეობის შეცვლას.

რეფერენტული ელექტროდი მჭიდროდ ფიქსირდებოდა კარგად გაპარსული ყურის ზედაპირზე.


სისტემური არტერიული წნევა “უსისხლო” მეთოდით დისკრეტულად იზომებოდა გაბულაძის მიერ დამუშავებული გამზომი ხელსაწყოს – “არტერია“-ს გამოყენებით. მცირე ზომის მანჟეტი თავსდებოდა ცხოველის კულზე. მონაცემები აღირიცხებოდა ოსცილოგრაფის მეშვეობით. იზომებოდა სისტოლური და დიასტოლური არტერიული წნევები და შემდეგ ხდებოდა საშუალო სისტემური არტერიული წნევის გამომანგარიშება.

მიღებული შედეგები სტატისტიკურად მუშავდებოდა ცვლადთა ანალიზის (ANOVA) პროგრამული პაკეტით, რომლის რეალიზაცია ხორციელდებოდა კომპიუტერული პროგრამის EXCEL-ის მეშვეობით. სხვაობათა სტატისტიკური სარწმუნოება მოწმდებოდა სტიუდენტის t-კრიტერიუმით, როგორც ჯგუფური, ისე დაწვეილებული მონაცემებისათვის.

შედეგები და მათი განხილვა

ცხოველთა ყველა ჯგუფში საშუალო სისტემური არტერიული წნევა ვარირებდა ვერცხლისწყლის სვეტის 90 მმ ფარგლებში და შეადგენდა $92,3 \pm 7,8$ მმ-ს. ცდების არც ერთ ეტაპზე, მიუხედავად ჩვენს მიერ გამოყენებული ნივთიერებისა, საშუალო სისტემური არტერიული წნევის სარწმუნო, კანონზომიერი ცვლილება არ აღრიცხულა. რაც შეეხება სისხლის ადგილობრივი ნაკადის ცვლილებებს ცხვირის ლორწოვან გარსში, მიღებული შედეგები შეჯამებულია სურ. 1-ზე. ამ მანქვნების საშუალო სტატისტიკური დონე, ცდის ჩვენს მიერ გამოყენებულ პირობებში, შეადგენდა $37,1 \pm 6,8$ მლ/100გ/წთ. კაპსაიციინის შეყვანიდან 5 წუთის შემდეგ ეს მანქვნებელი გაიზარდა $73,2 \pm 9,2$ -მდე, ხოლო CGRP-ს შეყვანის შემდეგ კი – $78,2 \pm 10,1$ მლ/100გ/წთ-მდე. NO-ს სინთაზას, NOS-ის არასელექციური იზმობიტორის L-NAME-ს მოქმედების ფონზე არც კაპსაიციინმა და არც CGRP-მ არ მოგვცა სტატისტიკურად სარწმუნო რაიმე სხვაობა, ამ იზმობიტორის გარეშე მიღებულ შედეგებთან შედარებით. სისხლის ადგილობრივი ნაკადის საშუალო დონემ ამ შემთხვევებში შეადგინა, შესაბამისად, $70,1 \pm 8,2$

და 73.4 ± 7.1 მლ/100გ/წთ. ცხოველთა იმ ჯგუფებში, სადაც გამოყენებული იყო CGRP₈₋₃₇, აღირიცხა პრინციპულად განსხვავებული შედეგი: არც კაპსაიციინის და არც თვით CGRP-ს შეყვანამ არ მოგვცა კონტროლისაგან განსხვავებული სტატისტიკურად სარწმუნო შედეგი. ეს კი იმაზე მეტყველებს, რომ CGRP₍₈₋₃₇₎ ახდენს კაპსაიციინითა და CGRP-თ განპირობებული სისხლის ადგილობრივი ნაკადის ზრდის ბლოკირებას ცხვირის ლორწოვან გარსში. უნდა აღინიშნოს, რომ I-IV ჯგუფების ცხოველებში მიღებული მონაცემები სისხლის ადგილობრივი ნაკადის მატების თაობაზე სტატისტიკურად სარწმუნოდ ($P < 0.01$) განსხვავდება როგორც საკონტროლო ჯგუფის, ისე V და VI ჯგუფის ცხოველებში მიღებული შედეგებისაგან. ამასთან ერთად, I-IV ჯგუფის ცხოველებში მიღებული შედეგები ერთმანეთთან შედარებით არ იძლევა სარწმუნო სხვაობას; იგივე ითქმის საონტროლო, V და VI ჯგუფის ცხოველებში მიღებული შედეგების შესახებ – მათ შორისაც სხვაობა არ არის სარწმუნო.



სურ. 1. სისხლის ნაკადის ცვლილება (მლ/100გ/წთ) ვირთაგვას ცხვირის ლორწოვან გარსში. I – კონტროლი; II – კაპსაიციინის ეფექტი; III – CGRP-ს ეფექტი; IV – კაპსაიციინის ეფექტი L-NAME-ს მოქმედების ფონზე; V – CGRP-ს ეფექტი L-NAME-ს მოქმედების ფონზე; VI – კაპსაიციინის ეფექტი CGRP₈₋₃₇-ს ფონზე; VII – CGRP-ს ეფექტი CGRP₈₋₃₇-ს ფონზე.

მიღებული შედეგები მოწმობს, რომ კაპსაიციინით და CGRP-თ გამოწვეული ვაზოდილატაცია ვირთაგვის ცხვირის ლორწოვან გარსში არ იცვლება NOS-ის არასელექციური ინჰიბიტორის L-NAME-ს შეყვანის შემდეგ, რაც უნდა მიუთითებდეს იმაზე, რომ NO ამ შემთხვევაში არ უნდა თამაშობდეს რაიმე როლს კაპსაიციინითა და CGRP-თ გამოწვეულ ვაზოდილატაციაში. ალბათ ეს ლოგიკურია, თუ გავითვალისწინებთ, რომ NO საკმაოდ დიდი რაოდენობით გენერირდება სწორედ ცხვირის ღრუში და მისი გარკვეული ნაწილის აბსორბცია ხდება იქვე [6], ხოლო ძირითადი რაოდენობა მიემართება ფილტვებისკენ, სადაც ის მნიშვნელოვან როლს ასრულებს სისხლძარღვთა დილატა-

ციაში. ამდენად, არაა გასაკვირი, რომ ცხვირის ლორწოვანი გარსის სისხლძარღვები უნდა მოქმედებდნენ სხვა მექანიზმის მეშვეობით; სხვაგვარად ისინი გამოუღმებით იქნებოდნენ გაფართოებულ მდგომარეობაში.

CGRP 37 ამინმჟავისგან შემდგარი პეპტიდია, რომელსაც ძლიერი ვაზოდილატატორული მოქმედება გააჩნია. ცნობილია, რომ CGRP-ს ინფუზია კატის ცხვირის ლორწოვან გარსში იწვევს კონცენტრაციადამოკიდებულ ვაზოდილატაციას [16]. წინა საუკუნის ოთხმოციან წლებში ძაღლებზე ჩატარებულ ცდებში ნაჩვენებია იყო, რომ ენის არტერიის რელაქსაცია, გამოწვეული პერივასკულური ნერვის სტიმულაციით, განპირობებულია CGRP-ს რეცეპტორების აქტივაციით, რითიც დადგინდა ამ პეპტიდის მედიატორული მნიშვნელობა და როლი ენის არტერიის ნეიროგენურ ვაზოდილატაციაში. დადგენილია, რომ ვენაში შეყვანიდან რამდენიმე წამში CGRP აღწევს სამიზნე ქსოვილს [19]. CGRP(8-37) თავიდანვე განიხილებოდა, როგორც CGRP-რეცეპტორების შესაძლო ანტიგონისტი [4]. იგი თრგუნავდა ზღვის გოჭკებში CGRP-თ ინდუცირებული წინაგულის კონტრაქტილურ რეაქციებს [5] და ჯორჯლის არტერიის რელაქსაციას [8]. ამ უკანასკნელ ნაშრომში ნაჩვენებია იყო აგრეთვე, რომ შესაძლოა არსებობდეს ორი ტიპის CGRP-რეცეპტორები: CGRP₁ და CGRP₂. აქედან CGRP₁ სენსიტიურია CGRP(8-37) მიმართ, ხოლო CGRP₂ – არა.

მიღებული შედეგების და ლიტერატურაში არსებული მონაცემების ანალიზი გვიჩვენებს, რომ სწორედ CGRP იწვევს ვირთაგვის ცხვირის ლორწოვანი გარსის სისხლძარღვთა რელაქსაციას და რომ იგი განპირობებული უნდა იყოს CGRP რეცეპტორების აქტივაციით, რასაც ადგილი აქვს, როგორც თვით ამ პეპტიდის შეყვანისას, ისე კაპსაციინით გამოწვეული სენსორული C-ბოჭკოების აფერენტების აქტივაციისას. ამასთან ერთად, კიდევ ერთხელ უნდა აღინიშნოს, რომ თუმცა NO-ს და მასთან დაკავშირებული კომპონენტების მნიშვნელოვანი როლი სისხლძარღვთა ტონუსის რეგულაციაში აღიარებულია [18], ჩვენს მიერ მიღებული შედეგები ვირთაგვის ცხვირის ლორწოვანი გარსის შემთხვევაში არ ადასტურებს ამ მოსაზრებას და, როგორც უკვე ითქვა, რელაქსაციის მთავარ მექანიზმად, აღნიშნულ შემთხვევაში, უნდა განვიხილოთ ლორწოვანი გარსის სისხლძარღვთა გლუვ კუნთებში CGRP-რეცეპტორების აქტივაცია.

ლიტერატურა

1. *Alving K., Sundstrom C., Matran R., Panula P., Hokfelt T., Lundberg J.M.* Cell Tissue Res., 1991, 264, 529-538.
2. *Aukland K., Bower B., Berliner R.* Circ. Res., 1964, 14, 164-187.
3. *Bredt D.S., Snyder S.H.* Neuron, 1992, 8, 3.
4. *Chiba T., Yamaguchi A., Yamatani T., Nakamura A., Morishita T., Imui T., Fukase M., Noda T., Fujita T.* Am. J. Physiol., 1989, 256, E331-E335.
5. *Dennis T., Fournier A., Cadieux A., Pomerleau F., Jolicoeur F.B., Pierre S.S., Quirion R.* J. Pharmacol. Exp. Ther., 1990, 43, 123-128
6. *DuBois A., Douglas J., Stitt J., Mohsenin V. J.* Appl. Physiol., 1998, 84, 1217-1224.
7. *Goodman E.C., Iverson L.L.* Life Sci., 1986, 38, 2169-2178.
8. *Han S., Naes L., Westfall T.* Biochem. Biophys. Res. Commun., 1990, 168, 786-791.

9. Knowles R.G., Moncada S. *Biochem. J.*, 1994, 298, 249.
10. Kobari M., Fukuuchi Y., Tomita M., Takahashi N., Takeda H. *Brain Res.*, 1994, 667, 255-262.
11. Moncada S., Palmer R., Higgs E. *Pharmacol. Rev.*, 1991, 43, 109-142.
12. Mulderry P.K., Ghatey M., Rodrigo J., Allen J.M., Rosenfeld M.G., Polak J.M., Bloom S.R. *Neuroscience*, 1985, 14, 947-954.
13. Nathan C. *FASEB J.*, 1992, 6, 30-51.
14. Sessa W.C. *J. Vasc. Res.*, 1994, 31, 131.
15. Sessa W.C., Pritchard K., Seyedi N., Wang J., Hintze T.H. *Circ. Res.*, 1994, 74, 349 – 353.
16. Stjarne P., Lundblad L., Anggard A., Hokfelt T., Lundberg J. *Cell Tissue Res.*, 1989, 256, 439-446.
17. Tanaka K., Keio J. *J. Med.*, 1996, 45, 14-27.
18. Toda N., Okamura T. *Nippon Yakurigaku Zasshi*, 1990, 95, 295-308.
19. Wimalawansa S. *Endocrine Rev.*, 1996, 17, 533-585.

МЕХАНИЗМ РЕГУЛИРОВАНИЯ МЕСТНОГО КРОВотоКА В СЛИЗИСТОЙ ОБОЛОЧКЕ НОСА

М. Джикия

Грузинская государственная медицинская академия, Тбилиси

РЕЗЮМЕ

Изучена возможная роль оксида азота и пептида, связанного с геном кальцитонина (CGRP) в регуляции кровоснабжения слизистой оболочки носа крыс.

Установлено, что CGRP вызывает релаксацию кровеносных сосудов слизистой оболочки носа крыс и что подобная релаксация должна быть обусловлена активацией CGRP рецепторов, что имеет место как при введении самого пептида, так и при вызванной капсаицином активации афферентов сенсорных С-волокон. Полученные результаты не подтверждают соображение, что оксид азота должен принимать активное участие в функционировании механизма регулирования кровоснабжения слизистой оболочки носа крысы.

MECHANISM OF LOCAL BLOOD FLOW REGULATION IN RAT'S NASAL MUCOSA

М. Jikia

Georgian State Medical Academy, Tbilisi

SUMMARY

A possible role of the nitric oxide (NO) and the calcitonine gene-related peptide (CGPR) in the blood supply of the nasal mucosa in the rats has been studied.

It was found that CGRP induces relaxation of the blood vessels in the rat's nasal mucosa, which should be due to activation of the CGRP receptors; this event occurs in both cases – during administration of the peptide or activation of the sensory afferent C-fibers with capsaicin. The results obtained do not confirm the idea that NO must take part in functioning of the mechanisms controlling the blood supply in the rat's nasal cavity.

ინსტრუქცია ავტორთათვის

ქურნალი “საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მაცნე ბიოლოგიის სერია – A” ბეჭდავს ბიომედიცინის სხვადასხვა დარგის სამეცნიერო წერილებს, რომლებიც მანამდე არსად არ იყო დაბეჭდილი და რომელთა პუბლიკაცია სხვა გამოცემებში დაგეგმილი არაა. წერილი უნდა შეიცავდეს ახალ, აქტუალურ მასალას, რომლის თემატიკა, მეთოდოლოგია და განსჯა შეესაბამება მეცნიერების თანამედროვე დონეს. წერილი არ უნდა შეიცავდეს მოძველებულ მონაცემებს და დაუსაბუთებულ დასკვნებს. წერილი შეიძლება წარმოდგენილ იქნას ქართულ, ინგლისურ, ან რუსულ ენაზე. ნებისმიერ ენაზე წარმოდგენილ წერილს თან უნდა დაერთოს რეზიუმე სამივე აღნიშნულ ენაზე. რეზიუმეს მოცულობა არ უნდა აღემატებოდეს 250 სიტყვას, მაგრამ არ უნდა იყოს 1000 ნაბეჭდ ნიშანზე ნაკლები. რეზიუმე უნდა შეიცავდეს წერილის სრული ტექსტის ამსახველ მოკლე, მაგრამ ადეკვატურ ინფორმაციას – კვლევის მიზანს, მეთოდებს, მიღებულ შედეგებს და გამომდინარე დასკვნებს.

საკუთრებ სამეცნიერო წერილის მოცულობა (რეზიუმეების ჩათვლით) არ უნდა იყოს 5 გვერდზე ნაკლები და 12 გვერდზე მეტი. მიმოხილვითი ხასიათის ან უფრო დიდი მოცულობის წერილები ქურნალში იბეჭდება მხოლოდ რედაქციის დაკვეთით ან სარედაქციო კვლევის თანხმობით.

ორიგინალური ექსპერიმენტული გამოკვლევის შედეგები უნდა გაფორმდეს მკაცრად სტანდარტული რუბრიკაციით – შესავალი და მიზნები, მასალა და მეთოდები, შედეგები და მათი განხილვა, (დამოწმებული) ლიტერატურა. უკანასკნელი მკაცრად ანბანით უნდა იყოს დალაგებული და დანომრილი (ჯერ ქართული, შემდეგ რუსული და, ბოლოს, ლათინურანბანოვანი). ტექსტში დამოწმებული ლიტერატურა მითითებული უნდა იყოს სათანადო ნომრებით, კვადრატულ ფრჩხილებში. თითოეულ წერილს უნდა დაერთოს საკვანძო სიტყვების (key words) სია – არა ნაკლებ ოთხისა და არა უმეტეს ათისა. ლიტერატურის სიაში საჭიროა მოტანილ იყოს ვეულა ავტორის გვარი, ინიციალებით, გამოცემის (ქურნალის) სახელწოდება, წელი, ტომი, გვერდები. ვიგნის ციტირების შემთხვევაში, აუცილებელია სათაურიც და გამოცემის ქალაქი და გამომცემლობა, კრებულის რედაქტორის (რედაქტორების) გვარი და ინიციალები.

წარმოდგენილი წერილი რედაქციაში უნდა შემოვიდეს 2 ცალად ამობეჭდილი ქაღალდის სტანდარტულ ფურცლებზე (A4), რომელსაც უნდა დაერთოს ზუსტად იგივე ტექსტის ელექტრონული ვერსია კომპიუტერულ დისკეტზე (3.5"). ტექსტი უნდა აიკრიფოს კომპიუტერზე, 12 ფონტით, 1,5 ინტერვალით. გვერდებზე, ოთხივე მხრიდან დაცული უნდა იყოს ველები არა ნაკლებ 2 სანტიმეტრისა. ქართული ტექსტი უნდა აიკრიფოს AcadNusx და AcadMavr ფონტებით, ხოლო რუსული და ინგლისური – Times New Roman-ით. ცხრილებში დაიშვება უფრო მცირე ზომის ფონტები. წერილის ტექსტი უნდა მომზადდეს Microsoft Word-ში (ნებისმიერი ვერსია), ხოლო გრაფიკები და სურათები – Excel-ში. თუ სურათები Excel-ში არაა დამზადებული, მკაფიო გრაფიკები და ფოტოსურათები წარმოდგენილი უნდა იყოს ორიგინალის სახით. სურათების სკანირება და მათი წარმოდგენა გრაფიკული ფაილების სახით (.jpg, .bmp და სხვ.) დაუშვებელია. ფერადი სურათები ქურნალში არ იბეჭდება. დისკეტზე ჩაწერილი ფაილის სახელწოდება წერილის პირველი ავტორის სახელით უნდა იყოს აღნიშნული. კომპიუტერული დისკეტი უნდა იყოს მანამდე უხმარი, ვირუსებისგან თავისუფალი და არ უნდა შეიცავდეს სხვა, ქურნალისთვის უსარგებლო მასალას. დისკეტა ავტორს არ უბრუნდება.

სურათების დაწვრილებითი წარწერები უნდა დაიბეჭდოს წერილის ტექსტის ბოლოს, იმავე ფაილში.

ჟურნალში წერილის ბეჭდვა ავტორის (ავტორების) ხარჯებით ხორციელდება. ბეჭდვის დასაფარავი თანხა რედაქციაში უნდა შემოვიდეს რეცენზენტის დადებითი დასკვნის მიღებისთანავე. წერილის დაწუნების შემთხვევაში ავტორს (ავტორებს) უნბრუნდება წერილის ერთი პირი და წერილობითი რეცენზია. დისკეტი ავტორებს არ უბრუნდება და ინახება რედაქციაში 1 წლის განმავლობაში.

წერილების რეცენზირება ანონიმურია და ავტორს აქვს უფლება მიიღოს ან არ მიიღოს რეცენზენტის კრიტიკა. უკანასკნელ შემთხვევაში წერილი განმეორებით გადაეცემა სარეცენზიოდ სარედაქციო კოლეგიის (საბჭოს) რომელიმე წევრს. მეორე უარყოფითი დასკვნა საბოლოოა და გასაჩივრებას არ ექვემდებარება. წერილს ხელს უნდა აწერდეს ყველა თანაავტორი. მითითებული უნდა იყოს იმ ავტორთა ტელეფონის ნომრები, რომლებიც აწარმოებენ ურთიერთობას რედაქციასთან.

წერილს უნდა დაერთოს იმ დაწესებულების წერილობითი შუამდგომლობა (ნებართვა), რომელშიც შესრულებულია შრომა.

ყველა გამოქვეყნებული წერილის რუსული რეზიუმე იბეჭდება რუსეთის რეფერატული ჟურნალის სათანადო სერიაში.

წერილების ჩაბარება შეიძლება ყოველდღიურად, შაბათისა და კვირის გარდა, 12-დან 16 საათამდე, მისამართზე: თბილისი, ლ.გოთუას ქ., № 14, იბერიტაშვილის სახ. ფიზიოლოგიის ინსტიტუტი, III სართული, ოთახი 312, რედაქციის პასუხისმგებელი მდივანი – ალექსანდრე ქორელი.

ტელეფონი: 37-04-79, ელექტრონული ფოსტა: alex_koreli@yahoo.com

2 - 4p 372/2